ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№028 (12 405)

5 თებერვალი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ხვალ. 18:00. ეროვნული. საქართველო-ლატვია. ამხანაგური მატჩი

# ტოპიმ ბიჭებს შემოუძახა





ლატვიასთან ხვალ გასამართი მხანაგური მატჩისთვის ეროვნულმა ნაკრებმა მზადება გუშინ დაიწყო. ნაშუადღევს გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეიკრიბა. საღამოს 6 საათზე კი კლაუს ტოპმიოლერმა ფეხბურთელები „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ავარჯიშა.

ნუკრი რევიშვილი, როინ კვასხვაძე, გიორგი მაკარიძე, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი ხიდეშელი, ზაალ ელიავა, დავით კვირკველია, გოგიტა გოგუა, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, შოთა გრიგალაშვილი, ლევან მჭედლიძე, დავით სირაძე, ბექა გოცირიძე - აი ეს 17 ფეხბურთელი მონაწილეობდა გუშინდელ ვარჯიშში.

2



4

## კომპლიმენტები ტოპის მიერ დაწუნებულ იაშვილს:

# საუკეთესო შენ იყავი



ინტერვიუ 4

# გოგუასა და ჩერვიჩენკოს გზები გაიყო

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველო-ლატვია



# მინუს ცქიტიშვილი, პლუს კობახიძე



*პირველი გვერდიდან*

ვარჯიშში არ მონაწილეობდა ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე**. მას „მილანში" კვირას გვიან ჰქონდა თამაში და ნაკრებს დღეს გამთენიისას შეუერთდება. ასევე არ უვარჯიშია „ზესტაფონში" ახლად გადასული **ნიკა გელაშვილს**, რომელიც ტრავმირებულია. ეროვნულს აკლდა **ლევან ცქიტიშვილიც** - ავადაა. დანაკლისის გამო **კლაუს ტოპმიოლერმა** ნაკრებში თბილისის „დინამოდან" უკრაინულ „დნეპრში" გადასული **სანდრო კობახიძე** გამოიძახა.

წვრთნამ თითქმის საათნახევარს გასტანა. ჯერ იყო მოთელვა, მოედნის გარშემო სირბილი, კვადრატები, მეკარეების დატვირთვა, ბოლოს კი ორკარა...

წვრთნის შემდეგ ნაკრების თავკაცსა და ფეხბურთელებს გავესაუბრეთ.

ტოპმიოლერმა ოთხშაბათის მატჩის მნიშვნელობას საუბრის დასაწყისშივე გაუსვა ხაზი.

- წლის პირველი მატჩი გვიწევს და რაღა თქმა უნდა მნიშვნელოვანი. ლატვია და ჩრდილოეთ ირლანდია ის გუნდებია, რომლებიც კარგ სპარინგობას გაგვიწევენ, მათთან თამაში სასარგებლო იქნება. თებერვლისა და მარტის ამხანაგურ მატჩებს სელექციისთვის გამოვიყენებთ, ახალ სახეებს დავაკვირდებით. მაისისა დ აგვისტოს მატჩებში კი საამისოდ უკვე აღარ გვეცლება.

ცუდია დანაკლისს ამჯერადაც რომ ვერ ავცდით. ტრავმირებულთა გარდა კიდევ გვაკლია ფეხბურთელები, თუმცა მათი შესაძლებლობები კარგად ვიცი და მათი გამოკლება ამ ეტაპზე ტრაგედია არაა.

**- ხიზანიშვილთან კონფლიქტს ამოწურულად მიიჩნევთ?**

- ვთვლი რომ კონფლიქტი არასდროს ყოფილა. ხიზანიშვილს ნაკრებიი შესარჩევ მატჩებში გამოვიძახებთ.

**ჯაბა კანკავა:**

- წლის პირველი თამაშია და შესაბამისად ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი. მოგების დიდი იმედიც გვაქვს.

**- რა კოზირები აქვს ლატვიას?**

- ფიზიკურად ძლიერი გუნდია, ბოლო-ბოლო ევროპის ჩემპიონატის მონაწილეა. ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს. უნდა მოვინდომოთ და მოვიგებთ. ისე კი იოლი მატჩი არ გველის.

**გიორგი შაშიაშვილი:**

- წლის პირველი მატჩია და მოტივაციისთვის თუნდაც ეს მომენტიც საკმარისია. ყველანაირად შევეცდებით მოვიგოთ და წელი წარმატებულად დავიწყოთ.

**ლაშა სალუქვაძე:**

- ჩვენთვის მნიშვნელოვანი მატჩია და უნდა მოვიგოთ.

**- ლატვიელი კოლინკო შენი კლუბის მეკარეა. მასთან თუ გქონდა საუბარი ოთხშაბათის მატჩზე?**

- კი, ადრე მქონდა. მითხრა თბილისში არ წავაგებთო, მაგრამ მჯერა მოვიგებთ.

**დავით სირაძე:**

- ჯანმრთელობის მხრივ უკვე კარგად ვარ. „პადერნბორნთან" ერთად ვემზადები და 4 საკონტროლო მატჩშიც მივიღე მონაწილეობა. ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ ურიგოდ არ გამოვიყურები.

*დაბოლოს, გუშინ გადაწყდა რომ საქართველო-ლატვიის ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი 6 თებერვალს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. შეხვედრა 18 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი 3 ლარია.*

დავით ცაბაძე



გიორგი ხიდეშელი



რონ კვასხვაძე, ნუკრი რევიშვილი და გიორგი მაკარიძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



# გამარჯვება ლატვიასაც სწყურია





მარის ვერპაკოვსკისი

ლატვიის ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ ივარჯიშა. „ლოკომოტივის“ მოედანი რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია, რითაც სტუმრებს უკმაყოფილება არ დაუმალავთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ტრავმის მიღების შიშით, ლატვიელები ბოლომდე დახარჯვას ერიდებოდნენ.

წვრთნის მიმდინარეობა კი მეტისმეტად სტანდარტული იყო. **ალექსანდრ სტარკოვსმა** შეგირდები ჯერ წრეზე არბენინა, შემდეგ „კვადრატი“ გაჩაღდა, რასაც სტანდარტულ სიტუაციებზე მუშაობა და რამდენიმეწუთიანი ორმხრივი თამაში მოჰყვა. მატჩი ამხანაგურია და ამიტომ, ძნელი წარმოსადგენია, სტარკოვსი რაიმე ტაქტიკურ ნიუანსებს მალავდეს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ლატვიელებმა არცთუ დიდხანს იბურთავეს, მათი შემადგენლობისა და სტრატეგიის დეტალურად განსაზღვრა გუშინ იოლი არ ჩანდა. ალბათ, სტუმართა ძირითადი ბირთვი უფრო დღევანდელ ვარჯიშზე გამოიკვეთება.

ლატვიის ნაკრების ვარჯიში დაგეგმილზე ოდნავ გვიან, სალამოს რვის ნახევარზე დაიწყო და დაახლოებით ცხრაზე დასრულდა. მოედნიდან გამოსულმა ალექსანდრ სტარკოვსმა ხვალინდელ მატჩზე მცირე კომენტარი გააკეთა.

*„ქართველებთან თამაში ჩვენთვის ყოველთვის სასიამოვნოა, ჩვენ ძველი მეგობრობა გვაკავშირებს, რის გამოც თბილისში ჩამოსვლა ძალიან მიხარია. სხვა რომ არაფერი, ჩვენთან წლების განმავლობაში* ***რევაზ ძოძუაშვილი*** *მუშაობდა, რომელმაც ლატვიური ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.* შესანიშნავი ფეხბურთელები არიან **ზურაბ მენთეშაშვილი** და **ზაალ ელიავა**. ისინი ლატვიის ჩემპიონატში გამორჩეული არიან.

სეზონი ახალი განახლებული და ოპტიმალურ ფორმაში არც ჩვენ ვართ და არც ქართველები, თუმცა ამის მიუხედავად, საინტერესო თამაშს ველი. მართალია, ეს ამხანაგური შეხვედრაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთვის შედეგი მეორეხარისხოვანია, გამარჯვება ძალიან გამახარებს, მაგრამ თბილისში მოგება იოლი ნამდვილად არაა.

ლატვიის ნაკრების თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი თბილისშია, ერთადერთი, ვინც ტრავმის გამო დაგვაკლდა, **იურის ლაიზანსია**“, - თქვა ლატვიელთა თავკაცმა.

შეგახსენებთ, ლატვიის ეროვნულმა გუნდმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ისტორიულ წარმატებას, მოიპოვა რა ევრო 2004-ის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება.

ლატვიის ნაკრები თბილისში ამ შემადგენლობით ჩამოვიდა:

მეკარეები: **ალექსანდრ კოლინკო** (რუბინი), **ანდრის ვანინსი** (ვენტსპილსი), **დენის რომანოვსი** (დინამო ბუქ.).

მცველები: **ოსკარს კლავა** (მეტალურგსი ლიეპ.), **იგორს სტეპანოვსი** (ესბიერგი), **დენის ივანოვსი** (მეტალურგსი ლიეპ.), **კასპარს გორკსსი** (ბლექპული), **ძინტარს ზირნისი** (მეტალურგსი ლიეპ.), **დენის კაჩანოვსი** (ვენტსპილსი).

ნახევარმცველები: **ალექსეის ვიშნაკოვსი** (სკონტო), **ვიტალის ასტაფიევსი** (სკონტო), **ანდრეის რუბინსი** (სპარტაკი მ.), **იურის ჟიგაიევსი** (რიგა), **გენადის სოლონიცინსი** (მეტალურგსი ლიეპ.), **ალექსანდრს შაუნა** (სკონტო).

თავდამსხმელები: **მარის ვერპაკოვსკისი** (ჰაიდუკი), **გირტს კარლსონსი** (უკლუბო), **ვიტს რიმკუსი** (ვენტსპილსი), **ანდრეის პერეპლიოტკინსი** (სკონტო).

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრ სტარკოვსი

მეტოქე

## ირლანდიელთა მწვრთნელი მალე დასახელდება



ტერი ვენებლზი

ევროშესარჩევ ციკლში ჩვენი პირველი მეტოქის, ირლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა ათი დღის ვადაში უნდა გაირკვეს. ვაკანტურ პოსტზე მთავარ კანდიდატად ინგლისელი **ტერი ვენეიბლზია**, რომელიც ბოლო დროს თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში მუშაობდა. ირლანდიელთა ყოფილმა თავკაცმა **სტივ სტონტონმა** კი რამდენიმე დღის წინათ „ლიდსი“ ჩაიბარა.

ხვალ ირლანდიელები ამხანაგურ მატჩში ბრაზილიას უმასპინძლებენ

**ლევან ჯანეზაშვილი**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

## კომპლიმენტები ტოპის მიერ დაწუნებულ იაშვილს:
# საუკეთესო შენ იყავი


ალექსანდრე იაშვილი

**კლაუს ტოპმიოლერისგან** ათვალწუნებული ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგის მეორე წრის პირველ მატჩში „ნიურნბერგთან“ ჩინებულად გაისარჯა. „კარლსრუემ“ 2:0 გაიმარჯვა და იაშვილმა ორივე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. იაშვილს გუშინ შევეხმიანეთ კარლსრუეში.

— **„ნიურნბერგთან“ საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი დარჩი?**

— ძალიან კმაყოფილი დავრჩი, თუმცა ამავე დროს უკმაყოფილოც — ორი საგოლე მომენტი მქონდა და ვერც ერთი ვერ გამოვიყენე.

— **„კიკერმა“ 3,5 დაგიწერა, „შპორტალმა“ — 3. ეთანხმები ჟურნალისტურ შეფასებებს?**

— რა ვიცი, თითქმის ყველა თანაგუნდელმა და გუნდის ხელმძღვანელებმაც მითხრეს, მოედანზე საუკეთესო იყავიო. ორივე გოლი ფაქტობრივად არაფრისგან შევქმენი — საგოლე გადაცემები არ შემისრულებია, მაგრამ ორივე საგოლე კომბინაცია მე წამოვიწყე.

— **ედმუნდ ბეკერმა ამჯერად რა პოზიციაზე გათამაშა?**

— მარცხენა შემტევ ნახევარმცველად.

— **ეროვნულ ნაკრებში კი ისევ არ გამოგიძახეს...**

— მასეა და არც არავინ შემხმიანებია.

— **საშუასეზონო პერიოდში მინიფეხბურთის ტურნირზე „კარლსრუეს“ კაპიტანი იყავი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გუნდში უკვე ვიცე-კაპიტანი გახდი?**

— არა და ამას დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებ. მანჰაიმში გამართულ მინიფეხბურთის ტურნირისთვის ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული იყო და კაპიტნობა მე მერგო. ისე, საკმაოდ კარგი ტურნირი იყო, თამაშებს 14 000 მაყურებელი ესწრებოდა. ალბათ, იცით, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი. კარგია, სეზონის განახლებას ასე რომ შეხვდები.

— **ბეკერს როგორ აქვს საკითხი დაყენებული: ჩააგდებ თამაშს და მყისვე სხვა შეგცვლის?**

— მასე არ არის, ბეკერმა მითხრა, პირველი წრის ბოლო ორი თამაში კარგად ითამაშე, საშუასეზონო პერიოდის ამხანაგურ თამაშებშიც რიგიანად გაისარჯე და ახლა ვხვდები, რომ უკვე კარლსრუელი ხარო. ვფიქრობ, „კარლსრუეში“ ადაპტაციის პერიოდი უკვე უკან მოვიტოვე და ისე ავთამაშდი, როგორც ამას ჩემგან მწვრთნელი მოელოდა.

— **„კარლსრუეს“ მიზანი — ცხრილის ზედა ნახევარში ყოფნა — უცვლელია თუ უკვე რომელიმე ევროსაგზურს უმიზნებთ?**

— 18 თამაშის შემდეგ მეექვსე ადგილზე ვართ, მესამე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენთან“ მხოლოდ ორი ქულა გვაშორებს. ახლა ყველა გუნდი უფრო სერიოზულად გვიყურებს და ჩვენც ყველას დავანახეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია.

**დავით თავართქილაძე**



გოგიტა გოგუა

# გოგუამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა
## ქართველის და ჩერვიჩენკოს გზები გაიყო

**საქართველოს** ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა დაუბრუნდა იმ კლუბს, საიდანაც რუსეთმა მთელი ბრწყინვალებით გაიცნო. 2006 წლის სეზონის შემდეგ, ის რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო პოსტსაბჭოელ ლეგიონერად დაასახელეს.

ნალჩიკის „სპარტაკიდან“ წამოსვლის შემდეგ გოგიტა რამენსკოეს „სატურნში“ აღმოჩნდა და რატომღაც, თავი ველარ გამოიჩინა. ცალკე ტრავმებმა, ცალკე კი „სატურნისა“ და **ანდრეი ჩერვიჩენკოს** შორის წარმოქმნილმა გაუგებრობებმა ნახევარმცველს პრობლემები შეუქმნა.

საბოლოოდ, გოგუა ისევ ნალჩიკის „სპარტაკს“ დაუბრუნდა და როგორც გვითხრა, კონტრაქტიც გააფორმა.

*„ყველა საკითხი ანდრეი ჩერვიჩენკოსა და „სპარტაკს“ შორის გარკვეულია და სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ჩემი და ჩერვიჩენკოს ურთიერთობაც ამით დასრულდა. ჩემზე ყველანაირ უფლებას მთლიანად ნალჩიკელები ფლობენ. მათ ტრანსფერი გამოისყიდეს.“* - გვითხრა გოგიტამ.

მართალია, ქართველ გულშემატკივრებს ასეთი პერსპექტიული ფეხბურთელი უფრო ძლიერ კლუბში წარმოგვედგინა, მაგრამ თავად გოგიტა არჩევანით კმაყოფილია და მის ნათქვამში არის ლოგიკა - ნალჩიკელთა თავკაცი **იური კრასნოჟანი** იმ იშვიათ სპეციალისტთაგანია, რომლებიც ქართველებს ენდობიან, მათ მიმართ კლიშეებით არ ხელმძღვანელობს და გასაქანს აძლევს.

„მე პირადად არჩევანით ძალიანაც კმაყოფილი ვარ. ეს ის კლუბია, სადაც თამაშის მეტი საშუალება მექნება და რაც მთავარია, მწვრთნელი მენდობა. თანაც, საკმაოდ სერიოზული კლუბი უნდა ჩამოყალიბდეს,“ - ასეთია გოგუას პოზიცია.

**მერაბ მამულაშვილი**

# დონეცკი კვირკველიას ელის
## ნაკრებში ჩემი ხშირი გამოძახება არ სიამოვნებდათ

**დავით კვირკველია** ზაპოროჟიედან წასვლის მოლოდინშია. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალე უფრო კარგ კლუბში უნდა გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში გუნდის შეკრებიდან დაბრუნებული იმედიანადაა.

**- დათო, რა განწყობით ჩამოდიხარ შეკრებაზე, ჯანმრთელად ხარ?**

- განწყობა კი მაქვს საუკეთესო, მაგრამ ფეხი ოდნავ მაწუხებს და არ ვიცი, ლატვიასთან მატჩამდე როგორ ვიქნები.

**- რა მოგივიდა?**

- „მეტალუგის“ საკონტროლო თამაშის დროს მეტკინა ფეხი. ახლა უკეთესად ვარ, მაგრამ დიდ დატვირთვებზე მტკივა.

**- ერთი თვის წინათ გვითხარი, რომ ზაპოროჟიელებთან დაიწყებდი მომზადებას და დონეცკის „მეტალურგში“ გააგრძელებდი. გაგრძელება არ ჩანს, ველარ გადადიხარ თუ რა ხდება?**

- პატარ-პატარა საკითხებია მოსაგვარებელი და ველოდები, გუნდები როდის მოილაპარაკებენ. წინასწარ რამდენიც ვილაპარაკე, იმდენჯერ ტრანსფერი ჩაიშალა და არ მინდა ასევე გამოვიდეს.

**- გასაგებია. თუმცა, როგორც ჩანს მალე გუნდი უნდა შეიცვალო.**

- დიახ, ალბათ, ასეც მოხდება.

**- დონეცკში გაცილებით მდიდარი და ამბიციური კლუბი ჰყავთ. ცუდი ტრანსფერი არ უნდა იყოს.**

- იმედი მაქვს, რომ სეზონს იქ გავაგრძელებ. დონეცკის „მეტალურგი“ მართლა ბევრად უკეთესი გუნდია.




**- ლატვიის ნაკრებზე რას გვეტყვი, წარმოდგენა გაქვს, დღეისათვის რა გუნდია?**

- ძლიერ ნაკრებებს ნამდვილად არ განეკუთვნება. თუმცა მათთან რამდენჯერაც ვითამაშეთ, იმდენჯერ გაგვიჭირდა. სტილიდან გამომდინარე, მათი დაცვის გარღვევა ძნელია, დაცვიდან თამაშობენ და შეტევაზე იშვიათად ფიქრობენ. ჩვენ საუკეთესო ფეხბურთს თუ ვაჩვენებთ, ლატვია პრობლემას ვერ შეგვიქმნის. მჯერა, რომ მათზე გაცილებით დიდი პოტენციალის ფეხბურთელები გვყავს.

იგივე ლიტვა ჩვენ რითი გვჯობდა? ნასაგები ნამდვილად არ იყო. კარგია, ლატვიას რომ ვხვდებით, ასეთ გუნდებთან თამაშს უნდა შევეჩვიოთ, დაცვიდან რომ არ გამოდიან.

**- სიტყვამ მოიტანა და წლეულს ნაკრებს უამრავი სკაონტროლო შეხვედრა დაუგეგმეს. ნაკრების შესათამაშებლად სასურველი ამბავია.**

- ორი აზრიც არაა! შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ახლა მაინც უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი გუნდი. ასეთი შეხვედრები შეთამაშებაში ძალიან დაგვეხმარება. მგონი, ამდენი ამხანაგური ერთად ბოლო ოთხ წელში არ გაგვიმართავს.

**- ნაკრების შეთამაშება კი არის სასურველი საქმე, მაგრამ გუნდში პრობლემა არ შეგექმნება? ოფიციალური შეხვედრების ჩათვლით, ათამდე გამოძახება მოგიწევს, ნაკრებს კი შეუზღუდავად, მხოლოდ შვიდი მიწვევის უფლება გააჩნია.**

- წინასწარ ამაზე საუბარი ძნელია, მაგრამ გართულებებს მართლა არ გამოვრიცხავ. წესით, პრობლემა არ უნდა შემიქმნან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, კლუბმა და ჩვენმა ფედერაციამ უნდა მოილაპარაკონ. ზოგჯერ კლუბს ისეთი პრინციპული შეხვედრა ელის, რომ ნაკრებში ფეხბურთელის გაშვება არ სურს. ასე იყო სამი წლის წინათ, როდესაც ალბანეთთან შეხვედრა გვქონდა, ზაპოროჟიეს კი უკრაინის თასის მეოთხედფინალი უნდა ჩაეტარებინა. „მეტალურგიდან“ ფედერაციაში დარეკეს, თხოვეს და ჩვენებმა კლუბის ინტერესი გაითვალისწინეს.

**- უკრაინულ ინტერნეტ-გაზეთ „ფუტბოლში“, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ პირველი წრის გამოსვლის შეფასებისას გარკვეულად მიანიშნეს - კვირკველიას ნაკრებში ხშირი გამოძახება კლუბში არ უხარიათო. წლეულს კიდევ უფრო მეტჯერ მოგიწვევენ და აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ უკრაინელთა საყვედურებიც გახშირდება.**

- კი, ნაკრებში ჩემი ხშირი გამოძახება არ სიამოვნებდათ.

**- რეალურად, პრობლემები გექმნებოდა?**

- ასეთ დროს ყოველთვის იქმნება უხერხული ვითარებები, პრობლემები, რამდენჯერმე გამოშვება აშკარად არ სურდათ, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ - ჩემთვის ნაკრები ყველაზე მნიშვნელოვანია.

**მერაბ მამულაშვილი**

ბათუმი

# გპირდებით, რომ (გა)დავრჩებით


ავთანდილ კუნჭულია

**ბათუმის „დინამოში" სიახლეა. ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ამის მიღწევას ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელების დამატებით აპირებს. „დინამოს" უკვე შეუერთდა გიორგი თურმანიძე. ამ დღეებში კი 4-5 ფეხბურთელსაც ელოდებიან. „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია იმედოვნებს, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში დარჩენას შეძლებს.**

— ვარჯიშები 10 იანვრიდან განვაახლეთ. საგანგებო პროგრამით ვვარჯიშობდით, რომელიც 12 დღეს გაგრძელდა. ძირითადად, ფეხბურთელთა ფიზიკური კონდინციების ამაღლებაზე ვმუშაობდით. სინჯები დაახლოებით სამოცდაათმა ფეხბურთელმა გაიარა. თუმცა უმეტესობამ ვერ დააკმაყოფილა კლუბის მოთხოვნა და მათ სამსახურზე უარი ვთქვით. სწორედ ფიზიკურ კონდინციებში მოიკოჭლებდნენ, ჩვენ კი ძლიერი მოთამაშეები გვჭირდება. ამჯერად ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. დილით ტრენაჟორებზე, საღამოთი კი ბურთთან ვმუშაობთ.

**— სანამ ახალწვეულებზე ვიტყოდეთ, ჯერ იმათზე თქვით, ვინც კლუბი დატოვა...**

— მეკარე შოთა მამინაშვილი „კუზბასში" წავიდა, ვიტალი დარჩიძე კი თურქეთის მეორე ლიგის „გაზიანთეფში" ჩაირიცხა. ჩვენთან არ იმყოფება კახა მახარაძე, თუმცა არაა გამორიცხული, მეორე წრის დაწყებამდე დაგვიბრუნდეს. ახალწვეულებს რაც შეეხება, ჯერჯერობით მხოლოდ გიორგი თურმანიძე დავიმატეთ.

**— ქებაძე, გიორგი ჩხეტიანი, ვლადიმერ დვალიშვილი — ეს ის ფეხბურთელებია, რომელთა მომავალს მეორე წრეში ბათუმის „დინამოს" უკავშირებენ...**

— ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ფაქტობრივად, სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ. თუმცა, ამ ეტაპზე მათი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ.

**— თბილისის „დინამოს" მცველი ლევან აკობია ამჟამად სომხეთში გადის სინჯებს და იმ შემთხვევაში თუკი მეზობლებს თავს ვერ მოაწონებს, ბათუმში ჩამოვაო...**

— სრული სიმართლეა. თუკი ლევანი სომხეთში ფეხს ვერ მოიკიდებს, კარიერას ჩვენთან გააგრძელებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის „დინამოსთან" აქტიურად ვთანამშრომლობთ. კლუბის დირექტორატში ჩვენი ბევრი ახლობელია და დახმარებას შეგვპირდნენ.

**— დახმარება რაში გამოიხატება?**

— ფეხბურთელების თხოვებით, სხვა რა უნდა იყოს?

**— ფინანსები?!**

— ეგ საკითხი უკვე მოგვარებულია. აჭარის ფეხბურთის ფედერაცია დაპირებისამებრ გვეხმარება. გარდა ამისა, ქალაქის ხელმძღვანელობას, უშუალოდ მერს რობერტ ჩხაიძეს შევხდვით და დახმარება აღვითქვა. მთელი ქალაქია დაინტერესებული, რომ „დინამო" უმაღლეს ლიგაში დარჩეს.

**— საუბარი იყო მეკარე სოსო გრიშიკაშვილის დამატებაზეც...**

— ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. ამჟამად გვყავს ირაკლი თოთლაძე, რომელიც კარგ ფორმაშია, თუმცა ერთი მაღალი კლასის მეკარეს, ალბათ, დავიმატებთ.

**— ძირითადად რომელი რგოლის გაძლიერებას აპირებთ?**

— დაცვისა და თავდასხმის. ნახევარდაცვაში, ასე თუ ისე, პრობლემები არ გვაქვს. მიშა კაკალაძემ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშობს. იმედია, განახლებულ ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

**— შეკრებას გეგმავთ?**

— რა თქმა უნდა! 23 თებერვალს გვაქვს პირველი თამაში. გორის „დილას" ვმასპინძლობთ. ათი დღით ადრე გუნდი შეკრებაზე გადავა. სადმე გამგზავრებას ვერ ვახერხებთ, ამიტომ შეკრებას ადგილზე, ბათუმში გავივლით. რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის „მგლებს" ამხანაგურად გავეჯიბრეთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ „მგლები" ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა. ჩვენებიდან გოლები გენო ბეჟანიძემ და ირაკლი ტულუშმა გაიტანეს. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში რუსთავის „ოლიმპსაც" გავეჯიბრებით, შემდეგ კვლავ „მგლებს" შევხვდებით, ამხანაგური მატჩების სერიას კი ჭიათურის „მაღაროელთან" შეხვედრით დავასრულებთ.

**— წლეულს, პირველი შემთხვევაა, როდესაც ბათუმის „დინამო" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის...**

— სამწუხარო რეალობაა. გუნდში რომ მოვედი, „დინამოს" მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა. ახლა ოთხი ქულა გვაქვს, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია. კარგად ვიცოდი, რომ იოლი სამუშაო არ მექნებოდა. ბევრი წინაღობაც შემხვდებოდა, მაგრამ ღვთის მადლით, ნელნელა ყველაფერი აეწყო. ბათუმის „დინამო" უმაღლეს ლიგაში აუცილებლად დარჩება, ამის პირობას მე გაძლევთ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან
ავტორის ფოტო

## ვეტერინართა სათურქეთო გუნდი

გუშინ „ვიტ ჯორჯია" თურქეთისკენ გაემგზავრა. ვეტერინარებმა ტრაბზონამდე ავტობუსით ჩააღწიეს, იქიდან კი ანთალიაში ჩაფრინდებიან და კურორტ სიდეს მიაშურებენ. „ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა **ნესტორ მუმლაძემ** თურქეთში წასაყვანად 24 ფეხბურთელი შეარჩია. ამით გუნდის დაკომპლექტება დასრულებულად შეიძლება მივიჩნიოთ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში დედაქალაქური კლუბის ღირსებას სწორედ ეს 24 მოთამაშე დაიცავს.

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ლურბელეიშვილი.**

მცველები: **გიორგი პირველი, დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე, ლაშა კასრაძე, დავით მაისაშვილი, გიგა ბეჭვაია, ალექსანდრე კვახაძე, გურამ ადამაძე.**

ნახევარმცველები: **ლუკა რაზმაძე, გიორგი ვასაძე, გიორგი კვალინიძე, გიორგი მელქაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, რევაზ ინჯგია, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი ჯანელიძე.**

თავდამსხმელები: **ვასილ ლუჭაშვილი, ზაზა სახოკია, გიორგი ბერიაშვილი, ჯაბა ლიპარტია, ბაჩანა ცხადაძე.**

„ვიტ ჯორჯია" თბილისში 18 თებერვალს დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დვალ-კორღალიძეს გაგრა გადაეყარა

ანთალიური შეკრება მოილია პირველლიგელმა „გაგრამ" და საქართველოში დაბრუნდება.

ბოლო სამ საკონტროლო მატჩში გაგრელებმა ორი წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. ყაზახურ „ქაირათთან" 1:6 წააგეს, რუმინეთის პირველი ლიგის „ბრანესტთან" — 1:3, ხოლო გუშინ მოლდოვურ „დაჩიას" გაიჯიბრნენ და 1:1.

„გაგრა": ხომერიკი — ქვრივიშვილი, ტეტუნაშვილი, კვანტალიანი, თოთაძე — ცხადაია, შარიქაძე, ჩარგეიშვილი — კორიფაძე, ძაგანია, ფილია.

გაგრელთაგან გოლი **ზურაბ ძაგანიამ** გაიტანა. რაც შეეხება მოლდოველთა ქართველებს, **ჯაბა დვალმა** სრულად ითამაშა, **ლევან კორღალიძე** კი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. მათგან გოლი არც ერთს გაუტანია.

„გაგრა" პირველი ლიგის აღმოსავლეთი ზონის ლიდერია, უმაღლეს ლიგას უმიზნებს და ალბათ, ამიტომაც არ დაიშურა კლუბის ხელმძღვანელობამ ფული ანთალიური შეკრებისთვის. ამით „გაგრის" ანთალიური გამოზამთრება არ დასრულებულა — თებერვლის შუა რიცხვებში კიდევ ერთხელ ჩავა იქ შეკრებაზე.

**დავით თავართქილაძე**

## მუჯირი მილიონზე მეტი ღირს

### ლოკომოტივი და კრილია შერიგდნენ

„ლოკომოტივისა" და „კრილია სოვეტოვის" ხელმძღვანელები ერთმანეთს საჯაროდ აღარ უკბენენ. შეგახსენებთ, სამარული კლუბის მესვეურები მოსკოველ კოლეგებს არაკოლეგიალურ საქციელსა და **დავით მუჯირის** უკანონოდ გადაბირებაში ადანაშაულებდნენ.

გუშინ კლუბებმა ქართველი ნახევარმცველის ფასზე მოილაპარაკეს. „ლოკო" „კრილიას" 1.1 მილიონი აშშ დოლარს ჩაუთვლის და კონფლიქტიც ამით ამოიწურება. სამარელები თანხას მას შემდეგ მიიღებენ, რაც მუჯირის კონტრაქტი რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ოფიციალურად დარეგისტრირდება.

კლუბები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ მომავალში მუჯირის ტრანსფერის თაობაზე კომენტარების გაკეთებას მოერიდონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## მოდებაძე გასინჯეს და გაუშვეს

### მარცვალაძეს ტრავმებმა ხარკოვი ჩაუშალა?

პერმის „ამქარმა" გასასინჯად ჩასული ქართველი თავდასხმელი **ირაკლი მოდებაძე** უკან გაუშვა. გაზეთ „ტვოი დენ"-ის ინფორმაციით, სერბმა მთავარმა მწვრთნელმა **მიოდრაგ ბოჟოვიჩმა** ოთხი ფეხბურთელი დაიწუნა და მათ შორის მოდებაძის გვარიც დაასახელა.

შესაძლოა, კიევის „დინამოს" კუთვნილ თავდამსხმელ **ოთარ მარცვალაძესაც** ახალი კლუბის ძებნა დასჭირდეს. ის „ხარკოვში" ვარჯიშობდა, მაგრამ მეორე თურქულ შეკრებაზე მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ბესონოვმა** ველარ იახლა - ოთარმა ტრავმა მიიღო.

უკრაინული „სპორტ-ექსპრესი" ამტკიცებს, სავარაუდოდ, გასინჯულ თავდამსხმელებს (სერბ მილან ვუკაშინოვიჩს და ოთარ მარცვალაძეს), ბესონოვი აღარ დააბრუნებსო.

„პირველი შეკრებისას, ოთარ მარცვალაძე მეტ დროს ექიმებში ატარებდა, ვიდრე მოედანზე. მეორე შეკრება კი, იძულებით, საერთოდაც გამოტოვა. „ხარკოვი" მოსამზადებლად რომ გაემგზავრა, მარცვალაძე კიევში ექიმთან კონსულტაციისთვის დარჩა. მალე მომჯობინდება თუ არა და მისცემს თუ არა ბესონოვი თავის გამოჩენის კიდევ ერთ შანსს, ჯერჯერობით გაურკვეველია" - წერს გაზეთი.

„ხარკოვმა" ოთხ შეხვედრაში მხოლოდ სამი ბურთი გაიტანა და ბესონოვის შეშფოთება გასაგებია. ასეთ დროს, ტრავმირებულ ფეხბურთელზე დაყრდნობა ძნელია. სხვათაშორის, საკონტროლო თამაშებში გოლის გამტანთაგან ერთ-ერთი **კახა ალადაშვილი** აღმოჩნდა.

უკრაინული კლუბი 9 თებერვალს ისევ თურქეთში გაემგზავრება და მარცვალაძის საკითხი მანამდე უნდა გადაწყდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჯაბას ბრაზილიელი დაუნიშნეს

**ჯაბა მუჯირის** ისპაჰანის „სეპაჰანი" თითქმის ერთი თვე უმთავარმწვრთნელოდ იყო — ხორვატი **ლუკა ბონაჩიჩი** უკეთესი ჯამაგირისთვის საემიროებში წავიდა სამუშაოდ.

ბონაჩიჩის შემცვლელად ხან მისი თანამემამულე **დარკო იანკოვიჩი**, ხან თურქი **მუსტაფა დენიზლი** და ხან გერმანელი **ვერნარ ლორანი** სახელდებოდა.

გასულ უქმეებზე კი „სეპაჰანმა" ბრაზილიელ **ჟორვან ვიეირასთან** გააფორმა კონტრაქტი.

ვიეირა მანამდე ერაყის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. ირანის თასის მფლობელი და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი „სეპაჰანი" სპარსეთის ჩემპიონატში ახლა მეორე ადგილზეა.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ბარსელონა

# ისევ სპეკულაციები, ისევ მოურინიო

## და რატომ ჩავიდა აბრამოვიჩი კატალონიაში?

ესპანური სააგენტოები კიდევ ერთხელ გვაუწყებენ იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან ბარსელონის სათავეში შეიძლება **ჟოზე მოურინიო** ვიხილოთ. სპეკულაციები ამ საკითხზე პირველად ორიოდე კვირის წინ გაჩაღდა. შემდეგ ვნებათაღელვა მიწყნარდა. და აი, გუშინ, დიარიო სპორტის ფურცლებზე ამ თემასთან დაკავშირებული მორიგი ინფორმაცია გამოქვეყნდა: **ფრანკ რაიკაარდის** ბარსელონური კარიერა დასასრულს უახლოვდება, კატალონიური კლუბი მოურინიოსთან კონტრაქტის გაფორმებას ცდილობსო. მიზეზი ბარსელონელთა სუსტი ასპარეზობაა. ესპანეთის პირველობაზე კატალონიური გრანდს მადრიდის რეალს გვარიანად ჩამორჩა. რაიკაარდმა საკუთარი პირით თქვა, ამ ეტაპზე "რეალი" ესპანეთის საუკეთესო კლუბიაო. ბარსელონაში მადრიდელთა პირველობასთან შეგუება უჭირთ. ამიტომ - წერს "დიარიო სპორტი" - "ბარსა" დიდ ფულს ჩამოვა, რათა თავისუფალ აგენტ მოურინიოს კონტრაქტი გაუფორმოს და გაისად სამეფო კლუბს ჩემპიონობა ჩამოართვასო. ჟოზე "ბარსელონისათვის" უცხო არ გახლავთ. ის **ბობი რობსონისა** და **ლუის ვან გაალის** ასისტენტი იყო. მისი პირველი სერიოზული სამწვრთნელო სამუშაო ბარსელონის დამრიგებლის თანაშემწეობა გახლდათ. ასე რომ წესით, "კამპ ნოუზე" სიამოვნებით უნდა დაბრუნდეს.

მთავარი მწვრთნელის შეცვლასთან დაკავშირებით კატალონიელებს კომენტარი რა თქმა უნდა არ გაუკეთებიათ. ამ ამბავს ჩვენც აქ დავასრულებთ და სატრანსფერო ინფორმაციებზე გადავალთ. "ბარსელონა" "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელით, **ქარიმ ბენზემათი** დაინტერესდა. ამ ფეხბურთელს "რეალიც" უთვალთვალებს. უფრო მეტიც, სამეფო კლუბი საფრანგეთის ჩემპიონებთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება სცდილობს, რათა ბენზემა სეზონის დასრულებისთანავე ჩაიგდოს ხელში. "ბარსამ" გადაწყვიტა, ფრანგი ვარსკვლავი დაუძინებელ მეტოქეს ცხვირწინ ააცალოს. ის "ლიონს" უფრო სარფიან პირობებს შესთავაზებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, თანხამ შეიძლება 30 მილიონი გირვანქასაც კი გადააჭარბოს.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ბარსელონამ" დიდი გაჭირვებით დაამარცხა "ოსასუნა", 1:0 (სამაგიეროდ, "რეალი" "ალმერიასთან" შერცხვა). ერთადერთი გოლი **ჩავი ერნანდესმა** 88-ე წუთზე გაიტანა. უჩვეულო გახლდათ ის, რომ ტიერი ანრი არა ცენტრ-ფორვარდად, არამედ ფლანგზე იყო გამწესებული. რაიკაარდმა ექსპერიმენტს მიმართა. თამაშის შემდეგ ტიერის მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს: "*რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მეტოქის კარის წინ და ვინ გაიტანს გოლს. მე თუ მკითხავთ, იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენ გოლს გაიტან. მთავარია გამარჯვება, რომელსაც დღეს მივაღწიეთ. რვა წელია, ცენტრფორვარდად ვთამაშობ. დღეს განაპირა თავდამსხმელი ვიყავი. თავს უჩვეულოდ ვგრძნობდი, მაგრამ ყოველთვის მზად ვარ, იქ ვითამაშო, სადაც მწვრთნელი დამაყენებს. ჩემი ტრავმა? ზურგი თითქმის აღარ მაწუხებს. ამ მხრივ სადარდებელი აღარ მაქვს.*"



ჟოზე მოურინიო

დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ გასულ უქმეებზე ბარსელონაში იმყოფებოდა "ჩელსის" ბოსი, **რომან აბრამოვიჩი**. მისი სტუმრობა შეუმჩნეველი, რა თქმა არ უნდა, არ დარჩენილა. ესპანელმა ჟურნალისტებმა ივარაუდეს, რომ აბრამოვიჩი აუცილებლად შეხვდებოდა "ბარსელონის" ხელმძღვანელობას და მათთან რონალდინიოს ტრანსფერის საკითხს განიხილავდა. ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის გარდა, "არისტოკრატებს" ახალგაზრდა მექსიკელი თავდამსხმელის, **ჯოვანი დოს სანტოსის** შეძენაც სურთო, წერენ ესპანური გაზეთები.

ტოტენჰემი

# ხუანდე რამოსს ადრიანო მოუნდა

## ამელიაც ლონდონში, ბეილი ზაფხულამდე ვერ ითამაშებს...

"ტოტენჰემი" **ადრიანოთი** დაინტერესდა. ბრაზილიელი თავდამსხმელი შინ იმყოფება და დრო და დრო ფსიქოლოგებთან დაიარება. მაგრამ უმთავრეს დროს, რა თქმა უნდა, ფეხბურთს უთმობს. მოგეხსენებათ, ის "ინტერიდან" "სან პაულუშია" განათხოვრებული. წესით, ადრიანო "სან პაულუში" ევროპული სეზონის ბოლომდე უნდა დარჩეს, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, მილანში საიჯარო კონტრაქტის ამოწურვია შემდეგაც არ დავბრუნდებიო. გამოსავალი? მისი ტრანსფერზე დაყენება. თუ მილანელები თავდამსხმელთან გამოთხოვებას გადაწყვეტენ, "ტოტენჰემი" მაშინვე დაუკავშირდება. ლონდონელები ყველაზე სარფიან წინადადებას გაამზადებენ.

"მამლების" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მათ იტალიიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენა სურთ. საუბარია ლივორნოსა და იტალიის ნაკრების გოლკიპერ **მარკო ამელიაზე**. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი პირველი, რას **ხუანდე რამოსმა** ინგლისში ჩასვლის შემდეგ გააკეთა, "ტოტენჰემის" მეკარის, **პოლ რობინსონის** სკამზე გადასმა იყო. ესპანელ მწვრთნელს ძალიან უნდოდა რობინსონის თავიდან მოშორება. მან გოლკიპერი ტრანსფერზეც კი დააყენა, მაგრამ მისი შეძენა არავინ მოისურვა. "მამლების" კარს **რადეკ ჩერნი** იცავს. სავარაუდოდ, ასე გაგრძელდება სეზონის ბოლომდე. გაისად კი ჩერნის ამელიასთან მოუწევს პირველობისათვის ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, რამოსს ამის დიდი იმედი აქვს. მარკოს აგენტი **კარლო პალავიჩინო** ამბობს, მეტი დრო რომ გვქონოდა, ჩემი კლიენტი უკვე ლონდონურ გუნდში იქნებოდა. იმედია, ზაფხულში შეთანხმებას ადვილად მივაღწევთო.

ერთი სამწუხარო ინფორმაცია "ტოტენჰემის" გულშემატკივრებისათვის: ახალგაზრდა მარცხენა მცველი **გარეთ ბეილი** სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. 18 წლის უელსელი ბეკემბრის დასაწყისში, "ბირმინგემთან" მატჩისას დაშავდა. მას მეტოქის თავდამსხმელის, **ფაბრის მუამბა** ეუხეშა. ბეილმა მუხლის მყესები გაიწყვიტა. ყმაწვილს ოპერაცია გაუკეთეს და თაბაშირი ახლაღა მოხსნეს. გარეთის ტრავმის გამო "ტოტენჰემმა" იანვრის ტრანსფერებისას ბრაზილიელი მარცხენა მცველი **ჟილბერტო** შეიძინა. ბერლინის "ჰერტას" მის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. "მამლებს" მეორე მარცხენა მცველი - **ბენუა ასუ-ეკოტოც** დაშავებული ჰყავთ. ერთი ხანობა, ამ პოზიციაზე კორეელი იანგ პიო ლი თამაშობდა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო ტურის მატჩში რამოსმა მარცხნივ ცენტრალური მცველი **პასკალ შიმბონდა** გადასწია.



ხუანდე რამოსი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# დეკუ, რანიერის საოცნებო

## ქალბატონს საგაისოდ დაცვის ცენტრის გაძლიერება უნდა...

ბარსელონელი **დეკუ** "იუვენტუსის" უმთავრესი საზაფხულო სამიზნეა. ამ ინფორმაციას ესპანური გამოცემა "დიარიო სპორტი" ავრცელებს. ტურინელთა თავკაცი **კლაუდიო რანიერი** მიიჩნევს, რომ დეკუს ყაიდის ფეხბურთელი მის გუნდს ძალიან სჭირდება. ამიტომ ენერგიას არ დაიწურებს, რათა ის ხელში ჩაიგდოს. დეკუ შეიძლება მისივე თანამემამულის, ტიაგო მენდეშის შემცვლელად მოგვევლინოს. ტიაგოს ინგლისში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ. ის იანვრის ტრანსფერების დროსაც აპირებდა აბარგებას. ფეხბურთელს სარფიან კონტრაქტს "პორტსმუთი" სთავაზობდა. "იუვენტუსის" სასურველი ფეხბურთელების სიაში სხვა გვარებსაც შეხვდებით - პალერმოელ **ამაურის**, ტულუზელ **იოჰან ელმანდერს**, მადრიდელ **ანტონიო კასანოს** (რომელიც იჯარით "სამპდორიაში" ასპარეზობს და სამპდორიელებსაც სურთ მისი გამოსყიდვა) და რა თქმა უნდა, ბრემენელ **დიეგოს**.

გუშინ "გაძეტა დელო სპორტმა" კიდევ ერთი ფეხბურთელის შესახებ გვაუწყა - რაინიერი ფლორენციელი მცველით, **დარიო დაინელითაც** დაინტერესდაო. "იუვე" "ფიორენტინის" სპორტული დირექტორ პანტალეო კორვინოს შეეხმიანა და დაინელის ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა. იანვრის ტრანსფერებისას ტურინელები **ჟან ალენ ბუმსონგსა** და **დომენიკ კრიშიტოს** გამოეთხოვა. ისინი სეზონის ბოლომდე გაალწევენ. საგაისოდ კი აუცილებლად დასჭირდებათ დაცვის ცენტრის გაძლიერება. "ქალბატონს" "ფიორენტინასთან" წინასწარი კონტრაქტის გაფორმება სურს.

### ბენჯანი ისევ გზაშია

სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, მაგრამ ზიმბაბველი **ბენჯანი მვარუვარი** ისევ ჰაერშია გამოკიდებული. ფეხბურთელი "პორტსმუთის" საკუთრებაა. იანვრის ფანჯრისას მის შეძენა მანჩესტერ სიტი ცდილობდა. მანჩესტერელებმა 7.6 მილიონი გირვანქა გაამზადეს. "პორტსმუთმა" თავდამსხმელი გაყიდულა მიიჩნია და მის ადგილზე ერთბაშად ორი ფეხბურთელი გადაიბირა - **მილან ბაროში** და **ჯერმეინ დეფო**. მაგრამ გარიგება ვერ და ვერ სრულდება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია აცხადებდა, ტრანსფერის ქაღალდები დაგვიანებით შემოვიდა, ამიტომ მას რეგისტრაციაში ვერ გავატარებთო. ვერ გეტყვით, რა მანქანებით, მაგრამ "პორტსმუთმა" და "სიტიმ", როგორც ჩანს, მოახერხეს ასოციაციის მაღალჩინოსანთა დარწმუნება, რომ შეთანხმება დროულად, ფანჯრის დახურვამდე შედგა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბენჯანი მაინც მიაშურებს ახალ სამსახურს. "პორტსმუთის" ანგარიშზე კი სოლიდური თანხა ჩაირიცხება.

### აფრიკამ კანუტე აირჩია

მალელი თავდამსხმელი **ფრედერიკ კანუტე** აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში შავი კონტინენტის ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები მონაწილეობდნენ. კანუტემ კოტდივუარელი **დიდიე დროგბა** და განელი **მიკაელ ესიენი** დაამარცხა, თუმცა ეს არავის გაკვირვებია. ფრედერიკი 2007 წელს "სევილიასთან" ერთად მოპოვებული წარმატებებისათვის დააფასეს. შეგახსენებთ, ანდალუსიელებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს უეფას თასი და ესპანეთის სამეფო თასსაც გაუსინჯეს გემო.

თინეიჯერობისას, კანუტე საფრანგეთის იუნიორთა ნაკრებში თამაშობდა, მაგრამ როცა წამოიზარდა, მიხვდა, რომ "ლურჯებში" მოხვედრის შანსი არ ჰქონდა. ამიტომ უარი არ თქვა მისი მამის სამშობლოდან მიღებულ წინადადებაზე. ის პირველი მალელია შორეული 1970 წლის შემდეგ, რომელსაც ასეთი აღიარება ხვდა წილად. 38 წლის წინ მწვრთნელებმა აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი პირველად აირჩიეს. მაშინ კანუტეს თანამემამულემ, **სალიფ კეიტამ** გაიმარჯვა.

სხვა ჯილდოები ასე განაწილდა: აფრიკის წლის საუკესესო ნაკრებად კოტ დივუარი დაასახელეს, წლის საუკეთესო კლუბად აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ტუნისური "ეტუალ საჰილი". ამავე კლუბის თავდამსხმელ **არმინ შერმიტს** საკლუბო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადაეცა, ხოლო ზამბიელ **კლიფორდ მულენგას** - კონტინენტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი. უცნაური ის იყო, რომ კანუტეს აღიარება დაემთხვა მალის ნაკრების აფრიკის ერთა თასიდან გამოთიშვას. გუნდმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი განასთან წააგო და შინ გაემგზავრა.

### სტონტონი ლიდსში მაკალისტერთან

ირლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **სტივ სტონტონი** "ლიდსის" მეორე მწვრთნელად დაინიშნა. ბოლო ორი თვის განმავლობაში "ლიდს იუნაიტედის" სამწვრთნელო შტაბი მთლიანად შეიცვალა. გუნდის თავკაცი **დენის უაიზი** იყო. ორიოდე კვირის წინ ის "ნიუკასლის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა. უფრო ადრე უაიზის ასისტენტმა **გუსტავო პოიეტმა** "ტოტენჰემს" მიაშურა. ის "მამლების" დამრიგებლის, **ხუანდე რამოსის** მარჯვენა ხელი გახდა. იორკშირელებმა უაიზის ნაცვლად შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **გარი მაკალისტერი** მიიწვიეს. ის ლიდსის ყოფილი ვარსკვლავიცაა. და აი, მაკალისტერმა ასისტენტად სტონტონს უხმო. სტონტონს ირლანდიის ნაკრებში 102 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ მისი სამწვრთნელო დებიუტი ულიმღამო გამოვიდა. სტონტონმა ირლანდია ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა.



ალეშანდრე პატო

ხვალ ბრაზილიის ნაკრები ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. თამაშს დუბლინი უმასპინძლებს. პენტაკამპეონებს **კაკა** და **ალეშანდრე პატო** ვერ დაეხმარებიან. მილანელ ვარსკვლავებს ტრავმები აქვთ. ისინი "ფიორენტინასთან" ბოლო ტურის მატჩში დაშავდნენ. "როსონერის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა, რომ პატოს ტრავმა სერიოზულია. ყმაწვილს შეიძლება რამდენიმე კვირა გაუუცდეს. კაკა შედარებით მსუბუქად დაშავდა, მაგრამ დასვენებას მასაც სჭირდება. ინფორმაცია ამ ფეხბურთელების არყოფნის შესახებ, ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამ

ირლანდია VS ბრაზილია

# პენტაკამპეონები ახალგაზრდული შემადგენლობით

## დუნგას მილანელი ვარსკვლავები გამოაკლდნენ...

გაავრცელა. მანვე გვაუწყა, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლოს დუნგამ** კაკასა და პატოს შემცვლელები უკვე გამოიძახა. ესენი არიან ბრემენელი **დიეგო** და ბეშიქთაშელი **ბობო**. ერთი დღით ადრე დუნგამ მეორე ბრემენელ ლეგიონერს, **ნალდო რაფაელს** უხმო. მას დაშავებული ბაიერნელი ცენტრალური მცველის, **ლუსიუს** შეცვლა დაეკისრა. აქვე, ირლანდიელებთან მატჩისათვის ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობთ. იმთავითვე გეტყვით, რომ შემადგენლობა ექსპერიმენტულია და მასში არა ერთი ახალგაზრდა ფებურთელის გვარს შეხვდებით:

**მეკარეები** - ჟულიო სეზარი (ინტერი), რენანი (ინტერნასიონალი), ლეონარდო მოურა (ფლამენგო);

**მცველები** - რაფინია (შალკე), მარსელო (რეალი), ბრენო (ბაიერნი), ნალდო (ვერდერი), ლუიზაო (ბენფიკა), ალექსი (ჩელსი);

**ნახევარმცველები** - ჟილბერტო (არსენალი), ერნანესი (სან პაულუ), ჟოსუე (ვოლფსბურგი), ლუკასი (ლივერპული), რიჩარლისონი (სან პაულუ), ანდერსონი (მანჩესტერ იუნაიტედი), ტიაგო ნევესი (ფლუმინენსე);

**თავდამსხმელები** - ჟულიო ბაპტიშტა (რეალი), რობინიო (რეალი), ლუიშ ფაბიანო (სევილია), რაფაელ სობისი (ბეტისი).

არსენალი. გამოხმაურება

# ვენგერი შეგირდს აქებს

## ფრანგი მწვრთნელი რონალდოს დიდ პატივს სცემს...

მოგეხსენებათ, "არსენალმა" "მანჩესტერ იუნაიტედის" წაფორხილებით ისარგებლა და ცხრილში პირველ ადგილზე წამოსკუპდა. "მენიუმ" ტოტენემს ვერაფერი დააკლო (1:1), "მეთოფეებმა" კი "მანჩესტერ სიტის" მისსავე სახლში აუგეს წესი (3:1). სიტისთან ნამატჩევს "მეთოფეთა" დამრიგებელმა **არსენ ვენგერმა** თამაში ასე შეაფასა: *"მატჩს მთლიანობაში ჩვენ ვაკონტროლებდით და მნიშვნელოვანი გოლებიც გავიტანეთ. მხოლოდ ერთ მომენტში დავკარგეთ კონცენტრაცია. როდესაც 2:0-ს ვიგებდით და მესამის გატანაც დაჟინებით გვსურდა, სულ ოდნავ მოვეშვით და დავისაჯეთ, გოლი გავუშვით. საბედნიეროდ, კონცენტრაციის დაკარგვა წამიერი აღმოჩნდა. "სიტის" ფეხბურთელებმა ანგარიშის გათანაბრება მოინდომეს და შეტევაში დიდი ძალებით წავიდნენ. ამან კონტრშეტევებისთვის დიდი დერეფნები შეგვიქმნა. ამით ვისარგებლეთ და მესამე გოლი გავიტანეთ. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ ეს გამარჯვება დამსახურებული იყო."*

ამის შემდეგ მან ვრცლად ისაუბრა გუნდის ახლადგამომცხვარ ლიდერზე: *"ამ წუთას მე მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. მოხარული ვარ, რომ ლონდონში დარჩა და აფრიკის თასზე არ თამაშობს. გავცვლიდი თუ არა ადებაიორს კრისტიანო რონალდოში? არ ღირს ამ სიტუაციის სერიოზულად განხილვა. პატივს ვცემ რონალდოს, მაგრამ ამ წუთას კმაყოფილი ვარ იმ მოთამაშეებით, რომლებიც ჩემს განკარგულებაში არიან... ეს ფეხბურთელები ხასიათითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან და თამაშის სტილითაც. უყურეთ, კრისტიანო ფლანგის ფეხბურთელია, ადებაიორი სუფთა ცენტრფორვარდი. მათი შედარება არც შეიძლება. ემანუელმა წლეულს ძალიან მოუმატა. მასში მომწონს არა მხოლოდ ის, რომ ბევრი გოლი გააქვს, არამედ ისიც, რომ რიგ მომენტებში, შეუძლია, მცველები მიიზიდოს, ფლანგზე გაიტყუოს და ამით სხვებს სამოქმედო არეალი გაუზარდოს. თუ გახსოვთ, როდესაც ის ჩვენთან გადმოვიდა, ძალიან უჭირდა კონცენტრაცია, უსაშველოდ განიცდიდა ყოველ გაფუჭებულ მომენტს, ახლა კი ბუთის მართვაც გააუმჯობესა, შეტევების დაგვირგვინებაც და სწრაფად აზროვნებასაც შეეჩვია. ჩემთვის სულაც არაა მნიშვნელოვანი, რომ ფეხბურთელი ბომბარდირთა დავაში ლიდერობდეს. იყო წლები, როდესაც პრემიერლიგის საუკეთესო თავდამსხმელები ჩემს გუნდში იყვნენ, მაგრამ ვერაფერს ვიგებდით. მნიშვნელოვანია ის, რომ თამაშებს რეგულარულად ვიგებთ. ამიტომაცაა, რომ ჩემს ფორვარდებს ვთხოვ, კონცენტრაცია მოახდინონ გუნდურ სამუშაოებზე. ეს ადამიანი მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე, მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება, ცდილობს, ყოველდღე გადადგას ნაბიჯი პროგრესისკენ. მისი ასეთი ბრწყინვალე ფორმაც ამის დამსახურებაა. ემანუელი მოედანზე მომხდარ ყოველ ფაქტს ცივი გონებით აანალიზებს".*



ემანუელ ადებაიორი არსენალის ახლადგამომცხვარი ლიდერია

დაბოლოს, მან ზოგადად გუნდის შესახებაც თქვა ორიოდე სიტყვა: *"პირველ რიგში, ჩვენი გუნდი შეკრული კოლექტივია. ამის გააზრება კი ფეხბურთელებზე დადებითად მოქმედებს. გუნდურობა - აი, ის საუკეთესო თვისება, რაც შეიძლება საფეხბურთო კოლექტივს ახასიათებდეს".*

ლივერპული

# ვის გამოეთხოვება ბენიტესი?

## ტორესი ძვირი უჯდებათ, კლუბის გაყიდვაზე საუბარი ჯერ არ დასრულებულა...

სეზონის ბოლოს "ლივერპული" მინიმუმ ხუთ მოთამაშეს გამოეთხოვება. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. ტაბლოიდის ცნობით, **რაფა ბენიტესის** შავ სიაში მოხვდნენ **ჯონ არნე რიისე, ჩაბი ალონსო, ჰარი კიუელი, ანდრეი ვორონინი** და **პიტერ კრაუჩი**. ამ ფეხბურთელთაგან რეალური მსურველი ჯერჯერობით მხოლოდ კრაუჩს ჰყავს. მას "მანჩესტერ სიტი" ეპატიუება. სპეკულაციების თანახმად, "სიტი" "ლივერპულს" 10 მილიონი გირვანქას გადაუხდის და ნახევარმცველ **მაიკლ ჯონსონს** გადაულოცავს. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

**ფერნანდო ტორესი** საუცხოო სეზონს ატარებს. 23 წლის ესპანელმა ყველა ტურნირში 18 გოლს მოუყარა თავი. ის მერსისაიდელთა თავდასხმის ლიდერია. მაგრამ როგორც ირკვევა, ტორესის შედეგიანი თამაში მის კლუბს ძვირი უჯდება. გასულ ზაფხულს "ლივერპულმა" "ატლეტიკოსთან" საინტერესო კონტრაქტი გააფორმა: ინგლისურმა გრანდმა ესპანელებს დაუყოვნებლივ მიუთვალა 21 მილიონი გირვანქა. ამას გარდა, მერსისაიდელებმა ივალდებულეს, ფერნანდოს ყოველი 15 გოლის შემდეგ, 150 ათასი გირვანქა გადაიხადონ. ტორესმა იმდენი ქნა, რომ ლივერპულელებს ერთი 150 ათასი უკვე გადასახდელი აქვთ. ფეხბურთელს ეს ამბავი დიდად არ აღელვებს: *"ჩემით ყველა კმაყოფილია: "ლივერპულის" ანგარიშზე გოლები ინერება, ხოლო "ატლეტიკო" ფულს შოულობს. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ამდენ გოლს ასე უცბად გავიტანდი, მაგრამ საქმეები კარგად წამივიდა. ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ "ლივერპულმაც" მოუმატოს და რაიმე ტიტული მოიპოვოს, რაც ჩემი თანაგუნდელების შრომისათვის საუკეთესო გასამრჯელო იქნებოდა."*

ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩები. მერსისაიდელები "ინტერს" ეთამაშებიან. ბენიტესს, შეიძლება, ორი ლიდერი - **სტივ ჯერარდი** და **ჯეიმი კარაგერი** ვერ დაეხმარონო, იუწყება "მეილ ონ სანდი". მიზეზი ბრიტანეთის ვაჭრობის სტანდარტების ორგანიზაციისა და კომპანია "სპორტინგ აიქონის" დავაა. დავამ სასამართლოში გადაინაცვლა. ჯერარდსა და კარაგერს კი სხდომაზე მოწმის სტატუსით მოუწევთ გამოსვლა.

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მოგახსენებთ, რომ კომპანია "სპორტინგ აიქონი" "ლივერპულის" მაისურებით ვაჭრობს, თანაც მყიდველებს ეუბნება, რომ მათთან შეძენილ მაისურებზე ნამდვილად ჯერარდის, კარაგერისა და სხვა ვარსკვლავების ხელმოწერებია. ვაჭრობის სტანდარტების ორგანიზაცია მყიდველთა უფლებებს იცავს. ისინი ამტკიცებენ, რომ ხელმოწერებს, რომლითაც აჭრელებულია სპორტინგ აიქონში შეძენი მაისურები, ვარსკვლავებთან საერთო არაფერი აქვთ. ჯერარდსა და კარაგერს მოუწევთ, პირადად უპასუხონ უხერხულ კითხვებს: ნამდვილად ისინი აწერდნენ თუ არა ხელს მაისურებს, რომებთა გაყიდვიდან გარკვეული წილი მათაც მისდიოდათ, თუ უბრალო თაღლითობასთან გვაქვს საქმე. სასამართლოს უმნიშვნელოვანესი სხდომა 11 მარტისათვის დაინიშნა. ამ დღეს კი "ლივერპულს" "ინტერთან" სტუმრად განმეორებითი მერვედფინალი აქვს.

მერსსაიდელებზე საუბარს დავასრულებთ მორიგი ინფორმაციით, რომელიც კლუბის მფლობელებს ეხება. "დეილი მეილი" იუწყება, რომ კლუბის თანამფლობელი **ჯორჯ ჯილეტი** "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალთან" ერთად, მისი პარტნიორის, **ტომ ჰიკსის** წილის შეძენას აპირებს. "დეილი მეილი" იმასაც წერს, რომ თუ ჯილეტი კლუბში აქციების საკონტროლო პაკეტს დაეუფლება, დუბაურ კომპანიასთან საქმის გაჩარხვა უფრო გაუადვილდება. ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ ჯილეტსსა და ჰიკსს შორის ურთიერთობა გაცივდა, განსაკუთრებით ჰიკსის სკანდალური განცხადებების შემდეგ, რომელიც მან **იურგენ კლინსმანთან** დაკავშირებით გააკეთა.



ფერნანდო ტორესი ძვირ გოლებს იტანს

### დეფო ინგლისის ნაკრებში

ინგლისის ნაკრებში სიახლეა. **ფაბიო კაპელომ ჯერმენ დეფო** გამოიძახა. ეს კვირა ფეხბურთელისათვის მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა. ჯერ იყო და სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მან "ტოტენჰემიდან" "პორტსმუთს" მიაშურა. ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. დეფომ სარფიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი და პირველსავე მატჩში "ჩელსისთან" გოლი გაიტანა. და აი, მას ეროვნულ გუნდშიც უხმეს. დეფო თავდაპირველ განაცხადში არ ყოფილა. მან ასტონვილელი **გაბრიელ აგბონლაორი** უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელმა პრემიერლიგის ბოლო ტურში, "ფულჰემთან" მატჩისას მუხლის ტრავმა მიიღო. ჯერმეინს ინგლისის ნაკრებში 26 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზე მხოლოდ სამი გოლია. ფორვარდმა კაპელოს გადაწყვეტილების გამო კმაყოფილება ვერ დამალა, მიხარია, რომ მწვრთნელები და პარტნიორები მენდობიანო, უთხრა მან "მირორის" მიმომხილველს.

### ჰოლანდიელთა ორი დანაკლისი

**კლარენს ზეედორფი** სანაკრებო მატჩს გამოტოვებს. ვეტერანმა ნახევარმცველმა "ფიორენტინასთან" ბოლო ტურის მატჩისას ტრავმა მიიღო. მან ტერფის ძვალი დაიზიანა, რის გამოც მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს. 6 თებერვალს ჰოლანდიის ნაკრები ხორვატთა სტუმარია. ამხანაგური შეხვედრა სპლიტში გაიმართება. ჰოლანდიელთა თავკაც **მარკო ვან ბასტენს** ზეედორფის შემცვლელის ვინაობა არ დაუსახელებია.

ხორვატიაში ვერ გაემგზავრება **რუუდ ვან ნისტელროიც**. "ალმერიასთან" შაბათის მატჩისას, რომელშიც მადრიდელებმა სენსაციური მარცხი იწვნიეს, ფორვარდმა კოჭი იტკინა და ისვენებს. ვან ნისტელროი ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. მიმდინარე სეზონში მან 12 გოლი შეაგდო. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავდამსხმელს სანაკრებო მატჩი გაუცდება, "რეალის" პრესსამსახურმა გაავრცელა.

### ვენეიბლზი ირლანდიაში?

ირლანდიის ნაკრების თავკაცის ვინაობა უახლოეს 10 დღეში დასახელდება. ამ ინფორმაციას ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია ავრცელებს. ვაკანტურ პოსტზე უმთავრეს პრეტენდენტად ინგლისელი **ტერი ვენეიბლზი** ითვლება. ეს უკანასკნელი ბოლოს **სტივ მაკლარენის** თანაშემწედ მუშაობდა ინგლისის ნაკრებში, ხოლო 12 წლის უკან სულაც ნაკრების თავკაცი იყო. კიდევ ერთი კანდიდატი 68 წლის იტალიელი **ჯოვანი ტრაპატონია**, ვინც ახლა "ზალცბურგის" მთავარი მწვრთნელია. ამ უკანასკნელმა უარყო ავსტრიის დატოვების შესაძლებლობა. ასე რომ, მისტერ ტერის გზა პრაქტიკულად ხსნილი აქვს. აქვე გეტყვით, რომ ამ ჭალარაშერეული კაცის სამწვრთნელო კარიერა ძალიან მდიდარია. წვრილ-წვრილ კლუბებზე რომ არ შევჩერდეთ, სადაც მას უმუშავია, საკმარისია დავასახელოთ: "ბარსელონა" (1984-87) და "ტოტენჰემი" (1987–1991), ხოლო სანაკრებო დონეზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მას მშობლიური ინგლისისა (1993–1996) და ავსტრალიის (1997–1998) ნაკრებებში უმოღვაწია.

### უელსი ლიდერების გარეშე

უელსის ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ხვალ, ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩი "ვესტ ჰემის" ორი ფეხბურთელის გარეშე ჩაატაროს. ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩნენ მცველი **დენი გებიდონი** და ფორვარდი **კრეიგ ბელამი**. ამის მიზეზი მათი არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური ფორმა გახლავთ. თუმცა ამ ყველაფერს აქვს ლოგიკური ახსნა: გებიდონი ორი თვე ისვენებდა, ხოლო ბელამი - სამი. ბუნებრივია, მწყობრში ჩადგომის უმალ, ორივე მათგანი ნაკრებში დაბრუნდება.

### უგო ალმეიდა ნუნუ გომეშის ნაცვლად

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** პორტუგალიის ნაკრებში უგო ალმეიდა მიიწვია. ის ბრემენის ვერდერის თავდამსხმელია. ალმეიდა ბენფიკელ ფორვარდ **ნუნუ გომეშს** შეცვლის. ამ უკანასკნელმა მარცხენა ბარძაყის ტრავმა მიიღო და გასულ უქმეებზე ნასიონალთან შეხვედრა ვერ ჩაამთავრა. 6 თებერვალს პორტუგალია იტალიას ეთამაშება. ნუნუ გომეშს მინდორზე გასვლის იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. მას საფუძვლიან სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ და გადაწყვეტენ, შეიძლება თუ არა ფეხბურთელის დაყენება.

### ფრეი ჯილარდინოში იცვლება?

გასულ უქმეებზე "მილანი" "ფიორენტინას" ესტუმრა და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. მეორე დღეს იტალიურმა მედიამ ამ გუნდებთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ისინი სარფიანი გარიგებისათვის ემზადებიანო, წერს "გაძეტა დელო სპორტი". მისი მტკიცებით, სეზონის ბოლოს **სებასტიან ფრეის ალბერტო ჯილარდინოში** გაცვლიან. ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომ** განაცხადა, რომ თუ ფრანგი მეკარე ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს, წინ არ დაუდგებიან. კორვინოს არც იმას მალავს, რომ ჯილარდინოსთან კონტრაქტის გაფორმება მის გუნდს ძალიან წაადგებოდა. ფეხბურთელები სატრანსფერო სპეკულაციებს არ გამოხმაურებიან.

### ბარსამ გლები მოიქითხა

ინგლისური სააგენტოების ცნობით, ბარსელონა არსენალელი **ალექსანდრ გლებით** დაინტერესდა. "დეილი მეილი" იუწყება, რომ კატალონიელები 10 მილიონ გირვანქას ამზადებენ. გლები ბელორუსის ნაკრების 26 წლის ნახევარმცველია. ის ლონდონურ კლუბში 2005 წლის ზაფხულიდან ასპარეზობს. იქამდე ხუთი სეზონი ფეხბურთელმა გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტში" გაატარა. იგივე გამოცემა გვამცნობს, რომ "ბარსა" "არსენალს" აფრიკის ერთა თასის დასრულებისთანავე დაუკავშირდება. კატალონიელთა სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** განაში იმყოფება და ჯერჯერობით, სხვა საქმეებისათვის ვერ იცლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის ნაკრები

# ბოიან კრკიჩის დებიუტი სათუოა

## არაგონესს სხვა პრობლემებიც აქვს...

გასულ პარასკევს ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუის არაგონესმა** "სელექსიონის" ის შემადგენლობა გამოაცხადა, რომელიც 6 თებერვალს საფრანგეთის წინააღმდეგ ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მოემზადება. პირენეელთა დამრიგებელმა რჩეულთა სიაში 17 წლის **ბოიან კრკიჩი** შეიყვანა. იმ შემთხვევაში, თუ ბარსელონელი მოედანზე გავა და თუნდაც ერთ წუთს ითამაშებს, ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდება. ბოიანმა არაგონესს საგანგებო პრესკონფერენცია უძღვნა და მთელი ქვეყნის გასაგონად გულითადი მადლობა გადაუხადა. თინეიჯერმა ფორვარდმა გულწრფელად განაცხადა, ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი, თუ 17 წლისას ესპანეთის ეროვნულ გუნდში გამომიძახებდნენო.



შეტევაშია ბოიან კრკიჩი

მადრიდული სპორტული გაზეთების სტატიებით შევიტყვეთ, რომ კრკიჩის ოცნების რეალიზებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. კვირას მან "ოსასუნას" წინააღმდეგ იასპარეზა და ბოლომდე დაიხარჯა. **ფრენკ რაიკაარდმა** შეგირდი არ შეცვალა. თითქოს არანაირი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოიანს უეცრად კუჭი აეშალა და "ბარსას" ექიმებს შველისთვის მიმართა. ფეხბურთელს მათ გასტროენტერიტისის მწვავე ფორმა დაუდგინეს. როგორც ჩანს, ფორვარდს რომელიღაც პროდუქტმა აწყინა. მედიკოსებმა გადაწყვიტეს საქმის კურსში არა მარტო რაიკაარდი, არამედ **ჟოან ლაპორტაც** ჩაეყენებინათ. მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტი ძალიან შეწუხდნენ. ლაპორტამ გადაწყვიტა, გართულებების თავიდან აცილების მიზნით ბოიანი ესპანეთის ნაკრებში არ გაეშვა, თუმცა თინეიჯერმა პრეზიდენტს თხოვა, ხელი არ შეეშალა ისტორიაში შესულიყო. კრკიჩს ერთი სული აქვს "სელექსიონის" ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად იქცეს. თავდამსხმელმა ლაპორტა დაითანხმა, თუმცა კატალონიელებმა მას ნაკრებში სამედიცინო ცნობა გაატანეს, სადაც წერია, რომ ბოიანს მწვავე გასტროენტერიტისი აწუხებს და ეროვნული გუნდის ექიმების თანხმობის გარეშე მისი თამაში დაუშვებელია. ბარსელონელმა კლუბის მოთხოვნა პირნათლად შეასრულა. "სელექსიონის" ექიმებმა პაციენტის მდგომარეობა თავადაც შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ავადმყოფობა ფაქტობრივად, ალაგმულია. მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით უცნობია, დართავენ თუ არა არაგონესს ბოიანის მოედანზე გაყვანის უფლებას.

ამასობაში, პირენეელებმა კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს. გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ **დავიდ სილვამ** ბარძაყის კუნთის აუტანელი ტკივილი იგრძნო. ტკივილი იმდენად მტანჯველი გახლდათ, რომ ფეხბურთელმა ვარჯიშის გაგრძელება ვერ შეძლო. სახელდახელო შემოწმების შემდეგ ექიმებმა არაგონესს მისი გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართეს. ეჭვობენ, რომ ვალენსიელს კუნთი გაუწყდა. ზუსტი დიაგნოზი მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც სილვა კლუბში დაბრუნდება და ვალენსიის კლინიკაში საფუძვლიან გამოკვლევას ჩაიტარებს. "სელექსიონის" მთავარი მწვრთნელი ძალიან შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა. შეგირდი მან უმალ სახლში გაუშვა. მხცოვანმა სპეციალისტმა გადაწყვიტა, დავიდის ნაცვლად არავინ გამოიძახოს.

აი, **არბელოას** შესაცვლელად კი მან "ვილიარეალის" ნახევარმცველს, **ანხელს** უხმო. არაგონესი კომიკურ სიტუაციაში გაეხვა. მწვრთნელმა ზემოთხსენებულ პრესკონფერენციაზე დიდი ამბით განაცხადა, არბელოას ვიწვევ და მას დიდ იმედებს ვუკავშირებო. ალმოჩნდა, რომ "ლივერპულის" ნახევარმცველს ათი დღით ადრე "ასტონ ვილასთან" მატჩში ტრავმა ჰქონდა მიღებული და რეაბილიტაციისთვის სულ მცირე კიდევ ორი კვირა სჭირდება. რა თქმა უნდა, ბატონ ლუისს ეს უნდა სცოდნოდა და თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო. ესპანელები სიტუაციაში მხოლოდ მას შემდეგ გაერკვნენ, რაც "ლივერპულის" ოფისიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ არბელოა ვერაფრით შეძლებდა საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას. არაგონესს ისღა დარჩენოდა, შემცვლელზე ფიქრი დაეწყო. პირენეელთა დამრიგებელმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა ვაკანტური ადგილი სწორედ ანხელისთვის შეეთავაზებინა. "ვილიარეალის" ნახევარმცველს ის საკმაოდ კარგად იცნობს. ბოლოს ნაკრების მაისურა 2007 წლის აგვისტოში მოარგო და კმაყოფილიც დარჩა. გარკვეული მიზეზების გამო ანხელს მას შემდეგ "სელექსიონში" თამაშის საშუალება აღარ მისცემია. ახლა ამ ბიჭს ფანტასტიკური შანსი გაუჩნდა, რათა ნაკრების ხელმძღვანელობა საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნოს.



დიეგოს ეს გოლი 2007 წლის ულამაზესად აღიარეს

ბუნდესლიგა. ლაურეატი

# 2007 წლის გოლი დიეგოსია!

## 62.6 მეტრიდან გატანილი გოლი აღიარების გარეშე არ დარჩენილა

გერმანიის საზოგადოებრივი ტელეარხის, ARD-ს სპორტულმა გადაცემა „შპორტშაუმ" გამოკითხვის შედეგად ბუნდესლიგაში გატანილი 2007 წლის საუკეთესო გოლი გამოავლინა. გამარჯვება ხმათა უმრავლესობით „ვერდერის" ბრაზილიელი გამთამაშებლის, **დიეგოს** გოლმა მოიპოვა. ეს გახლდათ გოლი, რომელიც „მუსიკოსების" მე-10 ნომერმა გასული წლის 20 აპრილს აახენის „ალემანიას" გაუტანა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ბრაზილიელმა თავისი ნახევრიდან დაარტყა. 2006 წლის ულამაზესი გოლის ავტორი მიონხენგლადბახის „ბორუსიის" თავდამსხმელი **ოლივერ ნოივილი** გახდლათ. აღსანიშნავია, რომ მეორე ადგილზე ფრანკფურტის „აინტრახტის" ნახევარმცველ **კრისტოფ პროისის** გოლი გავიდა – მაკრატელა „ბაიერნთან".

საინტერესოა ის, რომ დიეგო ამ ნომინაციაში ორი გოლით იყო წარდგენილი. 10 ნოემბერს მან ასევე ულამაზესი გოლი გაუტანა „კარლსრუეს", როცა ნახევარბრუნში მოხდენილად დაარტყა. ეს გოლი ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაშინ თვის საუკეთესოდ დაასახელეს. მაგრამ ამ გოლზე მეტი ხმა „ალემანიის" კარში გატანილმა იმ სასწაულებრივმა დარტყმამ მიიღო, რომელიც დიეგომ 62.6 მეტრის დისტანციიდან შეადრულა...



ბუნდესკაპიტანი

ბაიერნი

# რიბერის ტრავმა და კლინსმანის საიდუმლო სტუმრობა

## რომელიც საიდუმლოდ ვერ შეინახეს...

გასულ უქმეებზე „ბაიერნის" მომავალი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** მიუნხენში ჩავიდა. კლინსიმ ბავარიის მთავარ ქალაქს პარასკევს მიაშურა და ერთ-ერთ არცთუ ისე ცნობილ სასტუმროში დაბინავდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ის გახლდათ, რომ კლინსმანის სტუმრობა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გაზეთმა „ბილდმა" ამ საიდუმლოს ფარდა ძალიან მალე ახადა. ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს დარჩება იურგენი მიუნხენში.

ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი კი ბავარიული გიგანტის ხელმძღვანელებთან შეხვედრა იყო. მაგიდას კლინსი, მისი მომავალი ასისტენტი **მარტინ ვასკესი**, „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**, მისი თანაშემწე **კარლ ჰოპფნერი** და ჰიონესის მეუღლე **სუზი** შემოუსხდნენ. ალბათ იფიქრებთ, ჰიონესის ცოლს რაღა უნდოდაო. გაკვირვება ლოგიკურია, მაგრამ საკმარისია ვიცოდეთ, რომ ჰიონესს თავის მეუღლე შეხვედრებზე მხოლოდ მაშინ დაჰყავს, როცა უნდა, რომ თანამოსაუბრისადმი სითბო და პატივისცემა გამოხატოს, რომ ყველაფერი გასაგები იქნება.

საუბრის თემები, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მეტწილად პირადული იყო. მაგალითად: სად იცხოვრებს კლინსმანი მიუნხენში გადაბარგების შემდეგ? შიგ მიუნხენში ურჩევნია თუ ქალაქგარე ვილაში? ან იქნებ „ამერზეეზე" (ტბაა)? რომელ სკოლაში ურჩევენ ბავშვების მიყვანას და ა.შ. ფაქტია ისიც, რომ კლინსის მომავალი მარჯვენა ხელი ვასკესი ყველაფრით აღფრთოვანებული დარჩა.

გასაოცარი იყო ის, რომ შეხვედრას არ (თუ ვერ) დაესწრო „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**. არადა, როგორც იცით, კალე ასეთ საუბრებს არასდროს ტოვებს ხოლმე. ის და ჰიონესი ფაქტობრივად ყველა საქმიან შეხვედრას ერთად მართავენ და ბოლო დროს „ბაიერნში" ისეთი ტენდენციაა, რომ ჰიონესი რუმენიგეს გარეშეა წარმოუდგენელი, რუმენიგე კი ჰიონესის გარეშე. ამჯერად კი, კლინსმანთან და ვასკესთან შეხვედრაზე კალე არ გამოჩენილა.

როგორც გითხარით, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება იურგენი კალიფორნიაში. „ბილდის" ცნობით, მან მიუნხენში ჩასასვლელად ეს კვირა იმის გამო აირჩია, რომ ამ დროს ფეხბურთელები სანაკრებო შეკრებებზე არიან და „ზებენერშტრასეზე" ხალხმრავლობაც აღარ შეინიშნება. ასეც რომ არ იყოს, კლინსის არ უნდოდა, ჰიტცფელდისთვის წვრთნების ჩატარებაში ხელი შეეშალა. სავარაუდოდ აშშ-ში მაშინ დაბრუნდება, როცა ფეხბურთელები ნაკრები გუნდებიდან დაბრუნდებიან.

ამასობაში, რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** კლინსის შესახებ ახალი კომენტარი გააკეთა. კითხვაზე, მისცემენ თუ არა კლინსმანს რევოლუციის მოხდენის უფლებას, კაიზერმა ასეთი პასუხი გასცა: *„ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. კლინსმანი თავისი შესაძლებლობების მიხედვით, თავის მოვალეობას შეასრულებს. არა მგონია, რომ მან „ბაიერნში" რაიმე ისეთი იპოვოს, რასაც რევოლუციურს ვუწოდებთ ან რისთვისაც რევოლუცია იქნება საჭირო!"* – აღნიშნა ბეკენბაუერმა „შპორტ აინსთან" საუბარში.

### რიბერი: სამი კვირა ლაზარეთში

ამასობაში, „ბაიერნის" ქომაგებმა მეტად არასასიამოვნო ცნობა შეიტყვეს. **ფრანკ რიბერი** დაშავდა და მინიმუმ სამ კვირას ვეღარ ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგი ნახევარმცველი, რომელიც რეკორდმაისტერის ფაქტობრივად ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და ხშირად დამგვირგვინებელიცაა, ბუნდესლიგის მომდევნო ტურში გერმანულ კლასიკას (ბაიერნი-ვერდერი) გამოაკლდება. ამასთან, რიბერი ვერც უეფას თასის მატჩში მიიღებს მონაწილეობას (15 თებერვალს შოტლანდიაში, „აბერდინთან"). რიბერის ზემოთ ხსენებული დიაგნოზი საფრანგეთის ნაკრების მთავარმა ექიმმა დაუსვა. ბავარიელი სამშობლოში გუშინ გაემგზავრა და საფრანგეთის ნაკრებს შეუერთდა, მაგრამ ესპანეთის ნაკრებთან ტესტ-მატჩში მონაწილეობის ნაცვლად შვებულება გამოუწერეს.



რიბერი დაშავდა

გერმანიის ნაკრები

# 250 ათასი ევროპის ჩემპიონობისთვის

## ბალაკმა DFB-ს მაღალი პრემია დაანიშნინა...

უკვე ცნობილია ის თანხა, რომელსაც გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში მიიღებენ. თუკი **იოახიმ ლიოვის** შეგირდები ავსტრია/შვეიცარიიდან გამარჯვებულები დაბრუნდებიან, თითოეული ბუნდესფეხბურთელი 250 000 ევროს მიიღებს. სწორედ ამ თანხაზე შეუთანხმდა ბუნდესკაპიტანი **მიხაელ ბალაკი** გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ ბალაკთან ერთად შეხვედრაზე იმყოფებოდნენ **იენს ლემანი**, **მიროსლავ კლოზე** და **ბერნდ შნაიდერიც**, რომლებიც ბალაკის შემცვლელები არიან.

ამას გარდა, განისაზღვრა ის პრემიალურებიც, რასაც ფეხბურთელები სხვადასხვა ეტაპების გადალახვის შემთხვევაში მიიღებენ. ასე, მაგალითად, მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში გერმანიის ნაკრების თითოეული მოთამაშე 50 000 ევროს მიიღებს და ყოველი მომდევნო ეტაპის გადალახვისთვის დამატებით 50 000-ს ჩაიჯიბავს. თუკი ბუნდესგუნდი ფინალში გავა და იქ კი დამარცხდება, ბუნდესფეხბურთელები საერთო ჯამში 150 000 ევროს მიიღებენ. ევროპის ჩემპიონობის შემთხვევაში კი, ზემოთ ხსენებულ სრულ პრემიალურ თანხაც ჩაიჯიბავენ. 250 000 ევრო - ეს საკმაოდ დიდი პრემიაა. თავად განსაჯეთ: 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მოგებისთვის ბუნდესნაკრების ერთ ფეხბურთელზე „მხოლოდ" 100 000 ევრო მოდიოდა. ახლა კი, პრემია 60 პროცენტით გაიზარდა.

*„ვფიქრობ, ეს საკმარისი მოტივაციაა თითოეული ფეხბურთელისთვის, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე თავი არ უნდა დაზოგონ,"* – ეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** სიტყვებია.

რეალი

# სიმშვიდე და არაფერი სიმშვიდის გარდა

## შუსტერი: საგანგაშო არაფერია, ჩვენ მხოლოდ ერთ მატჩში წავიფორხილეთ, ჩემპიონობას საფრთხე არ ემუქრება...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნდ შუსტერმა ალმერიასთან დამარცხებაში შემაშფოთებელი ვერაფერი დაინახ

**გასულ უქმეებზე "რეალის" ნაგებისა და "ბარსელონას" გამარჯვების შემდეგ პრიმერა დივიზიონმა ერთი კვირით ადრე დაკარგული ინტრიგა დაიბრუნა. ბუნებრივია, ამ ფაქტს მადრიდსა და ბარსელონაში აბსოლუტურად განსხვავებული რეაქციები მოჰყვა. დედაქალაქში შეშფოთებას ვერ მალავენ, კატალონიაში კი იმედი გაუჩნდათ, რომ მათი სათაყვანებელი "ბარსა" სამეფო კლუბთან არსებულ ჰანდიკაპს ამოქაჩავს და საჩემპიონო მარათონში ხელახლა ჩაებმება.**

არაერთხელ თქმულა, რომ "რეალს" ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი და მკაცრი გულშემატკივრები ჰყავს. თავად განსაჯეთ, გუნდს ზედიზედ რვა თამაში ჰქონდა მოგებული, მათ შორის, "კამპ ნოუზე", მაგრამ ახლა "ალმერიასთან" ერთხელ წაიფორხილეს და ინჩასების უკმაყოფილებამაც არ დაახანა. სხვათა შორის, ქომაგებს ჟურნალისტებიც არ ჩამორჩნენ და კრიტიკით აღსავსე სტატიები გამოაქვეყნეს. ყველაზე შემაშფოთებელი კი მაინც ინჩასების კატეგორიული განწყობაა. "დიარიო მარკას" მიერ ორგანიზებული გამოკითხვის მიხედვით, სამეფო კლუბის ქომაგების 30 პროცენტს ეჭვი გაუჩნდა და გადაჭრით ველარ ამბობს, შეძლებს თუ არა მათი სათაყვანებელი გუნდი ექვსქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას. ამ ეჭვების გაქარწყლებისა და საზოგადოების დამშვიდების მიზნით "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა და რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა საგანგებო პრესკონფერენციები გამართეს. თქვენს სამსჯავროზე თავდაპირველად **ბერნდ შუსტერის** განცხადებას გამოვიტანთ. გერმანელი სპეციალისტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ნაგებას ის ოდნავადაც არ შეუშფოთებია: *"ჯერ კიდევ "ალმერიასთან" მატჩის დასრულების შემდეგ მოგახსენეთ, რომ არ ვღელავ. ჩემმა გუნდმა ზედიზედ რვა შეხვედრა მოიგო. ამ წარმატებული სვლის წყალობით უახლოეს მდევარს ცხრა ქულით გავასწარით. ბუნებრივია, მუდმივი წარმატების გარანტია არ არსებობს. ჩემი აზრით, შაბათი ნაგებისთვის საუკეთესო დღე გახლდათ. იმედია, კარგად გამიგებთ, ჯობდა ახლა დავმარცხებულიყავით ვიდრე შემდეგ. მალე ჩემპიონთა ლიგა დაიწყება. პრიმერა დივიზიონი კი გადამწყვეტ ფაზაში შევა. გუშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, მჯერა ჩემი შეგირდები "ალმერიასთან" განცდილ წარუმატებლობას ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებენ. ზოგჯერ მწარე გაკვეთილის გარეშე ფონს ვერ გახვალ. ვიცი, გულშემატკივრების საკმაოდ დიდი ნაწილი შაბათის შემდეგ შეშფოთებულია. მსურს მათ ვუთხრა, რომ სანერვიულო აბსოლუტურად არაფერია. ვიმეორებ, შაბათამდე ზედიზედ რვა თამაში გვქონდა მოგებული. ერთი მარცხი განწყობას ვერ გაგვიფუჭებს. "რეალს" ბრძოლისუნარიანობის მისხალიც არ დაუკარგავს. მომავალს უწინდებური ოპტიმიზმით ვუყურებთ და გვჯერა, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონობით გავიხარებთ."*

შუსტერის შემდეგ ჟურნალისტებს **ფაბიო კანავარო** გაესაუბრა. სხვათა შორის, სამეფო კლუბმა "ალმერიისგან" ორი გოლი სწორედ მისი შეცდომების გამო მიიღო, თუმცა იტალიელისთვის ეს არავის შეუხსენებია. აი, რა განაცხადა 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა: *"ჩვენს თავს არაფერი ცუდი არ ხდება. წავაგეთ, რაც რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ისეთი ატმოსფერო არ უნდა შეიქმნას, თითქოს "რეალს" კატასტროფა შეემთხვა. არაფერი ამის მსგავსი. მეორე მხრივ, ცხადია, ალმერიული მარცხი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. უფლება არ გვაქვს, ჩავიძინოთ და ქულები მომავალშიც გავფლანგოთ. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი არაფერი მოხდება. ასე რომ, ინჩასებო, მშვიდად იყავით. იცოდეთ, რომ "რეალის" ფეხბურთელები დღე და ღამ თქვენზე ფიქრობენ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა მაისში თქვენთან ერთად სიბელესზე გავიდეთ."*

კანავაროზე მეტად საზოგადოებას **რაულის** მოსაზრება აინტერესებდა. გაირკვა, რომ კაპიტანიც სრულიად მშვიდად გრძნობს თავს: *"დიარიო მარკას" გამოკითხვის შედეგებს გავეცანი. მომეჩვენა, რომ გულშემატკივრების ერთი ნაწილი სიტუაციის დრამატიზებას ახდენს. ყველამ იცის, სამეფო კლუბის ინჩადა ჩემთვის წმინდათა წმინდაა, მაგრამ ამჯერად თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ისინი აბსოლუტურად ტყუილად ღელავენ. დიახ, წავაგეთ. ქულების დაკარგვა ჩვენც მეტისმეტად განვიცადეთ, მაგრამ მალევე დავმშვიდდით და გავაცნობიერეთ, რომ კატასტროფა არ მომხდარა. ნებისმიერმა გუნდმა შეიძლება წააგოს. განა ეს ცხადი არ არის? ამიტომ, ყველას უმორჩილესად ვთხოვ, სიტუაციის დრამატიზირებას ნუ მოვახდენთ. სამეფო კლუბში ერთ ადამიანსაც ვერ იპოვნით, რომელსაც ალმერიის შემდეგ რაიმეში ეჭვი შეეპარა. "რეალი" ერთ მუშტადაა შეკრული და დასახული მიზნისკენ მიიწევს. ბუნებრივია, შიგადაშიგ ამ გზაზე გარკვეულ დაბრკოლებებს წავაწყდებით, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ "რეალს" მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. შემადგენლობა, რომელსაც უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის უნარი შესწევს. ჩვენ თქვენი ნდობა გვჭირდება."*

ყველაზე უდარდელი ადამიანის შთაბეჭდილება კი **გუტიმ** დატოვა: *"არ მესმის, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი. წავაგეთ, მაგრამ ამით განსაკუთრებული რა შეიცვალა? არც არაფერი. "რეალი" ისევ ერთპიროვნული ლიდერია. მთავარი სწორედ ეს არის. "ბარსელონა" ექვსი ქულით ჩამოგვრჩება, მაგრამ ამხელა ამბავი კატალონიელებს არ აუტეხავთ. მოდით, ყველა ერთად დავმშვიდდეთ და ცხოვრება გავაგრძელოთ. სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის საუკეთესო გუნდია. უსიამოვნო ინციდენტებს თავს ვერავინ დააღწევს. "ალმერიასთან" სწორედ ასეთი ინციდენტი გვქონდა. არ ვიცი ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე აბსოლუტურად მშვიდად ვარ. ვიცი, რომ "რეალი" ჩემპიონი გახდება."*



ვიქტორ მუნიოსი უმუშევარი დარჩა

რეკრეატივო

# ვიქტორ მუნიოსი გათავისუფლებულია

## მისი შემცვლელის მუშაობის ხანგრძლივობა დარჩენილი შეხვედრების შედეგებზეა დამოკიდებული

გუშინ "რეკრეატივოს" ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აევსო და **ვიქტორ მუნიოსი** გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენა. უელველებმა ეს რადიკალური ნაბიჯი "სევილიასთან" საშინაო შეხვედრაში განცდილი მარცხის (1:2) გამო გადადგეს. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ "რეკრეატივო" ძალიან ცუდად ასპარეზობს. გუნდი ახლაც გასავარდნ ზონაში იმყოფება. ამ ყველაფრით შეწუხებულმა დირექტორატმა ორშაბათს საგანგებო სხდომა გამართა. კლუბის მმართველებმა არსებული სიტუაცია მისხალ-მისხალ განიხილეს. როგორც თავად ამბობენ, უყურადღებოდ ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც არ დაუტოვებიათ. ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ კენჭისყრა გაიმართა. დირექტორატმა სენიორ მუნიოსის გათავისუფლების გადაწყვეტილება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო. წინააღმდეგი მხოლოდ ერთი ადამიანი იყო. მისი აზრით, "რეკრეატივოს" ახლა არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ გაშვებულ მწვრთნელს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა გადაუხადოს და ახლად დანიშნულ სპეციალისტს ცალკე ხელფასი დაუნიშნოს. ამ ბატონის არგუმენტი დირექტორატმა არ გაითვალისწინა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს დაავალა, პრესკონფერენცია მოეწვია და ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯი გაეხმაურებინა. **მანუელ დელ მორალმა** დირექტივა პირნათლად შეასრულა და სალამოს პრესკონფერენცია გამართა: *"რეკრეატივოს" მმართველებმა გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები კატასტროფულად მიიჩნიეს და მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სენიორ ვიქტორ მუნიოსს გაწეული სამუშაოსთვის მადლობას მოვახსენებთ. მართალია, შედეგი არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ ჩვენ შესანიშნავად მოგვეხსენება, რომ საქმეში ის მთელ ენერგიას აქსოვდა. მუნიოსს რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა, მაგრამ "რეკრეატივო" ახლა პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე დგას. უახლოეს საათებში დირექტორატი კიდევ ერთ გადაწყვეტილებას მიიღებს და სენიორ ვიქტორის მემკვიდრის ვინაობას გაგაცნობთ."*

ასეც მოხდა, გვიან ღამით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მუნიოსის თანამდებობას "რეკრეატივოს" სათადარიგო გუნდის დამრიგებელს **მანოლო სამბრანოს** ჩააბარებენ. ბატონი სამბრანო დაწინაურებით აღფრთოვანებული დარჩა: *"ამაყი ვარ, რომ ხელმძღვანელობამ ნდობა გამომიცხადა და ძირითადი გუნდი ჩამაბარა. სამწუხაროდ, საკმაოდ რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით, მაგრამ ღრმად მწამს, რომ კრიზისს დავძლევთ და პრიმერა დივიზიონიდან არ გავვარდებით. ობიექტური მიზეზების გამო "რეკრეატივოს" კანტერას საკმაოდ კარგად ვიცნობ. დიდი ხანია სათადარიგო გუნდში ვმუშაობ. არ გამოვრიცხავ, შემადგენლობის გაძლიერებისა და თამაშის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კანტერიდან რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატო. მუშაობას სამშაბათიდან შევუდგები. ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ."*

მანოლო სამბრანო "რეკრეატივოს" მიმდინარე სეზონის დასრულებამდე უხელმძღვანელებს. თუ გუნდი პრიმერა დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს და ხელმძღვანელობა დარწმუნდება, რომ ამ კაცთან თანამშრომლობა პერსპექტიულია, სამბრანოს ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

ვალენსია

# ღამურებს მორიენტესი დაუბრუნდათ




ფერნანდო მორიენტესი

კრიზისში მყოფმა "ვალენსიამ" გასულ კვირაში თვალებში ოდნავ გამოიხედა. **რონალდ კუმანის** გუნდმა ჯერ ესპანეთის სამეფო თასის მეოთხედფინალური სტადია დაძლია, შემდეგ კი "ვალიადოლიდს" პრიმერადივიზიონური გასვლითი პაექრობა მოუგო. "ღამურებს" ოპტიმიზმი გაუღრმავდათ. ისინი იმედოვნებენ, რომ მომდევნო ტურებში იყოჩაღებენ და სატურნირო მდგომარეობას გაიუმჯობესებენ. ამ მიზნის მიღწევა მათ ახლა უფრო გაუადვილდებათ. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ფერნანდო მორიენტესმა** ტრავმა მოიშუშა და ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშა. მოროს 17 დეკემბერს "მესტალიაზე" "ბარსელონის" წინააღმდეგ გამართულ დაპირისპირებაში კუნთი გაუწყდა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. ექიმები იმედოვნებდნენ, პაციენტის განკურნებას თვეზე მეტი დრო არ დასჭირდებოდა, თუმცა გამოცდილ ფორვარდს ტრავმა არა და არ უშუშდებოდა. "ვალენსიის" ექიმები მიხვდნენ, რომ ვითარება მათზე არ იყო დამოკიდებული და დროს მიენდნენ. გუშინ დილით მათ კუმანს აცნობეს, რომ ფერნანდო გამოჯანმრთელდა და შეეძლო ბოლომდე დაეტვირთა. ჰოლანდიელმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში უვარჯიშებელი მოთამაშის ჯანმრთელობით გარისკვა არ ისურვა და შეგირდს მსუბუქი სავარჯიშოების ჩატარება დაავალა. დავალება ერთია, რეალობა კი მეორე. კუმანი მოროს შემართებით აღფრთოვანებული დარჩა: *"მორიენტესს თვალებში ცეცხლი ენთო. ვიცოდი, რომ უთამაშებლობით იტანჯებოდა, მაგრამ ფეხბურთი ასე თუ მონატრა წარმოდგენაც არ მქონდა. ფერნანდო არ მემორჩილებოდა, ვეუბნებოდი თავი ძალიან არ დაიტვირთო-მეთქი, მაგრამ ის მაინც უფრო მეტს მუშაობდა. რა უნდა ვთქვა, პროფესიონალია და სურს დანაკლისი უმცირეს დროში აინაზღაუროს. ასეთ შემართებას ყოველთვის მივესალმები. იმედია, ტრავმა არ გაუმიზეზდება. ექიმები მამშვიდებენ და მეუბნებიან, თუ ისევ ავბედითი შემთხვევითობის მსხვერპლი არ გახდება, ძველი ტრავმა თავს არ შეახსენებს."*

კუმანმა სამშაბათი დასვენების დღედ გამოაცხადა. სანაკრებო თამაშების გამო "ვალენსიამ" ესპანეთის ეროვნულ გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი მიავლინა. ჰოლანდიელი ფიქრობდა, ნაკლულ შემადგენლობასთან ერთად მუშაობა არაეფექტური იქნება და ბიჭებს დასვენების საშუალება მისცა. ფერნანდო მორიენტესი როგორც ჩანს, მთავარი მწვრთნელის ამ მოთხოვნასაც არ დაემორჩილება: *"კუმანის გადაწყვეტილება სწორია. ბიჭები ცოტა დაიღალნენ, მაგრამ მე ახლა დასვენება არ მჭირდება. პირიქით, უქმად ყოფნა ყელში ამომივიდა. კლუბის ფიზმომზადების სპეციალისტებს შევუთანხმდი, რომ ხვალ ბაზაზე შევიკრიბოთ და მათი მეთვალყურეობის ქვეშ ვივარჯიშო. მთავარ მწვრთნელთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგობას არ გამიწევს. თუ მაინც უარზე იქნება, ავუხსნი, რომ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ვარჯიში ისე მჭირდება, როგორც თევზს წყალი. საკმაოდ ბევრი ვარჯიში გამიცდა. თითქმის ორი თვე არ ვმუშაობდი. მსურს, ჩემს გუნდს დავეხმარო. ამისათვის კი ფორმაში უნდა ჩავდგე. ძალიან მინდა, უკვე მომავალ უქმეებზე დავბრუნდე და "ბეტისს" დავუპირისპირდე. ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის გავალ და გოლს გავიტან. ღმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ ეს წყეული ტრავმა მომაშორა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ოტო რეჰაგელთან

# სანამ მოვკვდები, უნდა ვიბრძოლო

## მეფე ოტო ხალხის უგუნურებაზე დიდი ხანია, აღარ დარდობს, რადგან მან იცის, რომ ადამიანები არასდროს შეიცვლებიან...



ოტო რეჰაგელი 69 წლისაა, მაგრამ სიბერეს ოდნავადაც არ გრძნობს. ასაკი მას არც ვიზუალურად ეტყობა და მით უმეტეს, არც შინაგანად, რადგან მუშაობას და ბრძოლას ძველებურად აგრძელებს. კითხვაზე, ნუთუ არ უნდა, რომ ცხოვრების დარჩენილი დრო მშვიდ ატმოსფეროში გაატაროს და თუნდაც მოგზაურობას დაუთმოს, საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამბობს, რომ ცხოვრება ბრძოლაა და სანამ ამის უნარი შესწევს, არ დანებდება. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში რეჰაგელს ახალი კუთხით გაიცნობთ.

**- ჰერ რეჰაგელ, საკმაოდ გასაკვირი ფაქტია ის, რომ თქვენ ჯერ კიდევ საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ...**

- ასეთი მოსაზრება რის საფუძველზე გაგიჩნდათ?

**- დიდი დრო არ გასულა მას მერე, რაც ბერძნული გაზეთები წერდნენ, ოტო, შენი ვარსკვლავი უკვე ჩაქრა და დროა, საბერძნეთის ნაკრები დატოვოო...**

- დიახ, ეს სრული სიმართლეა, მაგრამ იმავე გაზეთებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ ასეთი რამ დაწერეს: "საყვარელო ოტო, დიდი მადლობა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ გვიხსენი და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოგვაპოვებინე." ღმერთო ჩემო, საბერძნეთი ხომ ექსტრემალური მოვლენების ქვეყანაა - როცა ზედიზედ ორ თამაშს მოიგებ, ოქროს კოშკებს აგიგებენ და ქებით ცაში აგიყვანენ, მაგრამ როცა ზედიზედ ორ თამაშს წააგებ, მზად არიან, ზღვაში მაშველი რგოლის გარეშე მოგისროლონ. ეს ასეა და ამაში გასაკვირი არაფერია. მარტო საბერძნეთში კი არა, ეს თითქმის ყველგან ასე ხდება.

**- თქვენ უკვე 69 წლის ბრძანდებით და საინტერესოა, როგორ შეგრჩათ მოტივაცია და გამძლეობა და როგორ უძლებთ ამდენ ზეწოლას?**

- უდიდესმა ფილოსოფოსმა და პირადად ჩემთვის მისაბაძმა პიროვნებამ, იმანუელ კანტმა თავის დროზე ასეთი რამ თქვა: "ცხოვრების აზრი მუშაობასა და ბრძოლაშია." მე ვიცი, რომ ჩვენ, ადამიანები, დედამიწაზე მხოლოდ დროებით, ასე ვთქვათ სტუმრად ვართ. ადამიანის ცხოვრება დაახლოებით 80 წელიწადს გრძელდება. მე სრულიად ჯანმრთელი ვარ და ჯერ კიდევ შემწევს იმის უნარი, რომ ვიბრძოლო და სანამ ეს ასე იქნება, დანებებას და სახლში ჯდომას არ ვაპირებ - ყოველთვის რაღაც უნდა ვაკეთო. როგორც ყველა ადამიანი, არც მე ვარ უკვდავი და სანამ მოვკვდები, უნდა ვიბრძოლო და დარჩენილი დრო ყველანაირად გამოვიყენო.

**- თქვენ შეგეძლოთ, ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მშვიდად გაგეტარებინათ და მაგალითად, თქვენს მეუღლესთან ერთად მსოფლიოს გარშემო გემოგზაურათ. უმეტესობა სწორედ ასე იქცევა ხოლმე...**

- მინდა გითხრათ, რომ ჩემს უსაყვარლეს ბეატესთან ერთად თითქმის ყველგან ნამყოფი ვარ. მაგალითად, მე ჩიჩიკასტენანგოშიც ვიყავი. იმედია, იცით, სადაც არის?

**- ასე სწრაფად ამას ვერ გეტყვით...**

- ეს გვატემალაშია. ძველი ავტობუსით 8 საათი ვიმგზავრეთ. ეს შესანიშნავი და ძალიან საინტერესო თავგადასავალი იყო.

**- კარგ ფიზიკურ ფორმას როგორ ინარჩუნებთ?**

- დისციპლინირებულ ცხოვრებას ვეწევი. ყოველდღე ცოტ-ცოტას დავრბივარ, თანაც, ჩემი საძინებელი ოთახი პირდაპირ ტყეშია, შესანიშნავ, სუფთა ჰაერზე. ადრე ალკოჰოლს საერთოდ არ ვეკარებოდი, ახლა კი, თამამად შემიძლია, თავს იმის უფლება მივცე, რომ საღამოობით, ბეატესთან ერთად ვახშამზე ერთი ჭიკა წითელი ღვინო მივირთვა, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია.

**- ოდესმე დამთვრალხართ?**

- არა, არც ნასვამი და მით უმეტეს არც მთვრალი არასდროს ვყოფილვარ. აქტიური სპორტული კარიერის დროს მე სამი რამ ვიცოდი: თუ მინდოდა, რომ დასახული მიზნებისთვის მიმეღწია, ქალები, ღვინო და სიმღერა უნდა დამევიწყებინა. ასეც მოვიქეცი. ახლა წარმოიდგინეთ: დღეს რომ მელოტი ვილო და დიდი ლიპი რომ მქონდეს, ცხადია, 69 წლის ასაკში ვერცერთი გუნდის გაწვრთნას ვერ შევძლებდი.

**- ასაკთან შედარებით ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებით...**

- მე ვიცი, რომ ერთ დღესაც, ჩვენ ყველანი წავალთ ამ ქვეყნიდან და ამ ცხოვრებიდან. სხვადასხვა ადამიანების უგუნურებაზე დიდი ხანია, აღარ ვბრაზდები. ამას წინათ, გერმანიის კანცლერის მოწინააღმდეგე კონრად ადენაუერმა თქვა, ადამიანები ასეთები არიან და ვერ შეიცვლებიანო. ეს სრული სიმართლეა, რასაც ვერავინ ვერასდროს შეცვლის და ამით ყველაფერი ნათქვამია.

**- კაცთმოყვარე ადამიანი ხართ, ხომ ასეა?**

- მე ყოველთვის ვამბობ: ადამიანმა შეიძლება ყველაფერზე უარი თქვას, ოღონდ არა ადამიანობაზე! ყველა ადამიანი ვალდებულია, რომ ეს კარგად დაიხსომოს და გაითვალისწინოს. სანამ ახალგაზრდულ ასაკში ვართ ხოლმე, ყველანი ეგოისტურად ვიქცევით. როცა 20-დან 30 წლამდე ხარ, რევოლუციონერის მენტალიტეტი გაქვს და ფიქრობ, რომ მთელ ცხოვრებას მარტო გაუმკლავდები, მერე კი, ნელ-ნელა რწმუნდები, რომ ეს შეუძლებელია. ოჯახი და მეგობრები - აი, რა არის ყველაზე მთავარი.

**- საინტერესოა, საფეხბურთო წიგნებს თუ კითხულობთ?**

- სახლში, ჩემი ვაჟის სახით სპორტული მეცნიერი მყავს, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ყოველგვარ წიგნზე უფრო მნიშვნელოვანი პირადი გამოცდილება და პრაქტიკაა. იენსი და მე მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი მოვახდინოთ.

**- და რამდენად გამოგდით ეს?**

- ზოგჯერ მართლაც გამოგვდის, მაგრამ მე ყოველთვის მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ რა შეუძლიათ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩემს გუნდში თამაშობენ. განა წიგნში უნდა წავიკითხო ის, თუ როგორ უნდა ჩააწოდოს ცაცია ფეხბურთელმა ბურთი საჯარიმოში? არა, მე ეს უშუალოდ მოედანზე უნდა დავინახო. თქვენც ხომ იცით, ყველაზე მთავარი არის ის, რაც უშუალოდ მოედანზე ხდება.

**- რას ფიქრობდით მაშინ, როცა იურგენ კლინსმანმა გერმანიის ნაკრები ფეხზე დააყენა და 2006 წლის მუნდიალზე მთელი ქვეყანა გააბედნიერა?**

- იურგენმა თავისი შესანიშნავი სტილით, გერმანულ ფეხბურთში ძალიან ბევრი რამ შეცვალა. მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები, რაც ასე ძალიან გვინდოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დღემდე ისე ვიქცევით, თითქოს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი არა იტალიამ, არამედ გერმანიამ მოიგო, რაც არასწორად მიმაჩნია. ხომ არ დაგვავიწყდა, რომ 2002 წელს მუნდიალის მასპინძელი ქვეყანა სამხრეთ კორეა ნახევარფინალში გავიდა, ზუსტად ისე, როგორც 2006-ში გერმანია. და განა ვინმე იტყვის, რომ სამხრეთ კორეა საფეხბურთო თვალსაზრისით გერმანიასთან ახლოს დგას? ვფიქრობ, რუდი ფიოლერის მიღწევა უფრო დიდ დაფასებას იმსახურებს - შეგახსენებთ, რომ რუდიმ 2002 წელს გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. თანაც, მაშინ მუნდიალის მასპინძლები არ ვიყავით. შესაბამისად, რა კრიტერიუმით ვაყენებთ 2006 წლის მიღწევას (ნახევარფინალი) 2002 წლის მიღწევაზე წინ?

**- კლინსმანმა თავის საქმეში ფსიქოლოგებიც ჩართო. თქვენ თუ გჭირდებათ ფსიქოლოგები?**

- არა, რადგან ჩემს გუნდში თვითონ მე ვარ ფსიქოლოგი. 69 წლის გახლავართ და შესაბამისად, სხვებზე მეტი გამოცდილება მაქვს.

**- ცნობილია, რომ თქვენ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე წინ ყოველთვის გამოცდილებს აყენებთ...**

- ესეც ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია. მიუნხენის "ბაიერნი" გერმანიაში დღეს საუკეთესო გუნდია. შევკრიბოთ 11 გერმანელი ფეხბურთელი, რომელთაგანაც არცერთი არ იქნება 30 წელზე ქვემოთ, ყოველ მათგანს ექნება დიდი გამოცდილება და ყოველი მათგანი იქნება რაფინირებული. და მე ამ გუნდით თქვენს "ბაიერნს" დავამარცხებ. ამაში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ.

**- ასეთი იდეა საიდან გაგიჩნდათ და რატომ გგონიათ, რომ ასეთი გუნდით "ბაიერნს" აუცილებლად დაამარცხებთ?**

- მიზეზი მარტივია: მე მჯერა, რომ გამოცდილება ყოველთვის დაამარცხებს გამოუცდელობას. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ნაკლებ შეცდომას უშვებს. როგორ გგონიათ, რატომ დააბრუნა ოტმარ ჰიტცფელდმა გუნდში ზე რობერტო, რომელიც ცოტა ხნის წინათ მიუნხენში არაფრის სჭირდებოდა?

**- იმიტომ, რომ ზე რობერტო კარგი ფეხბურთელია...**

- დიახ, ზე რობერტო, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჰიტცფელდმა ის პირველ რიგში იმის გამო დააბრუნა, რომ ის გამოცდილია. დიდი გამოცდილება აქვს ლუკა ტონისაც.

**- ასაკოვან ფეხბურთელებთან მუშაობა გიადვილდებათ?**

- არა, მე ნებისმიერი ასაკის ფეხბურთელთან თანაბრად ვმუშაობ. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ერთ დროს "ვერდერში" რუდი ფიოლერის, კარლჰაინც რიდლეს, ფრანკ ნოიბარტისა და მარკო ბოდეს სახით 20 წლის ბიჭები მივიტვანე. ეს მოთამაშეები მოგვიანებით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. თავის დროზე, "კაიზერსლაუტერნში" მუშაობისას სწორედ მე ვიყავი ის მწვრთნელი, რომელმაც მიროსლავ კლოზე და მიხაელ ბალაკი მოყვარულთა გუნდიდან პირველ გუნდში გადაიყვანა. ეს არის სიმართლე!

**- გამორიცხულია, რომ ოდესმე ბუნდესლიგაში დაბრუნდეთ?**

- ჯერ-ჯერობით არანაირი გეგმა არა მაქვს. უპირველესი მიზანი და საფიქრალი ევროპის ჩემპიონატია. მერე კი ვნახოთ, რა და როგორ იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**



გერმანიის თასის მეოთხედფინალში მიუნხენური დერბი შედგება

გერმანიის თასი. 1/4 ფინალის წილისყრა

# მიუნხენური დერბი მეოთხედფინალში

გასულ უქმეებზე გერმანიის თასის მეოთხედფინალის წილისყრა შედგა. რვა გუნდი ერთმანეთში გერმანიის ქალთა ნაკრების ფეხბურთელმა **სიმონე ლაუდერმა** დააწყვილა. ფროილაინ ლაუდერმა მეოთხედფინალში ერთი ისეთი წყვილი შექმნა, რომელიც 1/4 ფინალის მთავარ მშვენებად გადაიქცევა: მიუნხენის „ალიანს-არენაზე" ერთმანეთს „მიუნხენ 1860" და „ბაიერნი" შეხვდებიან. შარშანდელი ფინალისტი და გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ იენის „კარლ ცაისს" უმასპინძლებს, დორტმუნდის „ბორუსია" **რალფ რანგნიკის** „ჰოფენჰაიმს", რომელიც ასევე მეორე ბუნდესლიგას წარმოადგენს, ხოლო **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგი" კი „ჰამბურგს" დაუხვდება.

მაგრამ ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, მიუნხენური დერბი მოექცევა, რომელიც რიგით 204-ე იქნება. სხვათა შორის, წინა შაბათს მიუნხენური დერბი ამხანაგური მატჩის რანგში შედგა და ფრედ, 1:1 დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აგერ უკვე ოთხი თამაშია, „ბაიერნი" მოსისხლე მტრის დამარცხებას ვერ ახერხებს – მიუხედავად იმისა, რომ „1860" მეორე ბუნდესლიგაშია. *„არ დაგიმალავთ, ძალიან გამიხარდა, რომ მეოთხედფინალში „მიუნხენს" შევხვდებით. ამ მატჩს, რამდენიმე წელია, მთელი მიუნხენი მოუთმენლად ელოდება,"* – აცხადებს „ბაიერნის" დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი**.

*„ჩვენ ყველაზე ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. „ბაიერნი" გერმანიის თასის ნომერ პირველი ფავორიტია და შესაბამისად, მე ვერ ვიტყვი, რომ ბედმა გაგვიღიმა. თუმცა დასამალი არაფერია: მიუნხენური დერბი ოფიციალური მატჩის რანგში ყველას მოენატრა,"* – ეს სიტყვები კი „ლომების" დამრიგებელ **მარკო კურცს** ეკუთვნის.

მეოთხედფინალური მატჩები 26-27 თებერვალს გაიმართება, ნახევარფინალი 18-19 მარტსაა დაგეგმილი. ფინალი კი, ევროპის ჩემპიონატის გამო, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე"19 აპრილს გაიმართება.

# ჭიდაობის სურნელი

## პაპიტაშვილი, მასთან ზაუტაშვილი!



მარჯვნივ გივი ზაუტაშვილი

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში სტუმრობისას ხშირად მინახავს შეგირდების ვარჯიშის დროს ტატამზე მყოფი ცნობილი მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი - კაცი, რომელიც დღეს 70 წლისა შესრულდა. ერთ ნახვად ღირს - თეთრ კიმონოში გამოწყობილი მხცოვანი სპეციალისტი ისე დააბიჯებს ხოლმე ტატამზე, ძიუდოს ფუძემდებელთა ქვეყნის ფილმებში დინჯად მოძრავი სამურაი გაგახსენდება.

ქართული ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი გურამ პაპიტაშვილი გორის ძიუდოს სკოლაში ტალანტებს სწორედ ბატონ გივისთან ერთად ზრდიდა. პაპიტაშვილის საკავშირო ნაკრებებში მივლინების დროს გორში ზაუტაშვილი რჩებოდა. ყველა თაობის გორელ ძიუდოისტთა შედეგები კი ამ სახეობის ქომაგს შესანიშნავად მოეხსენება.

*„როდესაც საკავშირო ნაკრების თავკაცმა ვლადლენ ანდრეევმა ზაუტაშვილის კანდიდატურა დამსახურებული მწვრთნელის წოდების მოსაპოვებლად წარუდგინა მოსკოვში სპორტკომიტეტს, ანკეტაში მითითებულ მიღწევათა ჩამონათვალში ეწერა ანზორ ქიბროწაშვილი - ევროპის ჩემპიონი; მწვრთნელები: გურამ პაპიტაშვილი, „ს ნიმ“ (მასთან ერთად) გივი ზაუტაშვილი. შემდეგ მომდევნო ფალავანი, მიღწევა. მწვრთნელები: გ. პაპიტაშვილი, „ს ნიმ“ გ. ზაუტაშვილი. და აი, სულ ასე მოვდივართ ერთად გურამ პაპიტაშვილი, „ს ნიმ“ გივი ზაუტაშვილი“.* - იხსენებს ჩვეული თბილი იუმორით **გურამ პაპიტაშვილი**, რომელსაც რამდენიმე წლის წინ შეუსრულდა 70 წელი. დღეს უკვე ბატონი გივი გახდა 70 წლისა.

და ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ იუბილარის განვლილ ცხოვრებასა და სპორტულ მოღვაწეობაზე გვესაუბრონ თავად გივი ზაუტაშვილი, მასთან კი გურამ პაპიტაშვილი.

ბატონ გივის, ვიდრე მწვრთნელი გახდებოდა, რასაკვირველია მოჭიდავის კარიერა ჰქონდა, რომელიც, ისევე როგორც სოფლის მაშინდელი ახალგაზრდობისა, ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე დაიწყო. მშობლიურ სოფელ ბერშუეთის (გორის რ-ნი) და ახლომდებარე სოფლების ახალგაზრდები, რომელთაც ქართული ჭიდაობა ხიბლავდათ და ჯანი ერჩოდათ, მეჯვრისხევის არენაზე იკრიბებოდნენ. აქ იმართებოდა პაექრობა ადგილობრივ ფალავნებს შორის და აქ ეტოქებოდნენ ერთმანეთს ჭაბუკი, თუ გამოცდილი ფალავნები. ბატონ გივის უმეტესად დედ-მამისაგან მალულად უწევდა 7 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელში საჭიდაოდ გაპარვა - მშობლებს ავადმყოფობის გამო ერთი ვაჟი გარდაცვლოდათ და ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ მეორე შვილისადმი.

**გივი ზაუტაშვილი:** - ჭიდაობა დაახლოებით 1952-53 წლებში დავიწყე. მყავდა უფროსი მეგობარი, გვარად ილურიძე. სახლიდან გამოპარული, მეჯვრისხევში მას მივყავდი ხოლმე ჭიდაობაზე. ვინც იქ უკეთ იასპარეზებდა, ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს უკვე რაიონის პირველობებზე ჩამოჰყავდა გორში. მეც ფაქტიურად ეს გზა გავიარე. როცა უკვე რაიონში გამოვიჩინე თავი, საქართველოს ჩემპიონატსა და სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში ვჭიდაობდი. ჩემპიონიც ბევრჯერ გავმხდარვარ და პრიზიორიც. ამ პერიოდში უკვე გურამ პაპიტაშვილთან ვვარჯიშობდი თავისუფალ ჭიდაობაში. ბატონი გურამი ახალგაზრდა მწვრთნელი იყო, მაგრამ რაიონის ნაკრები მას გაჰყავდა ხოლმე რესპუბლიკის პირველობაზე და საკმაო წარმატებითაც. ჯარში განვეულსაც არ შემიწყვეტია ჩემი საყვარელი საქმიანობა, ვჭიდაობდი სხვადასხვა შეჯიბრებებში და სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონიც გავხდი. მიუხედავად სამხედრო ვალდებულების მოხდისა, ერთხანს ქალაქ სტალინგრადში დავრჩი საცხოვრებლად, სამსახური მქონდა, დავოჯახდი, მაგრამ 1962 წელს მაინც დავბრუნდი სამშობლოში. გურამმაც თავისთან ახლა უკვე მწვრთნელად დამიძახა, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმდი. ასე რომ, ჩემი როგორც მოჭიდავედ, ისე მწვრთნელად ჩამოყალიბებაში გურამ პაპიტაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის.

**გურამ პაპიტაშვილი:** - მაშინდელ ქართულ სოფლებში თავისუფალ დროს საქმე სხვა კი არაფერი ჰქონდათ - შეიკრიბებოდნენ და ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს. გივის ძალიან უყვარდა ჭიდაობა, ნიჭიც ჰქონდა საამისო. აქვე შეიძლება ითქვას ეს სიყვარული მათ ჯიშში აქვთ! შვილებიც ხომ კარგი მოჭიდავეები გახდნენ და თავადაც ჩემთან საკმაოდ გულიანად ვარჯიშობდა. მერე ვიდრე არმიაში იყო, აქ, გორის კომბინატის დარბაზში მოჭიდავეთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა და არც მხოლოდ ქართული ჭიდაობის შესწავლის მსურველთა ხარჯზე. ვავარჯიშებდით თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ სამბოში. მერე უკვე გახშირდა ჩემი მივლინებები არა მხოლოდ გორის, საერთოდ საქართველოს გარეთ. შეჯიბრებებზე მიმყავდა უკვე ტიტულოვანი ფალავნები და არანაკლებ ძლიერები აქაც რჩებოდნენ, ამიტომ შესაბამისად საჭირო გახდა ისეთი კაცის მოძებნა, ვინაც ტალანტების დიდ ჯგუფს ღირსეულად უხელმძღვანელებდა.

ასეთ ღირსეულ კაცად ბატონმა გურამმა გივი ზაუტაშვილი მიიჩნია და აღმოჩნდა, რომ არც შემცდარა. სპორტსმენთა რაოდენობა მათ დარბაზში სულ უფრო იზრდებოდა. იმავდროულად გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში რექტორმა **გიორგი ხარაულმა** დიდ წარმატებებზე ორიენტირებული საჭიდაო სექციის ჩამოყალიბება გადაწყვიტა და პაპიტაშვილიც თავის მშობლიური ინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ. შესაბამისად, გივი ზაუტაშვილს კიდევ უფრო საპასუხისმგებლო საქმე დააწვა, მაგრამ მაინც ძველებური წარმატებით განაგრძო მუშაობა.

**გივი ზაუტაშვილი:** - ეტაპი, როცა მოჭიდავობიდან მწვრთნელობას იწყებ, ყველაზე უკეთესია მწვრთნელის კარიერაში. ამ დროს ჯერ კიდევ შეგიძლია სათანადოდ დაუდგე შეგირდს ტატამზე და მხოლოდ თეორიით არ შემოიფარგლო. ამ დროს შეგირდი შენს სუნს გრძნობს, ჭიდაობის სუნს ისრუტავს შენის მეოხებით. ეხლა შეუძლებელია მოსწავლეს ფიზიკური ძალით დაუდგე, მაგრამ ტატამზე მაინც უნდა იყო, ამას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ახალგაზრდა მწვრთნელი ვიყავი, უშუალო პაექრობებით მიყვარდა შეგირდების დატვირთვა. ხაბარელი იქნებოდა ეს, ჩოჩიშვილი, გოგიჩაშვილი, ხუბულური თუ სხვა მიღწევებით შედარებით „სუსტი“ სპორტსმენი, მე ვცდილობდი ძალისმიერი კონტაქტით ბევრი მემუშავა მასთან, რასაკვირველია თეორიულ მუშაობასთან ერთად. ეს ბიჭები დღესაც იხსენებენ ხოლმე ჩემზე - ბევრს გვაწვალებდა ამა თუ იმ ფანდის დამუშავებაზე, მაგრამ... თავადაც ხომ არანაკლებ წვალობდაო? თვითონ ეს ფალავნებიც ხომ უდიდესი მონდომებით და ჭიდაობის სიყვარულით იყვნენ სავსენი და რაოდენ სასიამოვნოა, მატაც და მეც გარჯა დაგვიფასდა

წარმოიდგინეთ როგორი მონდომებით და ჟინით მიდიოდა ზაუტაშვილთან ვარჯიშზე **თემურ ხუბულური**, რომელიც მშობლიურ სოფელ სკრიდან გორის დარბაზამდე ყოველდღიურად თითქმის 10 კილომეტრს სირბილით გადიოდა, რაც ფაქტიურად მოთელვა იყო

**გურამ პაპიტაშვილი:** - მართალია ჩვენ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა, საერთო საქმეს ერთად ვუძღვებოდით, მაგრამ ვინაიდან მე ძირითადად ინსტიტუტში, ანუ სტუდენტებთან ვმუშაობდი, იქ უმეტესწილად ისეთი მოჭიდავეები მოდიოდნენ, რომლებსაც ზაუტაშვილის სკოლა უკვე გამოევლოთ და მისი ხელი უკვე ეტყობოდათ. ზაუტაშვილი პირველი ეტაპი იყო მოჭიდავის დაოსტატების გზაზე. შემდეგ უკვე გორის პედაგოგიური ინსტიტუტის უმნიშვნელოვანეს სკოლას გადიოდნენ ჩვენი დიდი ტალანტები და საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზეც მრავლად მოდიოდა წარმატებები.

**გივი ზაუტაშვილი:** - დამეთანხმებით, გადავსებულ დარბაზში და განსაკუთრებით მაშინ, როცა ყიჟინა და შეძახილებია, უკიდურესად ძნელია, საკუთარი მწვრთნელის კარნახი ზუსტად გაიგონო, ან გაარჩიო სხვისგან. მახსოვს როგორ კარგად არკვევდნენ ჩემს ხმას უამრავ შეძახილში ჩემიანები. სხვათაშორის ცნობებული კობა კურტანიძე იყო ამ თვალსაზრისით გამორჩეული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, კობასთვის დარბაზის გარედან რომ დამეძახა, მაინც ზუსტად გაიგებდა მითითებას და რაც მთავარია, შესანიშნავად გადაიტანდა მას ტატამზე. არიან მოჭიდავეები, რომლებიც პირიქით, იბნევიან კარნახზე. ასეთს იძულებული ხარ ამომწურავი დარიგება მისცე შერკინების დაწყებამდე და შემდეგ აღარ „შეაწუხო“.

ბევრისთვის იქნებ უცნაურიც იყოს, მაგრამ პაპიტაშვილი და ზაუტაშვილი ქართული ჭიდაობის გარდა, თავისუფალი ჭიდაობის სექციაში მუშაობდნენ, შემდეგ სამბოში, ბოლოს ძიუდოც დაემატათ და უკვე ქართულს, სამბოს და ძიუდოს, ანუ ყველა ჩოხიან ჭიდაობას ერთად გორში თავად „აკონტროლებდნენ“, მაგრამ უფრო უცნაური ისაა, რომ ყველა აღნიშნულ სახეობაში ჰქონდათ წარმატებები! პაპიტაშვილი მანამდე პირადად წვრთნიდა სტუდენტთა საკავშირო ნაკრებს, მუდამ თან ახლდა პირველ ნაკრებს, წონადი იყო მისი ნებისმიერი სიტყვა ჭიდაობის საკავშირო ფედერაციებში. მალე ბატონი გივის საქართველოსა და საკავშირო სხვადასხვა დონის ნაკრებებთან ყოფნაც გახდა აუცილებელი. იგი ერთხანს ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა საკავშირო ნაკრებს, მოგვევლინა ახალგაზრდულის ერთ-ერთ თავკაცად, მოსკოვის ოლიმპიადაზე პირველ ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გახლდათ. აღარაფერს ვამბობთ საქართველოს ნაკრებში მათ საქმიანობაზე.

**გურამ პაპიტაშვილი:** - რითი იყვნენ სსრკ მასშტაბით მაშინდელი თავგამოჩენილი მწვრთნელები ანდრეევი, მასლოვი, გურევიჩი და სხვები ჩვენზე უკეთესი? არაფრით. მე და გივის უფრო გვეხერხებოდა შუაკაური, მოგვერდი, კისრული, თუ რუსებს? ცხადია ჩვენ, ვინაიდან ქართული ჭიდაობა ყველაზე ახლოს იდგა ძიუდოსთან, დედა ენასავით იყო და შესაბამისად ჩვენგან სწავლობდნენ ფალავნები ძიუდოს. უნდა აღვნიშნო, რომ მეცადინეობებისას ჩვენ უფრო გვისმენდნენ და გვენდობოდნენ, ვიდრე რანგით და დიპლომით მაღლა მდგომებს. ახალგაზრდა მწვრთნელი ზაუტაშვილი კარგად უკვირდებოდა უფროსების - ჩემი, ბიძინა მაზიაშვილის მუშაობის მეთოდებს და, ამასთან ერთად, მას ძალიან უადვილდებოდა მოსწავლესთან ურთიერთობა

**გ. ზაუტაშვილი:** - ყველა ფალავანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ზოგი ფიცხია, ზოგი ზედმეტად რბილი ხასიათის... [illegible] შეიძლება თვალიც დახუჭოს მწვრთნელმა, თუ საერთო საქმეს ასე ჭირდება, თუ ფიქრობ, რომ შენი რადიკალური და ხისტი მოქმედებებით ტალანტი შესაძლოა დაიკარგოს.

ბატონი გივის შვილები ნიკო და ანზორიც მამის გზას გაჰყვნენ. ერთი გორშივე მწვრთნელად მოღვაწეობს, მეორე რუსეთშია და ორიოდე წლის წინ სამბოში მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი გახდა. ზაუტაშვილს გორში ღირსეული ცვლა ჯერ კიდევ 80-იან წლებში გამოუჩნდა, როდესაც გამოჩნდნენ ახალი სპეციალისტები **ფუხაშვილი, საბაშვილი, პავლიაშვილი.** გივი ზაუტაშვილი დღესაც დაუღალავად შრომობს. კოლეგებთან ერთად არცთუ იშიათად დადის სოფლებში, ნახერხმოყრილ არენებზე ახალი ტალანტების აღმოსაჩენად.

**გივი ზაუტაშვილი:** - ძალიან მწყდება გული, რომ გორს ძველი დიდების დასაბრუნებლად უწევს ბრძოლა. ჩვენ უდიდესი ტალანტები გვყავდა, ისეთები, რომლებიც მსოფლიოს აზანზარებდნენ, მაგრამ დღესდღეობით ეს ნიშა დასაბრუნებელია, უწინდელი ვითარება აღარაა, რასაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებს. ერთ-ერთი მათგანი ის გახლავთ, რომ რაიონის მთლიანი ნაკადი ვარჯიშისას ერთად ველარ იყრის თავს. თითქოს კარგია, რომ ისეთ სოფლებში, სადაც უწინ ბევრი დიდი ფალავანი იზრდებოდა, ადგილზევე გაკეთდა ძიუდოს შემსწავლელი სექციები, მაგრამ როგორც ჩანს, მზარდი, პერსპექტიული სოფლელი მოჭიდავისთვის ამან მხოლოდ ერთადერთი შეღავათი მოიტანა. შორ გზაზე აღარ უწევს სიარული და მგზავრობის ხარჯები ეზოგება. სამაგიეროდ, ჩვენ ამ სოფლებიდან თითქმის ველარ ვიღებთ შევსებას. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ იქ ცუდი სპეციალისტები არიან - უბრალოდ, მარტივი ჭეშმარიტებაა, ბევრი ძლიერის ერთად თავშეყრას, ურთიერთობას, წვრთნას, პროფესიული თვალსაზრისით მათი სწრაფი და უკეთესი ზრდა მოსდევს...

**დღეს, 5 თებერვალს, გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ზაუტაშვილის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი სახელობის ტურნირი იმართება.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან




გამოვიდა ორნაწილიანი წიგნი „ცხელი ზაფხულის 40 დღე“. წიგნში მოთხრობილია 2005 წელს, უშბასა და შხელდაზე დატრიალებული ტრაგედიების რეალური ისტორია. იმ ავბედით წელს, 40 დღის შუალედში დატრიალებულმა ორმა ტრაგედიამ შეძრა ქართული ალპინისტური და არა მხოლოდ ალპინისტური საზოგადოება. წიგნის პრეზენტაცია-გაყიდვა გაიმართება 2008 წლის 18 თებერვალს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაეცემა ამ ტრაგედიის დროს დაღუპული ორი მთამსვლელის, **მერაბ ხაბაზისა და მიხეილ ჩაჩანიძის** (კასალაპას) ოჯახებს.



მარცხნივ - გია ლაბაძე

ლეგიონერები

# როცა პორტუგალიას მოვუგეთ

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველი და მეორე დივიზიონებში გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, სადაც მონაწილეობა რამდენიმე ქართველმა მორაგბემ მიიღო. მათ შორის იმათაც, რომლებიც კლუბებმა „ბორჯღალოსანთა“ რიგებში სათამაშოდ არ გამოუშვეს.**

პირველ დივიზიონში **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „კლერმონმა“ საკუთარ მოედანზე ერთ-ერთ კონკურენტს, ბასკურ „ბიარიცს“ უმასპინძლა და 12:9 მოუგო. „ვულკანებმა“ წარმატებას ერთით მეტი ზუსტი საჯარიმო დარტყმის წყალობით მიაღწიეს. ზირაქიშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

საფლეიოფო ოთხეულს მჭიდროდ მიუახლოვდა **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი“, რომელმაც შინ აუტსაიდერს, **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშს“ სძლია 25:10. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ბასკებს ფეხდაფეხ მისდევს **მამუკა გორგოძის** „მონპელიე“. „გულივერას“ და მის გუნდს გამოცდა გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, „ტულუზმა“ მოუწყო საკუთარ მოედანზე. მონპელიელები ჩაიქრნენ, „ტულუზმა“ შეხვედრა 35:13 მოიგო. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ჯერჯერობით დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვიან **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“ და **აქსენტი გიორგაძის** „კასტრი“. ამ გუნდების დაპირისპირება ბრივში გაიმართა და მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა 26:13. ხინჩაგიშვილმაც და გიორგაძემაც თავიდან ბოლომდე ითამაშეს.

ურთულეს ბრძოლაში გაიმარჯვა „ბურგუენთან“ საშინაო მატჩში ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა“ 15:14. ირაკლი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. VIII ტური. პერპინიანი-მონტობანი 23:3, ტულუზი-მონპელიე 35:13, ბაიონი-ოში 25:10, ბრივი-კასტრი 26:13, დაქსი-ბურგუენი 15:14, ალბი-სტად ფრანსე 18:23, კლერმონი-ბიარიცი 12:9.**

1. ტულუზი-34 ქულა, 2. კლერმონი-27, 3. სტად ფრანსე-25, 4. ბიარიცი-22, 5. მონტობანი-20, 6. ბაიონი-20, 7. მონპელიე-20, 8. ბრივი-17, 9. პერპინიანი-16, 10. ბურგუენი-16, 11. კასტრი-13, 12. ალბი-13, 13. დაქსი-12, 14. ოში-6.

მეორე დივიზიონის მოწინავე ექვსეულში ხუთი „ქართული“ გუნდია. მე-14 ტურში კვლავ მოიგო ლიდერმა, **გია ლაბაძის** „ტულონმა“, ამჯერად შინ „ლიონთან“ 16:6. ლაბაძემ მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა. მალე ისედაც ვარსკვლავებით მოჭედილ „ტულონს“ კიდევ ერთი მეგავარსკვლავი, სამხრეთაფრიკელი მეორეხაზელი **ბაკის ბოთა** შეემატება.

სტუმრად **მერაბ კვირიკაშვილის** „პო“ დაამარცხა **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა“ 13:9. მაჩხანელი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. მეკო საქართველოს ნაკრებისთვის ირჯებოდა.

საკუთარ მოედანზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენს“ სძლია **ლევან ლვაბერიძის** „გრენობლმა“ 9:3. ალპელთა განაცხადში ლვაბერიძე ისევ არ იყო, ფეიქრიშვილს კი ბორჯღალოსანთა რიგებში დებიუტი ჰქონდა.

სტუმრად დამარცხდა „ბორდოსთან“ **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიიაკი“ 12:14. მახო განაცხადში არ იყო. მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა შინ „ლიმოჟთან“ **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა“ 40:6. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს. სტუმრადვე დამარცხდა 0:19 „ლა როშელთან“ **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“. კუთარაშვილი განაცხადში არ იყო. ასევე სტუმრად წააგო „ბლანიაკთან“ **იგორ ბარბაქაძის** „ტარბმა“ - 15:20. ბარბაქაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

**მეორე დივიზიონი. XIV ტური. ლა როშელი-ნარბონი 19:0, ტულონი-ლიონი 16:6, ბეზიე-მეტრო რასინგი 16:16, ოიონაქსი-ლიმოჟი 40:6, პო-მონ დე მარსანი 9:13, ბორდო-ორიიაკი 14:12, ბლანიაკი-ტარბი 20:15, გრენობლი-აჟენი 9:3.**

1. ტულონი-56 ქულა, 2. მონ დე მარსანი-46, 3. გრენობლი-38, 4. მეტრო რასინგი-38, 5. აჟენი-35, 6. ორიაკი-35, 7. ლიონი-34, 8. ლა როშელი-34, 9. ბეზიე-34, 10. პო-30, 11. ოიონაქსი-28, 12. ნარბონი-28, 13. ბორდო-23, 14. ტარბი-17, 15. ლიმოჟი-15, 16. ბლანიაკი-9.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## თარიღი

**დავით ბედინაძე.** დაიბადა 05.02.1985, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (60 კგ). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2005), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003).

**გივი ზაუტაშვილი.** დაიბადა 05.02.1938, ბერშუეთი, გორი. ძიუდო, მწვრთნელი. სსრკ ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი (1976-80). მისი აღზრდილები არიან: ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები - შოთა ხაბარელი, თემურ ხუბულური (ორივე — ძიუდო), იოსებ ახალბედაშვილი და აკაკი ხანიშვილი (ორივე - სამბო). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და ლეილა მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლეილა მესხს მამამთილის, ვახტანგ ნადიბაიძის გარდაცვალების გამო.

ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის თანამშროლმები სამძიმარს უცხადებენ აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს პავლე ნადიბაიძეს მამის, ვახტანგ ნადიბაიძის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 5 და 6 თებერვალს; გამოსვენება 7 თებერვალს, 14 საათზე. მისამართი: დიდი დიღომი, III მ/რ-ნი, 29 კოპუსი, II სადარბაზო, 3 სართული.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს კლუბ „მაკაბის“ პრეზიდენტს, ჯამლეტ ხუხაშვილს, დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ჯამლეტ ხუხაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

## კალათბურთი

ლეგიონი

# ცქიტიშვილი გამოფხიზლდა



ნიკა ცქიტიშვილი ვარეზესთან მატჩში

იანვარში მიძინებული „ტერამო“ თებერვალში გამოფხიზლდა. იგივეს თქმა შეიძლება საქართველოს ნაკრების წევრ **ნიკა ცქიტიშვილზეც**. იტალიის ჩემპიონატში ტერამოელებს თებერვლის პირველი მატჩი სწორედ ნიკა ცქიტიშვილმა მოაგებინა: „ვარეზე“-„ტერამო“ 79:88.

მიუხედავად იმისა, რომ ვარეზელები იტალიის პირველობის აუტსაიდერები არიან, საშინაო მატჩებს მაინც დამაჯერებლად ატარებენ. ცქიტიშვილის გუნდთანაც კარგად დაიწყეს, მაგრამ მეორე მეოთხედში სტუმრებმა იძალეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მესამე ათწუთეულში გაილაღა ნიკა ცქიტიშვილმა, რომლის ორქულიანმა ჯერ ანგარიშში სხვაობას სოლიდური სახე მისცა - 55:42, ხოლო პერიოდის ბოლოს ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირა - 68:53.

მეოთხე მეოთხედში მწვრთნელმა **მასიმო ბიანკიმ** ნიკა დაასვენა. ამის ორი მიზეზი არსებობს: შეხვედრის ბედი მესამე ათწუთეულშივე გადაწყდა და მეორე მიზეზი ნიკას ტრავმაა. უფრო სწორად „ყოფილი“ ტრავმა. ცქიტომ იანვარში კოჭი დაიზიანა და მართალია, არ დაუსვენია, მაგრამ გუნდს მხოლოდ 10-15 წუთით ეხმარებოდა.

„ვარეზესთან“ მან 33 წუთი ითამაშა და 15 ქულა ჩაიწერა. ნიკამ 13 ორქულიანიდან 7 გამოიყენა, 2 საჯარიმოდან - 1 და 3 სამქულიანი ააცილა. ვერ ვიტყვით, რომ ურიგო შედეგია, მაგრამ ცქიტიშვილის 15 ქულა მეტ ეფექტურობას შეიძენდა, 9 მოხსნისთვის ერთი მოხსნაც რომ მიემატებინა - ორმაგ დუბლს გამორჩებოდა.

„ტერამომ“ გასვლითი მატჩი ლიდერის, **კლეი ტაკერის** გარეშე მოიგო. იგი გასული თვის ბოლოს რუსულ „ხიმკიში“ გადაბარგდა.

ამ გამარჯვებით „ტერამომ“ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა - 22 მატჩში 10 მოგება აქვს და მეათე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ იყო დრო, როცა ნიკას თანაგუნდელები ცხრილში მეორე-მესამე პოზიციებს ამაგრებდნენ.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის „კიევი“ ევროპაში იშვიათად მარცხდება და რა გასაკვირია თუ მთელს უკრაინას აზანზარებს. დედაქალაქელებმა შიდა ჩემპიონატში მორიგი გასვლითი მატჩი ჩაატარეს და მეჩვიდმეტე გამარჯვება (17 მატჩში) მოიპოვეს. ამჯერად „კიევმა“ „პულსარი“ იმსხვერპლა - 98:77.

როგორც სჩვევიათ, **ტომო მაჰორიჩის** შეგირდებმა პირველივე ტაიმში მოითავეს საქმე - 57:36 დანინაურდნენ და თავს ბოლო ორი მეოთხედის ფრედ დასრულების უფლება მისცეს(20:20, 21:21).

სლოვენიელმა მწვრთნელმა **მანუჩარ მარკოიშვილი** ძალიან არ დატვირთა, მხოლოდ 18 წუთი ათამაშა, თუმცა ეს დრო მანუსთვის საკმარისი გამოდგა 13 ქულის (5-დან 3 სამქულიანი), 3 მოხსნის, 2 პასისა და 4 ფოლის მოსახვეჭად.

წუთებთან მიმართებაში ქულების უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა „კიევის“ ამერიკელ გამთამაშებელს **პუხ ჯეტერს**, რომელმაც 20 წუთში 21 ქულა ჩააგდო და სნაიპერიც გახდა.

მომდევნო მატჩს მანუს თანაკლუბელები 8 თებერვალს ჩაატარებენ, უკრაინის თასის ნახევარფინალში „სუმიხიმპრომს“ დაუპირისპირდებიან. ფინალი 9 თებერვალს გაიმართება. 16-ში კიეველები შიდა ჩემპიონატში გენერალურ რეპეტიციას „ბუდიველნითან“ გაივლიან, ხოლო 19 თებერვალს ულების თასის მეთექვსმეტედფინალში ბელგიურ „ოსტენდეს“ უმასპინძლებენ.

### ესპანეთი

საქართველოს ნაკრების სხვა წევრებს არ ჩამორჩა ნატურალიზებული **ტაირონ ელისი** და ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი ეფექტური მატჩი ჩაატარა - 23 ქულა ჩააგდო, მაგრამ „კახასოლს“ გამარჯვება მაინც ვერ მოაპოვებინა. სევილიელები სტუმრად „ფუენლაბრადასთან“ 69:76 დამარცხდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ ელისის შემწეობით „კახასოლი“ 32:31-ს იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლებს ვერაფერი დაუპირისპირა.

ელისმა მოედანზე 32 წუთი გაატარა, 12-დან 6 სამქულიანი გამოიყენა, 3 საჯარიმო, 1 ორქულიანი მიამატა და, როგორც ვთქვით, 23 ქულა ჩაიწერა. გარდა ამისა ტაირონის ანგარიშზე 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემაა. სევილიური კლუბისთვის „ფუენლაბრადასთან“ წაგება სეზონში მე-14 მარცხი იყო (20 მატჩში). ამ მაჩვენებლით „კახასოლი“ 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-16 ადგილზეა.

### ბალტიისპირეთი

გუშინ გიორგი ცინცაძის ბალტიის ოლსტარში თამაშზე გესაუბრეთ, ხვალ მის ვრცელ ინტერვიუს წაიკითხავთ, ხოლო დღეს ორიოდე სიტყვას „ვალმიერა“-„ტარტუ როკის“ დაპირისპირებაზე ვიტყვით.

ლატვიელებმა ესტონელები დაძაბულ ბრძოლაში 67:62 დაამარცხეს. გიორგიმ 34 წუთი ითამაშა და, მართალია სნაიპერობა არ უკისრია, მაგრამ თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო: 6 ქულა, 5 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

სამწუხაროდ, სეზონის არადამაჯერებლად დაწყების გამო ბალტიის თასზე „ტარტუ როკს“ სატურნირო ცხრილში საქმე კარგად არ აქვს: 15 მატჩიდან მხოლოდ ხუთის მოგება მოახერხა და 10-გუნდიან ტურნირში მე-8 პოზიციაზეა.

### აშშ

როგორც წესი, ოკეანის გაღმა მოთამაშე ზაზა ფაჩულიას მატჩების მიმოხილვას ცალკე სტატიად ვამზადებდით და ქრონომეტრაჟსაც ვურთავდით. დასანანია, მაგრამ ბოლო მატჩში მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ზაზას დრო იმდენად შეუზღუდა, რომ ცალკე დაწერა ნამდვილად არ ღირდა.

ფაჩულიამ „ნიუ ჯერსისთან“ საშინაო მატჩში 7 წუთი ითამაშა. ამ დროში ორივე ორქულიანი ააცილა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მისმა „ატლანტა ჰოქსმა“ „ნიუ ჯერსი“ 104:92 დაამარცხა და სეზონში მე-19 მოგება გაიფორმა 24 წაგების წილ.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## ჩოგბურთი

კლასიფიკაცია

# ჩახნაშვილის უკუსვლა



მაკა ჩახნაშვილი

ATP-ის რეიტინგ-ლისტში **ლადო ჩიხლაძემ** ოთხი საფეხურით წაიწია წინ. 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი 8 ქულით მსოფლიოს 365-ე ჩოგანია. შეგახსენებთ, რომ ლადო საუკეთესო მაჩვენებელი კლასიფიკაციაში 350-ე ადგილია (2007 წლის ოქტომბერი). **ნოდარ ითონიშვილი** 4 ქულით მსოფლიოს 1220-ე ჩოგანია (-6). თითო ქულა აქვთ **გიორგი ხრიკაძეს** და **გიორგი ჭანტურიას**, ისინი კლასიფიკაციაში 1489-ე ადგილზე არიან. ნოდარ ითონიშვილი გერმანულ ქალაქ შვაიბერდინგენში მონაწილეობდა. ის საკვალიფიკაციო ბადეში მე-13 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ნოდარი ისვენებდა, მეორეში ის ლატვიელ **რიკარდს ოპმანისთან** დამარცხდა - 4:6, 2:6.

WTA-ს რეიტინგში მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადა **მაკა ჩახნაშვილმა**, რომელიც ცხრა საფეხურით დაქვეითდა და 148 ქულით მსოფლიოს 191-ე ჩოგანია. კვლავ 88 ქულა აქვს, თუმცა ოთხი ადგილით წინ წაიწია **ანა ტატიშვილმა**, რომელიც ორიოდე დღის წინა 18 წლის გახდა. **სოფიო შაფათავა** მსოფლიოს 409-ე ჩოგანია (-1) 46 ქულით. სხვები: 511 (-1) **თინათინ ყაველაშვილი** - 31 ქულა, 590 (-1) **სალომე დევიძე** - 22, 606 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 21, 644 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 693 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 803 (+1) **ეკა გორგოძე** - 10, 842 (+2) **სოფიო მელიქიშვილი**. წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვა მსოფლიოს 415-ე ჩოგანია, რაც მისი კარიერის ახალი მიღწევაა. პორტუგალიურ ვალე დე ლობუში 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** მონაწილეობდა. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მან იტალიელი **ელეონორა პუნცო** დაამარცხა - 6:2, 7:5. მეორე წრეში ის ბრიტანელ **ტარა ვიგანთან** დამარცხდა - 2:6, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XIII ტური. თბილისი, ვერის პარკი

# ყირამალა

**დინამო-ვითა** **დ.დ. 83:79**

13:23, 20:16, 24:9, 11:20, 15:11

დინამო: გულისაბედაშვილი (9 ქ. 9 მ. 3 პ), ჟულენტი (29 ქ. 6 მ), ლაფანაშვილი (15 ქ. 7 მ. 6 პ), სიგუა (3 პ), სანიკიძე (7 ქ. 9 მ), მაისურაძე (2 ქ), ათანელიშვილი (10 ქ), ახალკაცი (11 ქ)

ვითა: ნ. ნოზაძე, ბეჟანიშვილი (13 ქ. 7 მ. 4 პ), მ. ბერიშვილი (4 ქ. 9 მ. 3 პ), მარხვაშვილი (22 ქ. 4 პ), მარკოიშვილი (15 ქ. 6 მ), ბერძენიშვილი (18 ქ. 5 მ), წივწივაძე (7 ქ), გვიმრაძე, ლ. ნოზაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

**ენერჯი-მაკაბი** **დ.დ.100:106**

24:18, 22:22, 28:26, 14:22, 4:4, 8:14

ენერჯი: ბაბიაშვილი (14 ქ. 9 მ. 3 პ), სტეფანოვი (17 ქ. 6 მ. 4 პ), ბოისა (11 ქ. 8 მ. 7 პ), დიდია (2 ქ), ლეჟავა (22 ქ), ლიპარტელიანი (6 ქ. 3 პ), გოგობერიშვილი (4 ქ. 5 მ), ტუჯანი (15 ქ), ჭოჭუა (7 ქ), ჩიტაშვილი (2 ქ. 7 პ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (17 ქ. 8 პ. 5 ჩ), სორდია (26 ქ. 6 პ. 3 ჩ), გ. შერმადინი (40 ქ. 22 მ. 3 პ), პირველაშვილი (5 მ), ვაშაკიძე (6 ქ), კორკოტაძე, კოლუაშვილი (11 ქ), ს. შერმადინი (6 ქ. 6 მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. მიქელაძე

**თსუ-ავიამშენი** **81:99**

13:25, 23:14, 19:24, 26:36

თსუ: არწივიძე (6), ფანჩულიძე (8), დ. ბერიშვილი (11), ბარბაქაძე (10), კოხრეიძე (19), ყველაშვილი (7), კეიდია (23), ხეცურიანი (6), ტყეშელაშვილი

ავიამშენი: ხოშტარია (6), ნიკოლაძე (27), ტულუში (15), მინაშვილი (30), მათიაშვილი (21)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 13 | 11 | 2 | 24 |
| 2. თსუ | 13 | 8 | 5 | 21 |
| 3. ავიამშენი | 13 | 6 | 7 | 19 |
| 4. დინამო | 13 | 5 | 8 | 18 |
| 5. ვითა | 13 | 5 | 8 | 18 |
| 6. მაკაბი | 13 | 4 | 9 | 17 |

გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში კვლავ ყინავდა, მაგრამ მე-13 ტურის შეხვედრები მაინც გაიმართა. ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო, თუმცა ზედა რიგებში სამი ქომაგი მაინც შეკრებილიყო და წინ ნახევარლიტრიანი არყის ბოთლი ედგათ. ეს რომ დაინახა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, ხუმრობით თქვა - აქ რომ მოდიხარ, 100 გრამი არაყი უნდა გქონდეს გადაკრული.

წინასწარ კალენდრისთვის რომ გადაგეხედათ, შეიძლება გეფიქრათ, საწყისი ორი თამაში დიდი არაფერი, მთავარი მოვლენები ბოლო, თსუ-"ავიამშენის" დაპირისპირებაში განვითარდებაო. მაგრამ გუშინ ყველაფერი ყირამალა დადგა - „დინამო" 20 ქულის სხვაობით აგებდა და მაინც მოახერხა „ვითას" დამარცხება. „მაკაბიმ" კი „ენერჯი ინვესტს" სეზონში მეორე წაგება აგემა. ამ ფრაზის წაკითხვისთანავე გაგიჩნდებათ კითხვა - როგორ?

გაინტერესებთ, როგორ მოუგო „დინამომ" „ვითას" და „მაკაბიმ" „ენერჯის"? მოდით, მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვეთ.

პირველ მატჩში „ვითამ", როგორც სჩვევია, საწყისი 10-წუთეული მაღალ დონეზე ჩაატარა და „დინამოს" 23:13 მოუგო. **ზურაბ ტომარაძის** შეგირდები არც მეორე მეოთხედში გაჩერებულან და მალე 20 ქულითაც დაწინაურდნენ - 39:19. როგორც ჩანს, ამ მომენტში „ვითელებმა" საქმე მოთავებულად ჩათვალეს, ამას წამყვანი კალათბურთელების დაღლაც დაერთო, „დინამოს" გამოცოცხლებაც და **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა დროის მოკლე მონაკვეთში 21:0 სპურტი მოაწყვეს, რომლის ბოლოს „ვითას" 40:39 გადაასწრეს. მსგავსი ალმასვლა-ჩავარდნებით უკანასკნელ წუთებამდე გაგრძელდა, თუმცა, მეორმოცე წუთისთვის თამაში ორივე გუნდმა დაალაგა და საფინალო სირენას საყაიმო ანგარიშზე შეხვდა - 68:68. იმის გამო, რომ „ვითას" მწვრთნელს სათანადო შეცვლის არყოლის გამო მთელი მატჩის განმავლობაში უწევდა გამოცდილების - **ბერძენიშვილ-ბეჟანიშვილ-მარკოიშვილის** დატვირთვა და ეს სამეული დამატებითი დროისთვის დაღლილი ჩანდა. დინამოელები კი პირიქით, ოვერტაიმს მეტნაკლებად დასვენებულები შეხვდნენ, რამაც საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა - ზაზა ცაგარეიშვილის გუნდმა 83:79 იმარჯვა. ვინ როდის რამდენქულიანი ჩააგდო ამაზე საუბარი მომდევნო მატჩშიც გვეყოფა, აქ კი ორს დავამატებთ: „დინამომ" გუნდური თამაშის წყალობით იმარჯვა. და მეორე - ცაგარეიშვილის გუნდის მაისური საქართველოს ნაკრების წევრმა **ვიქტორ სანიკიძემ** მოირგო. მან მუხლების ტრავმების გამო სამი თვე დაისვენა და ვარჯიში იანვრის ბოლოს განაახლა. სათამაშო პრაქტიკისთვის ვიქტორმა „დინამოში" თამაში გადაწყვიტა და სწორადაც მოიქცა - ფორმაშიც შევა და გუნდსაც დაეხმარება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ „მაკაბიმ" ჩემპიონატის ლიდერი მთავარი მწვრთნელის, **ჯამლეტ ხუხაშვილის** გარეშე დაამარცხა. ბატონი ჯამლეტის ფუნქციები **ნოდარ ქორქიამ** იკისრა და თავი კარგადად გაართვა. ამ შეხვედრაში ორი ოვერტაიმი დაინიშნა და ბოლო წამებზე ბევრი საინტერესო რამ მოხა. მათ შესახებ ქრონოლოგია გიამბობთ. აქ ვიტყვით, რომ „მაკაბის" თამაში კარგად დაბალანსებული ჩანად - პერიმეტრიდან შედეგიანად უტევდნენ ირაკლები (**ბერიშვილი** და **სორდია**), ხოლო ფარქვეშიდან - **შერმადინები** (გიორგი და სოსო). მათ კარგად ეხმარებოდნენ **კოლუაშვილი, კორკოტაძე, ვაშაკიძე** და **პირველაშვილი.**

რა შეიძლება ითქვას „ენერჯიზე"? თვალშისაცემია ნაკრების წევრის **ლაშა გამყრელიძის** დანაკლისი, რომელიც შეხვედრას სამოქალაქო ფორმით ადევნებდა თვალს. კრიტიკულ მომენტში საკუთარ თავზე თამაშს სწორედ ლაშა იღებს ხოლმე. გუშინ ლიდერის ფუნქცია **ანატოლი ბოისამ** იკისრა, მაგრამ ხუთი ფოლის გამო შეხვედრას ნაადრევად გამოაკლდა. საპირისპირო მხრიდან, გადამწყვეტ მომენტებში **ირაკლი ბერიშვილი** უნარიანად უძლვებოდა „მაკაბის" იერიშებს. საბოლოოდ სწორედ მისმა ზუსტმა საჯარიმოებმა მოაგებინა თბილისელებს.

ახლა გთავაზობთ შეხვედრის წუთობრივ მიმოხილვას 38-ე წუთიდან მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე.

**38 წუთი**

სტეფანოვი (ენერჯი) - 2 ქ (80:80)
შერმადინი (მაკაბი) - 2 ქ (82:80)
ტუჯანი (ენერჯი) - 2 ქ (82:82)
ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 2 ქ (84:82)

**39 წუთი**

ლეჟავა (ენერჯი) - 3 ქ (85:84)
ბოისა (ენერჯი) - მე-5 ფოლი

**40 წუთი**

| | |
|---|---|
| 0:15 | ჩიტაშვილი (ენერჯი) - მე-5 ფოლი |
| 0:30 | ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 1+1 (86:85) |
| 0:15 | ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 1+1 (88:85) |
| 0:03 | ლიპარტელიანი (ენერჯი) - 3 ქ (88:88) |

**I დამატებითი ტაიმი**

**1 წუთი**

გოგობერიშვილი (ენერჯი) - 2 ქ (90:88)
ტუჯანი (ენერჯი) - 2 ქ (92:88)

**3 წუთი**

გ. შერმადინი (მაკაბი) - 2 ქ (92:90)

**4 წუთი**

ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 1+1 (92:92)

**II დამატებითი დრო**

**1 წუთი**

ლიპარტელიანი (ენერჯი) - 3 ქ (95:92)
ს. შერმადინი (მაკაბი) - 2 ქ (94:95)

**2 წუთი**

გ. შერმადინი (მაკაბი) - 2 ქ (95:95)

**3 წუთი**

ვაშაკიძე (მაკაბი) - 2 ქ (98:95)
ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 2 ქ (100:95)

**4 წუთი**

გოგობერიშვილი (ენერჯი) - 2 ქ (97:100)

**5 წუთი**

| | |
|---|---|
| 0:33 | სორდია (მაკაბი) - 3 ქ (103:97) |
| 0:27 | ლეჟავა (ენერჯი) - 3 ქ (100:103) |
| 0:15 | ი. ბერიშვილი (მაკაბი) - 1 (104:100) |
| 0:09 | ვაშაკიძე (მაკაბი) - 1+1 (106:100) |



ენერჯი-მაკაბი

პირველ მატჩში ერთი ოვერტაიმი დაფიქსირდა, მეორეში - ორი, მესამეში სამს ველოდით მაგრამ ამაოდ. თუმცა, შეხვედრა ამის გარეშეც თვალსასეირო გამოდგა. საწყის 10 წუთში სწრაფი შეტევებით „ავიამ" თსუ დააბნია და 23:11 დაწინაურდა. მეორე მეოთხედში სტუდენტებმა თამაში დაალაგესდა დიდ შესვენებაზე ოდენ 3-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ - 36:39.

მეორე ტაიმში თამაში გამოასწორა „ავიამ" და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

გუშინ დაფიქსირდა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის ორი რეკორდი: **გიორგი შერმადინმა** 40 ქულა ჩააგდო, ხოლო **რიჩარდ მათიაშვილმა** 30 მოხსნა მიითვალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჭადრაკი

# ორი ორქულიანი

მოსკოვის ღია ჩემპიონატზე, სადაც ხუთი ქართველი იღებს მონაწილეობას, ორი ტურის შემდეგ მაქსიმალური შედეგი **ბაადურ ჯობავას** და **სალომე მელიას** აქვთ. ტურნირი ძალიან კარგად ორგანიზებულია და პირდაპირი რეპორტაჟებიც შეუფერხებლად მოგვეწოდება, მაგრამ ტური გვიანობამდე არ სრულდება, პირდაპირ ეთერში კი პარტიათა შეზღუდული რაოდენობა გადის - მამაკაცთა 15 და ქალთა 5 დაფაზე შეგვიძლია შეხვედრებისთვის თვალის დევნება. მეორე ტურში პირდაპირ ეთერში მხოლოდ ბაადურ ჯობავას პარტია მოხვდა, რომელსაც მეტოქედ რუსი დიდოსტატი **სერგეი ისკუსნიხი** ჰყავდა. ქართველი თეთრებით იყო და მშვენივრად წარმართა პარტია - რუსმა დანებება არჩია შამათამდე ბრძოლას.

ქართველ გოგონათაგან მეორე გამარჯვება სალომე მელიამ სომეხ **ქნარიკ მურადიანთან** ბრძოლაში მოიპოვა. წარმატების იმედი გვქონდა **ლელა ჯავახიშვილისგანაც**, მაგრამ მან შავებით რუს **კრისტინა ჩერენკოვას** ვერ აჯობა და ქულა გაუყო. ყაიმით დაასრულეს თავიანთი პარტიები **სოფიო გვეტაძემ** და **ნაზი პაიკიძემ** - პირველმა **მარგარიტა ფახრეტდინოვა** ვერ დაამარცხა, ნაზიმ კი, ასევე შავებით **ლუდმილა კარპოვას** შეტევები გააუვნებლა.

მესამე ტურში ყველაზე ძლიერი მეტოქე სალომე მელიას ჰყავდა - სლოვენიელი **ანა უშენინა**, რომელიც ქალთა შორის პირველია რეიტინგით - 2484. თეთრებით ქართველი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა თეთრი ფერი უპირატესობის გარანტი არ ყოფილიყო, - მელია 122 პუნქტით ჩამორჩება უშენინას და ფავორიტი აშკარად მეტოქე იყო. სამწუხაროდ, გუშინ მელიას პარტიების გადმოცემის დროს ტექნიკური შეფერხება მოხდა და საბოლოო ინფორმაცია ვერ მივიღეთ, მაგრამ დებიუტი და შუა თამაში ქართველისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა.

იქამდე მოესწრო ჯობავას პარტიის დასრულება. როორც გითხარით, მისი მეტოქე სომეხი დიდოსტატი **ზავენ ანდრიასიანი** იყო. ზავენი შარშან 20-წლამდეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ასე რომ, იოლი გასეირნება ქართველს არ ელოდა. ბაადურმა პოზიციის გათანაბრება დებიუტშივე შეძლო და მალე პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა. კონტრშეტევებზეც გაზდავიდა, მაგრამ შუა თამაშში არცთუ მთლად ზუსტად ითამაშა და სომეხ დიდოსტატს პარტიის გადარჩენის შანსი მიეცა - ყაიმით სამი ტურის შემდეგ 2.5 ქულა ცუდი შედეგი არ არის, თუმცა თუკი მაღალ საფეხურზე ყოფნა და მეტიც - ტურნირის მოგება სურს, ჯობავამ თავს ასეთი დანაკარგების უფლება ნაკლებად უნდა მისცეს.

**ზვიად შათირიშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გეშინოდეთ დეტროიტის




ძალიან სახიფათო გუნდია "დეტროიტ პისტონზი", რომელიც მიმდინარე რეგულარულში იქნებ ყველაზე დაბალანსებულადაც გამოიყურება, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მიჩიგანელები ყოველთვის ვილაცის ან რალაცის ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი.

დღის კი არა და იქნებ, მთელი კვირის ცენტრალურ მატჩში, აღმოსავლელებმა საპირისპირო კონფერენციის გრანდი "დალას მავერიქსი", თავისი **დირკ ნოვიცკით**ა და **ჯოშ ჰოვარდით**, ამ სეზონში ყველაზე მწირ მონაგარს დააჯერეს და მეთოდურად გადაუარეს **ეივერი ჯონსონის** გუნდს.

კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არა უკანასკნელად, "დეტროიტის" მძიმე ფორვარდმა, ყმაწვილკაცობაში ძველმა ბიჭმა, ახლა კი დამჯერმა **რაშიდ უოლასმა** საუკეთესო თვისებები ვარსკვლავი თანაამპლუელის წინააღმდეგ პრინციპულ დაპირისპირებაში გამოავლინა. ამ ახმახმა და უნიჭიერესმა კაცმა ნოვიცკის ჩვეული, აგრესიული დაცვა დაუპირისპირა და გერმანელი ზეკაცი მოკრძალებულ 15 ქულას დააჯერა, თავად კი 4 სამქულკიანიდან ერთადერთი ააცილა, მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და მატჩის გმირიც გახდა.

*"შიდის წინააღმდეგ ყველა შეხვედრაში ნოვიცკი, ტიმ დანკანი ან კევინ გარნეტი რომ იდგნენ მოედანზე, რეგულარულს წაგების გარეშე დავასრულებთ. ვერანაირად ვერ ვხსნი იმას, თუ რატომ ვერ იყენებს თავის უდიდეს პოტენციალს ეს კაცი, რომელიც ჩვენს გუნდში ყველაზე ნიჭიერია და თუ ვინმეზე შეიძლება თქმა, რომ იგი სულით ჩემპიონია, ეს პირველ რიგში, რაშიდ უოლასი გახლავთ"*, - ამბობს "პისტონსის" ერთ-ერთი ლიდერი **ანტონიო მაკდაიესი**.

"მავერიქსისთვის" ძლიერი, ბრძოლისუნარიანი გუნდებით სავსე დასავლეთში ყოველ წაფორთხილებას ოქროს ფასი აქვს. Aრავის სურს, პირველივე წრეში "იუტა ჯაზის", "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ან "Dენვერ ნაგეტსის" წინააღმდეგ თამაში და არც ისაა გამორიცხული, რომ თუ "დალასი" თავის დივიზიონში პირველ ადგილზე ვერ გავა, პლეიოფის პირველივე წრეში თანაშტატელ სისხლის გამშრობთან, "სან Aანტონიო სპურსთან" ჯახი მოუხდეს.

Aმიტომაც, ეივერი ჯონსონის გუნდმა დარჩენილ მატჩებში მაქსიმალური კონცენტრაცია უნდა გამოავლინოს და ყველანაირად ეცადოს, იმაზე გაცილებით სრულყოფილი კალათბურთი ითამაშოს, ვიდრე – "დეტროიტთან", სადაც ნოვიცკისა და კომპანიას არაფერი გამოსდიოდა.

პირველი მეოთხედის შუაწელიდან მეორის მესამე წუთამდე, სტუმრებმა ზედიზედ 16 "ცოცხალი" ტყორცნა გააფუჭეს, მასპინძლებმა კი სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და შეხვედრის ბოლომდე "მავერიქსი" 12 ქულაზე ახლოს აღარ გაიკარეს.

მესამე მეოთხედის დასაწყისში, უოლასმა ნოვიცკის ხელებს ზემოდან იოლად ჩაუშვა ბურთი კალათში და ეგრევე სტუმართა სათადარიგოებს მიუბრუნდა და შესძახა: "მას ჩემი აყვანა არ შეუძლია!"

უოლასს გარკვეულწილად "პისტონსის" მთავარი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსიც** ეთანხმება, რომლის თქმითაც, საუკეთესო ფორმაში და აუცილებელი მოტივაციით მოედანზე გასვლისას, უოლასი ყველაზე რთულად დასაჭერი მძიმე ფორვარდია.

არადა, ამ გუნდების პირველი საამსეზონო დაპირისპირება "დალასმა" საკუთარ მოედანზე 102:86 გამარჯვებით დაასრულა, ამჯერად კი როლები შეიცვალა.

ნოვიცკიმ საბოლოოდ, 18 სროლიდან 15 გააფუჭა და შეხვედრის ანტიგმირის არაოფიციალური ტიტულიც მიიღო.

*"დირკის გარდა, გუნდში უამრავი მოთამაშეა და ყველაფრის ერთ კაცზე გადაბრალება არასწორია. დირკი ჩვენი ლიდერი და ყველაზე საიმედო ფიგურაა, მაგრამ ჩვენც უნდა გავანძრიოთ ხელი და გუნდს წარუმატებელი სერია დავასრულებინოთ"*, - მიაჩნია ცენტრ **ერიკ დემპიეს**, რომელსაც ცუდად ნამდვილად არ უთამაშია და კინაღამ ორმაგი დუბლითაც დაასრულა შეხვედრა.

■ ■ ■

"ლეიკერსს" "ვაშინგტონთან" გასვლით მატჩში ჯერაც არ ჰყოლია ახალწვეული, ესპანელი **პაუ გასოლი**, რომელიც უკვე ლოს ანჯელესშია, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ჯერ **ფილ ჯექსონის** განკარგულებაში ვერ მოხვდა. კალიფორნიელებმა **კეირონ ბატლერით** გაძლიერებული "უიზარდსი" მაინც უპრობლემოდ დაამარცხეს, ხოლო **კობი ბრაიანტმა** კი მორიგი შოუ დადგა.

პირველ მეოთხედში ლიგის აღიარებულმა ფენომენმა, მასპინძელს 19 ქულა "მიუძღვნა" და "ლეიეკრსმაც" გადამწყვეტი დარტყმა სწორედ ამ დროში მიაყენა მოწინააღმდეგეს.

*"არავინ ყურადღებას არ მაქცევდა და უბრალოდ, ჩემი საქმე ფრიადზე ჩავაბარე. Gასოლი? ჩემი თქმის გარეშეც, პაუს ტრანსფერი მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შეაფასეს და ძალიან ცდებით, თუ ჩემგან რაიმე სხვა კომენტარს ელით"*, - მიაჩნია კობის, რომელმაც ძალიან ძლიერი ინდივიდუალური დამცველის, კეირონ ბატლერის მეურვეობის მიუხედავად, თამაშიდან მაინც გამოიყენა 15-ში 10 სროლა.

გასოლი კი, რომელიც კალიფორნიელთა სათადარიგოებში იმყოფებოდა, თავისი ახალი გუნდის შერწყმული გამოსვლით, გუნდური სულისკვეთებითა და ბრაიანტით დარჩა განცვიფრებული.

*"თამაშიდან 41 სროლა გამოვიყენეთ და შეხვედრა 27 შედეგიანი გადაცემით დავასრულეთ, რაც გუნდური კალათბურთის საუკეთესო მაჩვენებელია. კობიზე რა უნდა ვთქვა? მიხარია, რომ მინიმუმ, ამ სეზონში მაინც მის წინააღმდეგ თამაში არ მომიწევს"*, - ასეთი იყო გასოლის კომენტარი

**ზურაბ თალაკვაძე**

**ვაშინგტონი–ლეიკერსი 91:103**

15:30, 26:33, 21:23, 29:17

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (21 ქ. 11 მ), კ. ბატლერი (15 ქ. 7 პ. 5 მ), ნ. იანგი (14 ქ. 3 მ. 3 პ), რ. მეისონი (14 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30 ქ. 6 მ), რადმანოვიჩი (15 ქ. 7 მ. 4 პ), ოდომი (14 ქ. 7 მ. 5 პ), ტურიაფი (13 ქ. 5 მ), ვუიაჩიჩი (12 ქ).

**დეტროიტი–დალასი 90:67**

20:14, 24:24, 22:13, 24:16

**დეტროიტი:** რ. უოლასი (21 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ), პრინსი (16 ქ. 7 მ. 3 პ), სტაკი (11 ქ. 4 მ), რ. ჰამილტონი (10 ქ. 7 პ. 5 მ), ჯ. ჰეიესი (10 ქ. 2 ჩ).ბილაპსი (9 ქ. 6 პ).

**დალასი:** ნოვიცკი (15 ქ. 10 მ. 2 პ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 9 მ), ბასი (14 ქ. 6 მ), დემპიე (8ქ. 10 მ).

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. კალენდარი

**D ჯგუფი**

ეფესი (თურქეთი)
მონტეპასკი (იტალია)
პარტიზანი (სერბეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

| ტური | თარიღი | მატჩები |
| --- | --- | --- |
| I ტური | 13-14 თებერვალი | ეფესი–პანათინაიკოსი<br>მონტეპასკი–პარტიზანი |
| II ტური | 20-21 თებერვალი | პანათინაიკოსი–პარტიზანი<br>ეფესი–მონტეპასკი |
| III ტური | 27-28 თებერვალი | მონტეპასკი–პანათინაიკოსი<br>პარტიზანი–ეფესი |
| IV ტური | 5-6 მარტი | პანათინაიკოსი–ეფესი<br>პარტიზანი–მონტეპასკი |
| V ტური | 12-13 მარტი | პანათინაიკოსი–მონტეპასკი<br>ეფესი–პარტიზანი |
| VI ტური | 19-20 მარტი | პარტიზანი–პანათინაიკოსი<br>მონტეპასკი–ეფესი |

**F ჯგუფი**

რეალი (ესპანეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
მაკაბი (ისრაელი)
ჟალგირისი (ლიტვა)

| ტური | თარიღი | მატჩები |
| --- | --- | --- |
| I ტური | 13-14 თებერვალი | რეალი–ჟალგირისი<br>ოლიმპიაკოსი–მაკაბი |
| II ტური | 20-21 თებერვალი | ჟალგირისი–მაკაბი<br>რეალი–ოლიმპიაკოსი |
| III ტური | 27-28 თებერვალი | ოლიმპიაკოსი–ჟალგირისი<br>მაკაბი–რეალი |
| IV ტური | 5-6 მარტი | ჟალგირისი–რეალი<br>მაკაბი–ოლიმპიაკოსი |
| V ტური | 12-13 მარტი | ჟალგირისი–ოლიმპიაკოსი<br>რეალი–მაკაბი |
| VI ტური | 19-20 მარტი | მაკაბი–ჟალგირისი<br>ოლიმპიაკოსი–რეალი |

**E ჯგუფი**

ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)
არისი (საბერძნეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ტაუგრესი (ესპანეთი)

| ტური | თარიღი | მატჩები |
| --- | --- | --- |
| I ტური | 13-14 თებერვალი | ლეტუვოს რიტასი–ტაუგრესი<br>არისი–ფენერბაჰჩე |
| II ტური | 20-21 თებერვალი | ტაუგრესი–ფენერბაჰჩე<br>ლეტუვოს რიტასი–არისი |
| III ტური | 27-28 თებერვალი | არისი–ტაუგრესი<br>ფენერბაჰჩე–ლეტუვოს რიტასი |
| IV ტური | 5-6 მარტი | ტაუგრესი–ლეტუვოს რიტასი<br>ფენერბაჰჩე–არისი |
| V ტური | 12-13 მარტი | ტაუგრესი–არისი<br>ლეტუვოს რიტასი–ფენერბაჰჩე |
| VI ტური | 19-20 მარტი | ფენერბაჰჩე–ტაუგრესი<br>არისი–ლეტუვოს რიტასი |

**G ჯგუფი**

ცსკა (რუსეთი)
ბარსელონა (ესპანეთი)
უნიკახა (ესპანეთი)
რომა (იტალია)

| ტური | თარიღი | მატჩები |
| --- | --- | --- |
| I ტური | 13-14 თებერვალი | ცსკა–რომა<br>ბარსელონა–უნიკახა |
| II ტური | 20-21 თებერვალი | რომა–უნიკახა<br>ცსკა–ბარსელონა |
| III ტური | 27-28 თებერვალი | ბარსელონა–რომა<br>უნიკახა–ცსკა |
| IV ტური | 5-6 მარტი | რომა–ცსკა<br>უნიკახა–ბარსელონა |
| V ტური | 12-13 მარტი | რომა–ბარსელონა<br>ცსკა–უნიკახა |
| VI ტური | 19-20 მარტი | უნიკახა–რომა<br>ბარსელონა–ცსკა |



ტურ დე ფრანსი 2008

# კონტადორს ტურზე არ იწვევენ

არაა გამორიცხული, რომ წლევანდელმა ტურ დე ფრანსმა მისი ჩემპიონის, ესპანელი **ალბერტო კონტადორის** გარეშე ჩაიაროს. და თუ ასეც მოხდა, ამის მიზეზი ის გახდება, რომ ჩემპიონმა დოპინგსკანდალებში არაერთხელ გარეულ გუნდ "ასტანასთან" გააფორმა კონტრაქტი.

ფრანგული ტურის ორგანიზატორის, "ამაორი სპორტ ორგანიზასიონის" პრეზიდენტი **პატრის კლერი** ამბობს, რომ რბოლაში მონაწილეთა შერჩევა ხდება არა ველომრბოლების და მათი მიღწევების, არამედ გუნდების მიხედვით.

*"როცა ჩვენ მონაწილეებს ვარჩევთ, არანაირად არ ვითვალისწინებთ იმას, თუ ვინ გამოდის ამათუიმ გუნდში. ჩვენი მიზანია ისეთი გუნდების მიწვევა, რომლებიც დოპინგსკანდალებში არ არიან გარეულნი და რომელთა გამოსვლაც, ჩვენს რბოლას ავტორიტეტს არ შეულახავს. ახლა მთავარია, გადაწყვეტილება ყოველგვარი ემოციების გარეშე მივიღოთ"*, - ამბობს კლერი.

შეგახსენებთ, რომ კონტადორი შარშან "დისქავერი ჩენელში" გამოდიოდა, მაგრამ ამერიკულმა ტელეკომპანიამ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა, რის გამოც, ის დაიშალა. კონტადორმა კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ყაზახურ-ბელგიურ "ასტანასთან", რომელიც შარშან არაერთ დოპინგსკანდალში გაეხვა. ამ სკანდალების გამო, "ასტანამ" შარშანდელი ტური მიატოვა, ვუელტაზე კი მას გამოსვლის უფლება ჩამოართვეს. გუნდის ველომრბოლთაგან, დოპინგზე ჩავარდნენ ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვი**, მისი თანამემამულე **ანდრეი კაშეჩკინი** და გერმანელი **მათიას კესლერი**.

ახლანდელი "ასტანა" შარშანდელისგან რადიკალურად განსხვავდება. გუნდმა შეცვალა არამხოლოდ ველომრბოლები, არამედ მენეჯმენტიც. თუმცა, ამის მიუხედავად, ის არ შეიყვანეს იმ 21 გუნდის სიაში, რომლებსაც იტალიის ტურზე – ჯიროზე გამოსვლის ლიცენზია მიენიჭათ.

*"ჩვენ აღშფოთებულნი ვართ. ვერ ვხედავათ მიზეზს, რის გამოც ჯიროს ორგანიზატორები რბოლაში ჩვენ არ გვიწვევენ. ამ გადაწყვეტილების ლოგიკას ვერ ვხვდებით. არ მეგულება სხვა რომელიმე გუნდი, რომელშიც დოპინგკონტროლი ისეთ მაღალ დონეზე იყოს, როგორც ჩვენთანაა"*, - ამბობს გუნდის გენერალური მენეჯერი **იოჰან ბრიუინეელი**..

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი კატეგორიის გუნდებს შორის "ასტანა" ერთადერთი არაა, რომელსაც ჯიროზე არ იწვევენ. იტალიის ველომარათონზე არ ეპატიჟებიან ასევე ფრანგულ გუნდებს – "კრედიტ აგრიკოლსა" და "ბუიგ ტელეკომს", ასევე ამერიკულ "ჰაი როუდს" (ყოფილი ტე-მობილი). შეგახსენებთ, რომ "ასტანაში" კონტადორის გარდა ირიცხებიან ისეთი ძლიერი ველომრბოლები, როგორებიც არიან ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი** და გერმანელი **ანდრეას კლოდენი** (ორივე ტურის ყოფილი, ან მოქმედი პრიზიორია), "ჰაი როუდში" კი კარიერა ამერიკელმა **ჯორჯ ჰინკეიპიმ** გააგრძელა.



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთმატჩიანი ტური

**მონრეალი–რეინჯერსი 3:5**

2:0, 1:3, 0:2

გოლები: 1:0 ა. მარკოვი-12, 2:0 კოვალიოვი-24 (ჰიგინსი-18, ს. კოივუ-29), 3:0 ს. კოსტიცინი-6 (ბულიტი), 3:1 როჟსივალი-13 (დრური-22, სტრაკა-12), 3:2 დუბინსკი-9, 3:3 გომესი-12 (მ. სტაალი-6), 3:4 დრური-16 (დევსი-6, პრუხა-10), 3:5 სტრაკა-10 (მარა-13, გომესი-40).

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" პატარა სასწაული მოახდინა. მეორე პერიოდის შუაში, სტუმრები უიმედოდ აგებდნენ შეხვედრას - 0:3, მაგრამ ამის შემდეგ, მეტოქეს ხუთი უპასუხო შაიბა გაუტანეს და ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს.

"რეინჯერსმა" მეტოქე მაშინ გატეხა, როცა **მიხალ როჟსივალმა** და **ბრენდონ დუბინსკიმ**, 24 წამის ინტერვალით ორი შაიბა გაუტანეს "მონრეალის" მეკარე **კრისტობალ იუეს** და მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. ცოტა ხანში კი, **სკოტ გომესმა** ანგარიში გაათანაბრა.

"მონრეალი" ბოლო მატჩებში შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. უკანასკნელ 11 ტურში, "კანადიენსმა" 8 გამარჯვებას მიაღწია და წამოეწია აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერს, "ოტავა სენატორზს". "რეინჯერსთან" რომ მოეგო, "მონრეალის" ჩამორჩენა "სენატორებთან" მინიმუმამდე დავიდოდა.

რაც შეეხება "რეინჯერსს", ის ნელნელა გამოდის კრიზისიდან. ამ გუნდისთვის ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. ნიუიორკელები აღმოსავლეთში მეშვიდე ადგილზე გადავიდნენ და მეცხრე ადგილზე მყოფ "ატლანტას" 4 ქულით დაშორდნენ. თუმცა ცხადია, რომ "რეინჯერსს" დიდი ბრძოლა მოუწევს პლეიოფში მოსახვედრად.

"რეინჯერსის" ბოლოდროინდელი წარმატებები, პირველ რიგში, მისი შვედი მეკარის **ჰენრიკ ლუნდკვისტის** კარგ თამაშს უკავშირდება. ამ გოლკიპერმა "მონრეალთან" 25 დარტყმა მოიგერია, საერთოდ კი, ბოლო 5 შეხვედრიდან ოთხი მოიგო.

## ჩოგბურთი

ATP-ის ტური

# ბრძოლა საჩოგბურთო გვირგვინისთვის

### 2 თებერვალს, ზუსტად ოთხი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიელი როჯერ ფედერერი სათავეში ჩაუდგა მსოფლიო რეიტინგს

ATP-ის ტურში ოთხწლიანი ბატონობის შემდეგ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ორი ახალგაზრდა ჩოგბურთელის მწვავე კონკურენციას წააწყდა. ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** არაფრით ეგუებიან როჯერის "დიქტატურას" და მზად არიან, უკვე 2008 წლის სეზონში ჩაერთონ საჩოგბურთო მეფის გვირგვინისთვის ბრძოლაში.

ავსტრალიის ღია პირველობაზე ნადალს ფედერერის გასწრების თეორიული შანსი ჰქონდა. სხვათა შორის, 2004 წლის უიმბლდონის შემდეგ, "მელბურნპარკზე" დასრულებული ჩემპიონატი პირველი იყო ბოლო 4 წლის მანძილზე, როცა შვეიცარიელის ლიდერობას საფრთხე დაემუქრა. მაგრამ ჯოკოვიჩმა გადაწყვიტა, რომ რეიტინგში მხოლოდ რაფას და როჯერის პაექრობა მოსაწყენი იქნებოდა. მან ბრწყინვალე სტილში მოიგო ავსტრალიის ღია და ისიც ჩაება ლიდერობისთვის ბრძოლაში.

"დიდი სლემის" პირველი ტურნირის შემდეგ, ნადალმა ფედერერთან 650 ქულამდე შეამცირა სხვაობა, ჯოკოვიჩმა - 1450 ქულამდე. შვეიცარიელს მეორე ადგილთან ყველაზე დიდი უპირატესობა 2006 წლის 20 ნოემბერს ჰქონდა - მაშინ ის უახლოეს მდევარს ფანტასტიკური მაჩვენებლით, 3900 ქულით უსწრებდა. როჯერმა ყველაზე ახლოს კონკურენტები 2004 წლის 10 მაისს მიუშვა - მაშინ პირველ და მეორე ადგილს შორის ქულათა სხვაობა 350 ქულა იყო.

დღევანდელი მდგომარეობით, კლასიფიკაციის პირველ სამეულში შემდეგი მდგომარეობაა:

**1. როჯერ ფედერერი – 6 630 ქულა**
**2. რაფალ ნადალი – 5 980 ქულა**
**3. ნოვაკ ჯოკოვიჩი – 5 165 ქულა**

21 წლის რაფაელ ნადალი ზედიზედ 132 კვირაა ინარჩუნებს მეორე ადგილს. ეს სერია 2005 წლის 25 ივლისიდან დაიწყო. 20 წლის ჯოკოვიჩმა კი, საპატიო მესამე ადგილი 2007 წლის 9 ივლისს ჩაიბარა და მას შემდეგ, მხოლოდ ერთ კვირით დაეშვა ერთი საფეხურით დაბლა.

სამყაროს ფედერერის არსებობა რომ არ სცოდნოდა, მაშინ ის ქულები, რომელიც რაფაელ ნადალსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვთ, სავსებით საკმარისი იქნებოდა რეიტინგში პირველი ადგილის დასაკავებლად. ფედერარამდე, რეიტინგის წინა ხუთი პირველი ნომრიდან მხოლოდ ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა შეძლო 5000-ქულიანი ზღვარის გადალახვა:

**ლეიტონ ჰიუიტი – 5 205 ქ (26.08.2002)**
**გუსტავო კუერტენი – 4 750 ქ (24.09.2001)**
**ხუან-კარლოს ფერერო–4 570 ქ (20.10.2003)**
**ენდი როდიკი – 4 535 ქ (19.01.2004)**
**მარატ საფინი – 4 270 ქ (16.04.2001)**

ახლა კი, ზემოთ მდებარე ცხრილში ნადალისა და ჯოკოვიჩის ამჟამინდელ მონაგარს დააკვირდით და დაინახავთ - ფედერერი რომ არა, ისინი უკვე შესულები იქნებოდნენ ჩოგბურთის ისტორიაში.

მოდით მომავლისკენ გავიხედოთ და გავარკვიოთ, შეუძლიათ თუ არა ნადალსა და ჯოკოვიჩს უახლოეს მომავალში დაეწიონ ფედერერს?

უახლოეს 4 ტურნირზე ფედერერს 380 სარეიტინგო ქულის დაცვა მოუწევს:

როტერდამი - 0; დუბაი - 300 (ტიტული); ინდიან უელსი - 5 (1/32 ფინალი); მაიამი - 75 (1/8 ფინალი).

ნადალმა ამავე პერიოდში მოპოვებული 700 ქულა უნდა დაიცვას:

როტერდამი - 0; დუბაი - 75 (1/4 ფინალი); ინდიან უელსი - 500 (ტიტული); მაიამი - 125 (1/4 ფინალი).

ყველაზე რთული ამოცანა ჯოკოვიჩს აქვს, რომელმაც შარშან, ამ ოთხ ტურნირში 1035 ქულა მოიპოვა:

როტერდამი - 110 (1/2 ფინალი); დუბაი - 75 (1/4 ფინალი); ინდიან უელსი - 350 (ფინალი); მაიამი - 500 (ტიტული).

როგორც ხედავთ, გაზაფხულის ორ ყველაზე პრესტიჟულ მასტერსში (მაიამი და ინდიან უელსი), ჯოკოვიჩმა მაქსიმალურად კარგად უნდა ითამაშოს. შარშან მან ამ ორ ტურნირში 1000 ქულა დააგროვა და ახლა მაიამიში ისევ უნდა გაიმარჯვოს, ხოლო ინდიან უელსში ფინალში გავიდეს, თუ სურს რომ ეს ქულები არ დაკარგოს.

ნადალს უკეთესი მდგომარეობა აქვს. თუ ის დუბაიში და მაიამიში ნახევარფინალში ან ფინალში გაალწევს, დამატებით ქულებს მიიღებს, თუმცა ესპანელს ინდიან უელსის ტიტულის დაცვაც მოუწევს, რაც ძალიან რთული იქნება.

შარშანდელი გაუგებრობების გამო (ზედიზედ ორი წაგება არგენტინელ **გილერმო კანიასთან**), როჯერ ფედერერი ადრიანად გამოეთიშა ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებს. ამიტომაც, თუ შვეიცარიელი ამ ტურნირების მოგებას და დუბაის ტიტულის შენარჩუნებას შეძლებს, დამატებით 920 ქულას მოიპოვებს და განიმტკიცებს რეიტინგში ლიდერობას. ასეთი რამ როჯერმა 2005 წელს შეძლო, ხოლო 2006-ში ამ სამივე ტურნირის ფინალში გავიდა (წააგო დუბაის ფინალი ნადალთან და ორივე მასტერსის ტიტული დაიცვა). შარშან, ფედერერს შეეძლო მეოთხედ მოეგო ინდიან უელსი და ზედიზედ მესამედ ემარჯვა მაიამიში, მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, მოულოდნელად ორჯერ წააგო კანიასთან.

*"ის დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება, - განაცხადა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ. - მას კვლავაც სურს იყოს პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელი. ჩვენ კი კარგად წარმოგვიდგენია, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს როჯერი კორტზე. ამ სეზონში ყველანი ძველ, თავის თავში დარწმუნებულ ფედერერს ვიხილავთ".*

ფედერერი ზუსტად ოთხი წელია არავის უთმობს პირველობას ATP-ის რეიტინგში. შვეიცარიელი კლასიფიკაციას სათავეში 2004 წელს, ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ ჩაუდგა.

როჯერის ლიდერობა უკვე 210 კვირაა გრძელდება. ასეთი გრძელი სერია ჩოგბურთის ისტორიაში არცერთ მოთამაშეს არ ჰქონია. ამ მხრივ რეკორდი ფედერერმა ჯერ კიდევ შარშან, დუბაის ტურნირის შემდეგ დაამხო. შვეიცარიელმა ლეგენდარული **ჯიმი კონორსის** შედეგი გააუმჯობესა - თავის დროზე, ცნობილი ამერიკელი ზედიზედ 160 კვირა ედგა სათავეში პროფესიონალ მამაკაც ჩოგბურთელთა ასოციაციას. ფედერერი კონორსს კიდევ ერთი მაჩვენებლით დაეწია - მხოლოდ ეს ორი ჩოგბურთელი იყო რეიტინგის ლიდერი სამი კალენდარული წლის განმავლობაში. რაც შეეხება მთლიანად კვირეების მიხედვით ლიდერობას, ამ მხრივ, შვეიცარიელს სამი ჩოგბურთელი უსწრებს - რეკორდსმენი **პიტ სამპრასი** (286 კვირა), **ივან ლენდლი** (270) და ჯიმი კონორსი (268).

დაბოლოს, 26 წლის შვეიცარიელი მეოთხე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც ზედიზედ ოთხი (ან მეტი) სეზონი დაასრულა პირველი ჩოგანის რანგში. კიდევ ორი წელი და ფედერერი პიტ სამპრასის თითქოსდა მუდმივ რეკორდს დაამხობს.







### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6630 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5980 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5165 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2725 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2715 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2155 |
| 7(7). რიშარ გასკე (საფ) | 1895 |
| 8(8). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1845 |
| 9(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1700 |
| 10(11). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1685 |
| 11(12). ენდი მარეი (ბრიტ) | 1685 |
| 12(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1645 |
| 13(14). გილერმო კანიასი (არგ) | 1573 |
| 14(21). ხუან მონაკო (არგ) | 1520 |
| 15(15). ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 1515 |
| 16(24). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1515 |
| 17(13). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1505 |
| 18(16). კარლოს მოია (ესპ) | 1505 |
| 19(17). ტომი რობრედო (ესპ) | 1490 |
| 20(18). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1489 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 200 |
| 2(2). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 155 |
| 3(3). რაფაელ ნადალი (ესპ) | 114 |
| 4(4). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 90 |
| 5(5). მიხაილ იუჟნი (რუს) | 85 |
| 6(6). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 77 |
| 7(7). იარკო ნიემინენი (ფინ) | 74 |
| 8(8). დავიდ ფერერი (ესპ) | 58 |
| 9(9). ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 54 |
| 9(21). ხუან მონაკო (არგ) | 54 |
| 9(9). დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 54 |
| 12(11). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 52 |
| 13(12). ენდი მარეი (ბრიტ) | 51 |
| 14(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 50 |
| 14(37). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 50 |
| 16(14). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 48 |
| 17(15). მიხაელ ლოდრა (საფ) | 44 |
| 18(16). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 42 |
| 19(17). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 41 |
| 20(18). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 38 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 221 081 |
| 2. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 656 471 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 343 620 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 305 270 |
| 5. მიხაილ იუჟნი (რუს) | 226 706 |
| 6. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 206 117 |
| 7. იარკო ნიემინენი (ფინ) | 205 301 |
| 8. ჯონათან ერლიხი (ისრ) | 204 818 |
| 8. ენდი რამი (ისრ) | 204 818 |
| 10. მიხაელ ლოდრა (საფ) | 202,825 |
| 11. ენდი მარეი (ბრიტ) | 189 291 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპ) | 164 885 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 156 925 |
| 14. ხუან მონაკო (არგ) | 127 636 |
| 15. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 127 617 |
| 16. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 134,732 |
| 17. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 129 901 |
| 18. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 119 065 |
| 19. არნო კლემანი (საფ) | 116 675 |
| 20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 115 967 |

## TV სპორტი

**5 თებერვალი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი.
21:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 ლიბერტადორესის თასი. სტარტის წინ.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 პირველი არხის თასი. მიმოხილვა.
23:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ეინდჰოვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:52 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტკლუბი.
11:12 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
13:52 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი.
15:39 ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
16:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
18:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:43 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
21:11 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-პიტსბურგი.
02:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:28 ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია (LIVE).
06:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
07:11 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
11:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა.
12:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა.
15:00 სნუკერი. მალტის თასი. II დღე (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:45 სნუკერი. მალტის თასი. II დღე (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:15 სნუკერი. მალტის თასი. II დღე.
02:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. განა.
02:30 პროფესიული კრივი. ჰოლივუდი. აშშ.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. ავსტრია.
14:00 ენდურო. მსოფლიო თასი. გენუა. იტალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-მინესოტა.
18:11 ფეხბურთი. ევრო 2008.
19:00 სნოუბორდი. ავსტრია.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი.
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ენდურო. მსოფლიო თასი. გენუა. იტალია.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

**1/4 ფინალი**

**ეგვიპტე-ანგოლა 2:1**

ეგვიპტე: ელ-ჰადარი, მოჰამედი, საიდი, გომაა, მოავადი (65. ფატალაჰი), აბდ რაბუ, შავკი, ფათჰი, აბუთრიაქა (90. საიდი), მოტაები, ზაქი (71. ჰასანი).

ანგოლა: ლამა, მარკო აიროსა, კალი, აშა, რუი მარკეში, ანდრე, მაურიტო (46. მენდონკა), ჟილბერტო, ზე კალანგა (72. მატეუში), ფლავიო (84. ედსონი), მანუშო

გოლები: 1:0 აბდ რაბუ (23-პენ), 1:1 მანუშო (27), 2:1 ზაქი (38)

მაყურებელი: 21 000

**ტუნისი-კამერუნი 2:3 დ.დ.**

ტუნისი: ქასრაუი, ელ ბექრი, ფელჰი, ჰაგი (39. ბენ ფრეჯი), ჟაიდი, მნარი, ნაფთი (71. ჟემაა), ტრაუი, ბენ საადა, შიხაუი, ფრანსილეუდო სანტოსი (86. ჩერმიტი).

კამერუნი: კამენი, ატუბა (108. ჩატო), ბიკეი, სონგი, ემანა (62. ეპალე), ჟერემი, მაკუნი (65. ბინია), მბია, სონგ ბილონგი, ეტო'ო, იდრისუ.

გოლები: 0:1 მბია (19), 0:2 ჟერემი (27), 1:2 ბენ საადა (35), 2:2 შიხაუი (81), 2:3 მბია (93)

მაყურებელი: 22 000

**იტალია**

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| პადოვა-ფოლინო | 2:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-ალემანია | 2:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| სეტუბალი-ნავალი | 1:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მოლდოვა (U21)-რუმინეთი (U21) | 0:0 |
| ბელარუსი-სომხეთი | 1:2 |
| მალტა-ისლანდია | 1:0 |

**ჰოკეი**

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კიეკო | 2:3 |
| კერპეტი-ლუკო | 2:0 |

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-დანიილიდუ | 6:2, 2:6, 5:7 |
| სრებოტნიკი-ლუა | 6:2, 6:4 |

**ფედერაციის თასი**

| | |
|---|---|
| დავენპორტი-გორჯესი | 6:1, 6:2 |
| ჰარკლროუდი-ლისიცკი | 6:4, 7:5 |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. სკანდალი

# ესპანეთში ჰემილტონს ლანძღავენ



ესპანურ პრესაში გავრცელებული ცნობით, ბარსელონაში, "კატალუნია მონტმელოს" ავტოდრომზე მოვარჯიშე ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** მაყურებლებისგან რასისტული გამოხტომების ატანა უწევს. რამდენიმე გაზეთი გვაუწყებს, რომ ტესტების სერიის დასრულების შემდეგ, როცა პიტ ლაინზე გავლა უწევს, მაყურებლები, რომლებიც ტესტებს მრავლად ესწრებიან, ჰემილტონს მუდმივად სტვენითა და უცენზურო შეძახილებით აცილებენ.

"მაკლარენის" შავკანიანი პილოტის მისამართით ხშირად ისმის შეძახილები – "პუტო ნეგრო" (შავი მეძავი) და "ნეგრო დე მიერდა" (შავი ნეხვი). თანაც, ამ გამოხტომებს რეგულარული ხასიათი მისცემია, რამაც უკვე მეტისმეტად შეაწუხა მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი.

"მარკას" ცნობით, ავტოდრომის დირექტორმა **რამონ პრადერამ** უსაფრთხოების სამსახურს "მაკლარენის" მოტორ ჰოუმის ირგვლივ დაცვის გაძლიერება დაავალა. გარდა ამისა, პოლიციას დაევალა, რომ ნებისმიერი საშუალებით მოხსნან ის ტრანსპარანტები, რომლებიც "მაკლარენის" ბოქსების მოპირდაპირე მხარეს, ტრიბუნაზეა გამოფენილი.

დირექციამ ფანებს არაერთხელ მოუწოდა კორექტულობისკენ და სთხოვა, რომ უარი ეთქვათ რასისტულ გამოხტომებზე. არაა გამორიცხული, რომ ყოველივეს გამო, ბარსელონას ავტოდრომმა ფორმულა ერთის რბოლების მასპინძლობის უფლება დაკარგოს.

ჰემილტონს ესპანელი მაყურებელი იმის გამო ემდურის, რომ შარშანდელ სეზონში მან "მაკლარენში" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** დაჩრდილა, ვინც ახალ სეზონში ისევ "რენოს" ბოლიდით იასპარეზებს.

მომხდარი ინციდენტების მიუხედავად, "მაკლარენი" პატივისცემით მოიხსენიებს ესპანელ მაყურებლებს: *"ჩვენს გუნდს არაერთხელ უასპარეზია ესპანეთში და ტესტებზეც მუდმივად აქ ჩამოვდივართ. აქ ჩვენც და ლუისსაც ყოველთვის პატივისცემით გვეპყრობიან, თუმცა ხანდახან სხვანაირადაც ხდება"*, - ნათქვამია ინგლისური საჯინიბოს ოფიციალურ განცხადებაში.

სხვათა შორის, ესპანურ სპორტში რასისტული გამოხტომები იშვიათობა არაა. მსგავსი ინციდენტები ბოლო ხანს ფეხბურთში და სპორტის სხვა სახეობებშიც გახშირდა.

კალათბურთი

## დემონი სპურსში გადავიდა

ვეტერანმა გამთამაშებელმა **დემონ სტაუდმაიერმა**, რომელიც 30 დეკემბრის შემდეგ არ გასულა მოედანზე, "სან ანტონიო სპურსთან" გააფორმა კონტრაქტი. როგორც ცნობილია, მცველმა შეთანხმებას მიაღწია თავის ყოფილ კლუბთან, "მემფის გრიზლისთან" და ამ უკანასკნელმა კალათბურთელის კონტრაქტი გამოისყიდა, რის შემდეგაც სტაუდმაიერი თავისუფალი აგენტი გახდა.

"სან ანტონიოსთან" კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ როგორც ამერიკული პრესა წერს, ეს არის ვეტერანის მინიმალური ხელშეკრულება.

34 წლის სტაუდმაიერზე პრეტენზიას "ბოსტონი", "ფინიქსი" და "ტორონტო" აცხადებდნენ. ამ სეზონში, დემონმა 29 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.5 ქულა და 4.3 შედეგიანი პასი დააგროვა. კარიერაში ანალოგიური მაჩვენებლები 13.8 ქულას და 6.3 გადაცემას უდრის.

დემონ სტაუდმაიერი უკვე შეუერთდა "სან ანტონიოს", რომელმაც ორი კვირით დაკარგა ძირითადი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**.

## კლივლენდი მილერსა და გირიჩეკს უმიზნებს

როგორც ცნობილია, გასულ უიქ ენდზე ესპანელი ფორვარდი **პაუ გასოლი** "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გადავიდა. ამ კალათბურთელის ტრანსფერზე "კლივლენდ კავალიერზიც" მუშაობდა, მაგრამ "მემფისთან" შეთანხმებას ვერ მიაღწია. ამის გამო, ახლა "კლივლენდის" ხელმძღვანელობა ისეთ მოთამაშეს ეძებს, რომელსაც დისტანციიდან შეტევა ეხერხება. "კავალიერზის" გენერალური მენეჯერი **დენი ფერი** ორი კალათბურთელის მიმართ გამოხატავს აქტიურ ინტერესს - ესენი არიან **მაიკ მილერი** და **გორდან გირიჩეკი**, რომლებიც შესაბამისად "მემფისში" და "ფილადელფიაში" თამაშობენ.

სახელდება იმ მოთამაშეების გვარები, რომლებმაც შესაძლოა სავარაუდო გაცვლაში "კლივლენდის" მხრიდან მიიღონ მონაწილეობა. "კავალიერზი" მზად არის ფორვარდ **დრიუ გუდენისა** და მცველ **ლარი ჰიუზს** შეელიოს.

## დენგმა ერთი კვირა უნდა მოიცადოს

"ჩიკაგო ბულზს" კიდევ ერთი კვირა მოუწევს თავისი ერთ-ერთი ლიდერის, ლუოლ დენგის გარეშე თამაში. ამ კალათბურთელმა აქილევსის მყესის დაზიანების გამო უკვე ექვსი შეხვედრა გამოტოვა.

დენგი კიდევ ერთ სამედიცინო შემოწმებამ გაივლის. ეს მაშინ მოხდება, როცა "ჩიკაგო" დასავლური ტურნედან დაბრუნდება. დასავლეთი კონფერენციის გუნდებთან ბოლო შეხვედრას "ბულზი" 9 თებერვალს, "იუტა ჯაზის" წინააღმდეგ გამართავს. სავარაუდოდ, სწორედ ამის შემდეგ შეუერთდება დენგი თავის გუნდს.

ამერიკული ფეხბურთი

## სუპერბოული ჯაინტსმა მოიგო

გუშინ, ამერიკაში ამ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სპორტული მოვლენა გაიმართა. ფინიქსში "ნიუ იორკ ჯაინტსმა" და "ნიუ ინგლენდ პეტრიოტსმა" სუპერბოული (NFL-ის ფინალური მატჩი) ითამაშეს.

წლის მთავარი მატჩი "ნიუ იორკმა" მოიგო - 17:14. მატჩის ბოლო წუთზე, "ჯაინტსმა" ტაჩდაუნი გაახერხა და სწორედ ამის შემდეგ შეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

ჰოკეი

## ხაბიბულინს ჩიკაგოდან უშვებენ

ამერიკული პრესის ვარაუდით, ძალიან მალე "ჩიკაგო ბლექჰოქსის" რიგებს დატოვებს რუსი მეკარე **ნიკოლაი ხაბიბულინი**. ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მეკარისთვის "სან ხოსე შარქსთან" მარცხი, ზედიზედ მეცხრე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ხაბიბულინი "ჩიკაგოს" დატოვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ყველაზე მეტად რუსი გოლკიპერით "ტამპა ბეი ლაითნინგია" დაინტერესებული, რომელიც უკვე დიდი ხანია ეძებს მაღალი კლასის მეკარეს. სხვათა შორის, ხაბიბულინი "ჩიკაგოში" სწორედ "ტამპადან" გადავიდა.

გუშინ კი, რუს მეკარესთან დაკავშირებით ახალი ცნობა გავრცელდა. ხაბიბულინის გადაბირება "კოლორადოს" და "ლოს ანჯელესსაც" სურთ. ამ კლუბებსაც არ ჰყავთ აშკარად გამორჩეული ძირითადი მეკარე.

კანადა ისევ აიზერმანს ჩააბარეს

"დეტროიტ რედ უინგზის" ლეგენდარული კაპიტანი **სტივ აიზერმანი** კანადის ნაკრების გენერალურ მენეჯერად დაინიშნა - იუწყება სააგენტო "როიტერი".

"რედ უინგზის" რიგებში სტენლის თასის სამგზის მფლობელმა ეროვნულ ნაკრებს 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა უხელმძღვანელოს. სხვათა შორის, აიზერმანს ეს პოსტი შარშანდელ პირველობაზეც ეჭირა და კანადის ნაკრები ერთწლიანი შესვენების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

თავად აიზერმანს, კანადის ნაკრებთან ერთად 1984 წელს კანადის თასი და 2002 წელს, ოლიმპიური თამაშები აქვს მოგებული.

ფორმულა 1

## იამამოტო რენოს ტესტპილოტია

ფრანგულმა საჯინიბომ "რენომ" 2008 წლის სეზონისთვის თავისი ტესტ-პილოტის ვინაობა დაასახელა. ეს გახლავთ **საკონ იამამოტო**, რომელმაც უკვე გააფორმა შესაბამისი კონტრაქტი. 25 წლის იაპონელის ანგარიშზე 14 გრან-პრი მოდის. იამამოტო "სუპერ აგურისა" და "სპაიკერის" რიგებში გამოდიოდა.

*"მოხარულები ვართ ჩვენს გუნდში იამომოტოს მოწვევით. ამ სეზონში განვითარების აგრესიული პროგრამა გვაქვს არჩეული და მისი გამოცდილება ძალიან სასარგებლო იქნება"*, განაცხადა "რენოს" ბოსმა **ფლავიო ბრიატორემ**.

ჩოგბურთი

## მონაკომ ჩელა შეცვლის

გასულ კვირას, ATP-ის ტურში ერთადერთი ტურნირი გაიმართა. ჩილეს ქალაქ ვინია დელ მარში ფინალური წყვილი მასპინძელმა **ფერნანდო გონსალესმა** და არგენტინელმა **ხუან მონაკომ** დააკომპლექტეს. თუმცა გადამწყვეტი მატჩი არ შედგა, ვინაიდან მონაკომ წყვილთა ფინალში ტრავმა მიიღო. ამის გამო, გონსალესი უბრძოლველად გახდა მორიგი ტიტულის მფლობელი.

როგორც გაირკვა, მონაკოს ტრავმა სერიოზულია და მას დევისის თასის მერვედფინალის გამოტოვება მოუწევს, რომელიც ბუენოს აირესში 8-10 თებერვალს გაიმართება. არგენტინა ბრიტანეთს მასპინძლობს.

*"ძალიან სამწუხაროა, რომ ტრავმა იმ დროს მივიღე, როცა ჩემთვის ყველაფერი საუკეთესოდ ვითარდებოდა"*, - განაცხადა 23 წლის ჩოგბურთელმა, რომელსაც მუხლი აქვს დაზიანებული. სავარაუდოდ, მონაკოს ადგილს არგენტინის ნაკრებში **ხუან-იგნასიო ჩელა** დაიკავებს.



მსოფლიო თასი

# მილერი კომბინაციის თასს დაეუფლა

სამთო მოთხილამურეთა სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, მაგრამ სუპერ კომბინაციაში ბროლის მცირე გლობუსის მფლობელი უკვე ცნობილია – უნივერსალურ დისციპლინაში ამ ჯილდოს ამერიკელი **ბოდე მილერი** დაეუფლა.

მილერმა საფრანგეთის სამთო კურორტ ვალ დ'იზერში, ამ სეზონში სუპერ კომბინაციის ბოლო ეტაპი მოიგო და გარდა იმისა, რომ მცირე გლობუსი მოიპოვა, ლიდერობა აბსოლუტურ კლასიფიკაციაშიც განიმტკიცა. მილერისთვის ეს ამ სეზონში სუპერ კომბინაციის ზედიზედ მესამე მოგებული რბოლაა.

მსოფლიო თასების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ კვარცხლბეკზე ორი საფეხური დაიკავეს ხორვატმა მოთხილამურეებმა – მეორე ადგილი დაიკავა **ივიცა კოსტელიჩმა**, მესამეზე კი **ნატკო ზრნჩიჩი** გავიდა.

მილერმა, ვისაც ამ სეზონში დაშვების ორი რბოლაც (ბორმიოსა და ვენგენში) აქვს მოგებული, სუპერ კომბინაციის პირველი, დაშვების ცდა ბრწყინვალედ შეასრულა და კარგა შორს მოიტოვა კონკურენტები, რომელთა შორისაც, უახლოესი, შვეიცარიელი **დიდიე დეფაგო** მას 1.37 წამით ჩამორჩა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ დეფაგო ჩქაროსნული რბოლების სპეციალისტია, მილერის რეალური მეტოქეები კიდევ უფრო შორს იყვნენ.

*"ტრასის საწყის მონაკვეთში ორიოდე შეცდომა დავუშვი და ფინიშის შემდეგ რომ ჩემი დრო ვნახე, გაოცებული დავრჩი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი ახალი თხილამურები ძალიან მეხმარება მოსახვევების გავლისას. ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, თითქოს ხალიჩაზე ვსრიალებდე"*, - განაცხადა მილერმა.

სლალომის სპეციალისტთაგან, დაშვების შემდეგ, მილერთან ყველაზე ახლოს შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტი** იყო, ვინც ამერიკელს 1.73 წამით ჩამორჩებოდა, მასპინძელთა იმედი **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** კი 2.77 წამს აგებდა. ამიტომ, მილერს სლალომის ცდაზე საშუალოზე უარესი შედეგიც კი თავისუფლად ჰყოფნიდა.

ის ასეც მოიქცა – ყოველგვარი რისკის გარეშე მიაღწია ფინიშს და საბოლოოდ, კოსტელიჩს 0.38 წამით აჯობა. გრანჟი კი, ვინც ვენგენში კომბინაციის რბოლის მოგება შეძლო, ამჯერად სლალომზე ორ გასასვლელს გასცდა და ფინიშსაც ვერ მიაღწია.

კომბინაციაში ტრიუმფის შემდეგ, მილერმა განაცხადა, რომ ახლა მისი მიზანი დაშვებაში ბროლის მცირე გლობუსისა და აბსოლუტურში ბროლის დიდი გლობუსის დაუფლებაცაა. ამ ორ კლასიფიკაციაში მის მთავარ კონკურენტებს ვალ დ'იზერში ხელი მოეცარათ. დაშვების ლიდერმა, შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ** და აბსოლუტურში მეორეზე მყოფმა ავსტრიელმა **ბენი რაიხმა** დაშვებაზე მილერთან სამ წამზე მეტი წააგეს. თუმცა, რაიხმა სლალომში დროის ამოქაჩვა და მეექვსე ადგილზე გასვლა შეძლო.

ქალებს კი შვეიცარიის სენ მორიცში სუპერ გიგანტის მორიგი ეტაპი ჰქონდათ, რომელიც კანადელი **ემილი ბრაიდონის** გამარჯვებით დასრულდა. ბრაიდონისთვის ეს მსოფლიო თასზე კარიერაში მოპოვებული პირველი გამარჯვებაა. თანაც, კვარცხლბეკის ქვედა საფეხურებზე მან ორი ავსტრიელი მეტოქე - **ელიზაბეთ გიორგლი** და **რენატე გიოჩლი** დატოვა. მათგან პირველს 0.25 წამი მოუგო, მეორეს კი - 0.29 წამი. გიოჩლს სულ 0.01 წამით ჩამორჩა ამერიკელი **ლინდსი ვონი**.

*"ამ სეზონში პოდიუმზე ასვლამდე 0.01 წამი მგონი მეხუთედ დამაკლდა. რა თქმა უნდა, მეოთხე ადგილი ურიგო არაა, მაგრამ როცა ასე ხშირად ხდება, ეს განბილებას იწვევს"*, - განაცხადა ვონმა.

აღსანიშნავია, რომ 27 წლის კანადელმა, ამ სეზონში, სენ მორიცში ჩატარებულ კიდევ ერთ სუპერ გიგანტზე მეორე ადგილი დაიკავა. გასულ შვიდ სეზონში კი სამეულში შესვლა სულ ოთხჯერ შეძლო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ვალ დ'იზერი (საფრანგეთი).
კაცები. სუპერ კომბინაცია

1. ბოდე მილერი (აშშ) 2:18.45 (1:33.88, 44.57); 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2:18.83 (1:36.14, 42.69); 3. ნატკო ზრნჩიჩი (ხორვატია) 2:19.44 (1:36.06, 43.38); 4. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 2:19.54 (1:36.18, 43.36); 5. ალეშ გორჟა (სლოვენია) 2:19.63 (1:35.97, 43.66); 6. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:19.74 (1:36.86, 42.88); 7. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 2:19.78 (1:35.61, 44.17); 8. კარლო იანკა (შვეიცარია) 2:19.81 (1:35.98, 43.83); 9. ჟულიან ლიზერუ (საფრანგეთი) 2:20.19 (1:37.29, 42.90); 10. მარიო შაიბერი (ავსტრია) 2:20.24 (1:36.07, 44.17)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბოდე მილერი (აშშ) 1067; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 945; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 882; 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 676; 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 641; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 576; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 521; 8. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 498; 9. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 462; 10. მარიო მატი (ავსტრია) 440...

სენ მორიცი (შვეიცარია).
ქალები. სუპერგიგანტი

1. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:17.39; 2. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:17.64; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:17.68; 4. ლინდსი ვონი (აშშ) 1:17.69; 5. ლარა გუტი (შვეიცარია) 1:17.77; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:17.80; 7. მარია რიში (გერმანია) 1:17.93; 8. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:18.09; 9. კელი ვანდერბეეკი (კანადა) 1:18.15; 10. ანია პერსონი (შვედეთი) 1:18.19...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 957; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 868; 3. მარია რიში (გერმანია) 781; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 776; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 759; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 709; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 642; 8. დენიზე კარბონი (იტალია) 619; 9. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 604; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 489...



მილერმა ერთი გლობუსი უკვე გაინაღდა


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა